გამოცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
17 თებერვალი ხუთშაბათი 2011
№038 (13335) ფასი 60 თეთრი



## ველით ჯანოს დებიუტს ევროპის ლიგაში

7

# ის, რაც არ ილევა ინგლისურ არსენალში: ნება და ვნება!



მოულოდნელი

### ამისულაშვილი უკან, რუსეთში

გუშინ მოულოდნელი ტრანსფერის შესახებ შევიტყვეთ - ვინ ვინ და, გვეგონა, ნაკრებში დამკვიდრებული 28 წლის **ალექსანდრე ამისულაშვილი** კარგად მოეწყო თურქეთში და კლუბის გამოცვლას უახლოეს ხანებში არც იფიქრებდა. ქართველი მცველი **შოთა არველაძის** „ქაისერისფორში" ერთ-ერთი ლიდერი და დაცვის ბურჯია, მაგრამ... გუშინ მთელი თურქეთი ამისულაშვილის უკან, რუსეთში დაბრუნებაზე წერდა.

რამდენიმე თურქულ საიტზე („იდაავარი", „სპორქსი", „აჯანსფორი", „გუნჩელ ჰაბარი" და სხვები) ვნახეთ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ჩვენი თანამემამულე კრასნოდარის „ყუბანში" გადადის. ამისულაშვილი ზაფხულში გადავიდა ნალჩიკის „სპარტაკიდან" თურქეთში 2-წლიანი ხელშეკრულებით, მაგრამ კონტრაქტში ისეთი მუხლიც ყოფილა, რომლის თანახმადაც, ფეხბურთელს ხელშეკრულების გაწყვეტაც შეუძლია. „ყუბანი" სამჯერ მეტ ხელფასს სთავაზობს ქართველს, რომელსაც რუსეთში გადასვლა სურსო. აი, რა თქვა „ქაისერის" გენერალურმა მენეჯერმა **სულეიმან ჰურმამ**: *„რუსები ძალიან დაინტერესებულნი არიან ამისულაშვილის შეძენით და თანხაზე უკან არ იხევენ, თავად ფეხბურთელსაც სურს იქ გადასვლა, ასე რომ, ტრანსფერი ალბათ შედგება".*

თავად რუსები ჯერჯერობით არაფერს წერენ, მაგრამ „ყუბანის" მწვრთნელმა **ემილ კარასმა** კლუბის საიტს უთხრა: *„გუნდი პრაქტიკულად დაკომპლექტდა, თუმცა ორი-სამი ფეხბურთელის დამატებას არ გამოვრიცხავ".*

„ყუბანი" ახლახან სწორედ თურქეთში გაემგზავრა მესამე შეკრებაზე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## მაგრამ წინ ბარსელონაა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

9

# მე კასპაროვს ვეთამაშე

## პარტია №1 მოგონებების ალბომისთვის

10



გარი კასპაროვმა ჭადრაკის სასახლეში ერთობლივი თამაშის სეანსი გამართა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

10



ნუთუ ამ ქანდაკებასაც არ უწერია ღირსეული ადგილის დამკვიდრება სპორტის თემატიკაზე შექმნილ ქართულ სკულპტურათა შორის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# დვალიშვილმა იცის: თავდამსხმელმა თავს თავად უნდა მიხედოს

## რატომ ფსიქოლოგები? ფსიქოგოლები!

**იმ დროს, როდესაც ისრაელში ჩემპიონატია, ლადო დვალიშვილი საქართველოში ორიოდე დღით დასასვენებლად ჩამოვიდა. "ლელოს" მკითხველმა იცის, რომ საქართველოს ნაკრებისა და ჰაიფას "მაქაბის" თავდამსხმელს ცოტა ხნის წინ თამაშისას კუნთი გაუწყდა, რის გამოც კვიპროსში საქართველოსა და სომხეთის ეროვნული ნაკრებების მატჩი გამოტოვა და ეს თბილისური არდადეგებიც უქმობით იყო გამოწვეული.**
**ისრაელში გამგზავრებამდე ლადოს ინტერვიუ ჩამოვართვით.**



ბურთით ლადო დვალიშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- ტრავმა თუ მოირჩინე?**

- ნელ-ნელა მირჩება, კუნთი იყო განწყვეტილი და მოედანს სწრაფად ვერ დავუბრუნდებოდი. ათ დღეში, მაქსიმუმ ორ კვირაში ვითამაშებ. საბედნიეროდ, ისეთი რთული ტრავმა არ გამოდგა, თავიდან რომ მეგონა და ახლა უკვე ძუნძულიც შემიძლია. მაინც ვერ ვთამაშობდი და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ისრაელში დავრჩებოდი თუ აქ ჩამოვიდოდი. კლუბს ვთხოვე და გამომიშვეს, ნახე ოჯახის წევრებიო.

**- ხორვატიასთან მატჩისთვის მზად თუ იქნები?**

- ამის დიდი იმედი მაქვს. 26 მარტამდე ფორმის აღდგენაც უნდა მოვასწრო, ალბათ, კლუბშიც ვითამაშებ და ხორვატიასთან სათამაშოდ მზად ვიქნები.

**- ტრავმირებული ნაკრების თამაშს რომ უყურებდი, რას განიცდიდი?**

- მინდოდა, მოედანზე ვყოფილიყავი, მაგრამ, რომ არ შემეძლო, სომხეთთან ჩვენების თამაშის ყურებაც გამიჭირდა, სულით და გულით ლიმასოლში ვიყავი. ძალიან გამიხარდა გამარჯვება, წელიწადი კარგად დავიწყეთ და იმედია, ასეც გავაგრძელებთ.

**- სანაკრებო მატჩებში გულშემატკივარსაც ჰქონდა შენი იმედი, რადგან სეზონი შედეგიანად დაიწყე.**

- 2011 წელი ძალიან კარგად დაიწყო. პირველ წრეში მხოლოდ ოთხი გოლი გავიტანე, მეორის შვიდ შეხვედრაში კი - ექვსი. სულ, თასების ჩათვლით, სეზონში თხუთმეტ გოლამდე დამიგროვდა.

**- შემთხვევით ვერ ათამაშდები, ამას მიზეზები უნდა ჰქონდეს. შენზე რამ მოახდინა გავლენა?**

- მეორე წრე მონდომებით დავიწყე, რადგან მინდა, კლუბისა და ნაკრების მწვრთნელების იმედები გავამართლო. პირველ წრეში კი რაღაც ხელს მიშლიდა... გულახდილად რომ გითხრათ, ფსიქოლოგიურად თავს კარგად ვერ ვგრძნობდი.

**- მიზეზი რა იყო?**

- ყველაფერი ნაკრებში წარუმატებელი გამოსვლის ბრალია. ჩემზე ძალიან ცუდად იმან იმოქმედა, გოლები რომ ვერ გამქონდა. ნაკრებში კარგად თამაში ყველაფერზე მნიშვნელოვანია, არადა, გასული წლის მატჩებში ერთიც ვერ გავიტანე და დავიძაბე, ასეთ მდგომარეობაში კი ძნელია შესაძლებლობების გამოვლენა. ახლა უკვე დავმშვიდდი და ავთამაშდი, მაგრამ რად გინდა, ტრავმა მივიღე და ნაკრებში მაინც ვერ ვითამაშე... არაფერია, ჯანზე მოვალ და გატანას ისევ დავიწყებ.

**- შენი მომავალი ყველას აინტერესებს. "მაქაბისთან" კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- კლუბს კიდევ წელიწად-ნახევარი ვეკუთვნი, მაგრამ საინტერესო წინადადება თუ მექნება, არა მგონია, ხელი შემიშალონ.

**- დაიწერა, თითქოს დონეცკის "მეტალურგი" და კრაკოვის "ვისლა" გიწვევდნენ და მილიონებს იხდიდნენ, არადა, "მაქაბიში" დარჩი. გადასვლას მართლა გთავაზობდნენ თუ ეს მხოლოდ ხმები იყო?**

- "ვისლაში" გადასვლა რეალური იყო. პოლონური კლუბი ჩემით დაინტერესდა და წარმომადგენლები ისრაელში გამოუშვა. ისინი ფეთახ თიკვას "მაქაბისთან" შეხვედრას დაესწრნენ, სადაც ორი გოლი გავიტანე და კონტრაქტი შემომთავაზეს.

**- ყოველგვარი გასინჯვის გარეშე?**

- რომელ გასინჯვაზეა ლაპარაკი, პოლონელები "მაქაბის" კონკრეტულ თანხას სთავაზობდნენ.

**- თუ საიდუმლო არ არის, რამდენს?**

- როგორც ვიცი, მილიონ ევროს. "ვისლასგან" რეალური წინადადება იყო.

**- კლუბმა არ გაგიშვა?**

- "მაქაბი" არაფერ შუაშია, თავად მე ვთქვი წასვლაზე უარი.

**- "ვისლას" რა დაუწუნე?**

- არც "ვისლას" და არც პოლონეთის ჩემპიონატს ჩემი დასაწუნი არაფერი სჭირს, მაგრამ მენეჯერს ველაპარაკე და დარჩენა მირჩია, ზაფხულამდე მოითმინე, მეტი გოლი დაგიგროვდება და უკეთეს ლიგასა და კლუბში გადაგიყვანო. დარჩენა კლუბშიც მთხოვეს და ზაფხულამდე ისევ ჰაიფაში თამაში ვამჯობინე.

**- "მეტალურგი" საბოლოოდ გამოირიცხა?**

- უკრაინელები დამიკავშირდნენ, ვილაპარაკეთ, მაგრამ კონტრაქტი არ შემოუთავაზებიათ.

**- ჰაიფას "მაქაბის" დონე შენს ამბიციას აკმაყოფილებს?**

- ისრაელში საუკეთესო ლიგა ნამდვილად არ არის, მაგრამ ამ ეტაპზე აქ თამაშიც მისაღებია, "მაქაბი" სოლიდური კლუბია და ბევრ ცნობილ ევროპულ კლუბს არ ჩამოუვარდება. თუმცა უკეთეს ლიგაში გადასვლაც მინდა. უბრალოდ, აჩქარება ნაღდად არ მილირდა, თორემ "ვისლაში" ჩემი ტრანსფერი რეალური იყო.

**- ჰაიფელებმა ქართველების დამატების სურვილი ბევრჯერ გამოთქვეს, ახლახან არზიანი და საჯაიაც გასინჯეს, მაგრამ დღემდე გუნდის ერთადერთ ქართველ მოთამაშედ რჩები.**

- გული დამწყდა, საჯაია და არზიანი რომ არ დაიტოვეს. ორივეს კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, კარგად მომზადებულებს "მაქაბიში" დარჩენა არ გაუჭირდებოდათ. უბრალოდ, ისრაელში სეზონი დაწყებულია, რუსეთში კი ჯერ არა, ჩვენ საუკეთესო ფორმაში მყოფი მოთამაშეები გვჭირდებოდა, საჯაია და არზიანი კი მზადებას ახლა იწყებდნენ. არადა, დღემდე ოთხი ქართველი მიიწვიეს და ერთიც არ დაიტოვეს.

**- ისევ ნაკრებს დავუბრუნდეთ. შენი აზრით, რა შანსი შეიძლება გვქონდეს ხორვატიის ნაკრებთან ეროვნული სტადიონის მოედნის ხარისხის გათვალისწინებით?**

- არ ვიცი, ეს მტკივნეული თემაა, მაგრამ მანამდე დროა და იმედია, საფარს კარგ მდგომარეობაში დაგვახვედრებენ. ჩემი აზრით, ხორვატიასთან ჩვენი შანსები 50/50-ზეა. 2010 წელს არც მათ წაუგიათ და არც ჩვენ. მე გულშემატკივრების მეიმედება, ჩვენც მაგრად უნდა მოვინდომოთ, რადგან ევროპის ჩემპიონატზე გასვლის ასეთი რეალური შანსი არასდროს გვქონია. 26 მარტის მატჩი ჩვენს ჯგუფში ბევრ რამეს გადაწყვეტს.

**- ხორვატიის შემდეგ ისრაელის ნაკრებს შევხვდებით, რომელსაც კარგად იცნობ.**

- ისრაელში თამაში ყველას უჭირს და არც ჩვენთვის იქნება იოლი მატჩი, მაგრამ ორივე შეხვედრაში მაქსიმალური შედეგის მოპოვებას უნდა შევეცადოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

სამსაჯო ამბები

# რა სარგებლობა მოაქვს უეფას სამსაჯო კონვენციას

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების უფროს **ლევან ფანიაშვილთან** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. მისგან ერთი საინტერესო სიახლეც შევიტყვეთ, რომელზეც დღეს გიამბობთ.

28 იანვარს უეფამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განაცხადი დააკმაყოფილა და თავის სამსაჯო კონვენციაში გაგვაწევრა. თუმცა გასული წლის ნოემბრისთვის ეს უკვე გადაწყვეტილი იყო. მაშინ ჩვენს კანდიდატურას მწვანე შუქი უეფას სამსაჯო კომიტეტმა აუნთო, საბოლოო გადაწყვეტილება კი ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს აღმასკომმა მიიღო.

ცნობისათვის, უეფას სამსაჯო კონვენცია 2005 წელს შეიქმნა, საქართველომ კი იქ მოსახვედრად განაცხადი 2007 წელს შეიტანა და მას შემდეგ ჩვენი ფედერაცია უეფას სხვადასხვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ზრუნავდა. დღეს კონვენციაში ევროპული ქვეყნების დიდი ნაწილია გაერთიანებული, სულ 40-მდე ფედერაცია და ასოციაცია.

ალბათ, გაინტერესებთ, რას მიიღებს ჩვენი სამსაჯო კორპუსი კონვენციაში გაერთიანებით. კონვენციის პროგრამით გათვალისწინებულია მსაჯთა პროფესიული დონის ამაღლება და ამ მიზნით მათი მივლინება უეფას პატრონაჟით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაზე.

უცხოური ვიზიტების გარდა, ქართველი მსაჯები ცოდნას ადგილზეც გაიღრმავებენ. კონვენციის ფარგლებში სხვადასხვა სემინარი თბილისშიც ჩატარდება და უეფა აქ გამოცდილ ინსტრუქტორებს მოავლენს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ უახლოესი ასეთი სემინარი, ოღონდ ფიფას ეგიდით, თბილისში ივნისის შუა რიცხვებისთვისაა დაგეგმილი. ღონისძიება ხუთ-ექვს დღეს გასტანს და ქართველი მსაჯები საფუძვლიან ფიზიკურ, ტექნიკურ და თეორიულ მომზადებას გაივლიან.

უეფას სამსაჯო კონვენციის საშუალებით საფუძვლიანად გაუმჯობესდა ჩვენი სამსაჯო განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ლევან ფანიაშვილის უწყებამ უეფასგან მსაჯთა შორის საკომუნიკაციო საშუალებების ხუთი კომპლექტი მიიღო. საქართველოს უმაღლესი ლიგის თითოეულ ტურში სწორედ ხუთი მატჩი იმართება და, შესაბამისად, მსაჯთა ხუთივე ბრიგადა თანამედროვე აღჭურვილობით იქნება უზრუნველყოფილი. ამას გარდა, ყველა თანამსაჯის განკარგულებაშია ელექტრონული ალმები, რაც არბიტრთან კომუნიკაციის ეფექტური საშუალებაა. არბიტრებმა მიიღეს POLAR-ის ფირმის საათები, რომლებიც სათამაშო დროის უკეთ კონტროლის საშუალებას იძლევა, შეცდომასა თუ უზუსტობას აბსოლუტურად გამორიცხავს, მსაჯს უზომავს პულსს, წნევას და ა.შ.

ჩვენმა მსაჯებმა კონვენციის ფარგლებში ტესტირებისთვის საჭირო ინვენტარიც მიიღეს. განსაკუთრებით ფასეულია ელექტრონული კარი, რომელიც ტესტირებისას მსაჯის მიერ დაფიქსირებულ დროს ზუსტად აღნუსხავს. კონვენციაში გაწევრების დამსახურებაა ისიც, რომ სამსაჯო განყოფილებამ საოფისე ინვენტარი, ნოუთბუქები, პროექტორები და თეორიული სწავლებისათვის საჭირო სხვა ხელსაწყოები მიიღო.

უეფასგან წლეულს სოლიდური ფინანსური დახმარების მიღებაცაა მოსალოდნელი, ოღონდ თანხის ზუსტი რაოდენობა ჯერ ჩვენთვის უცნობია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი

## დასავლეთი აღმოსავლეთში
### გაცვლიან სტადიონებს ტორპედო და ოლიმპი?

უკვე გაცნობეთ, რომ ქუთაისში დიდთოვლობის გამო "ტორპედო" 19 თებერვალს რუსთავის "ოლიმპთან" გასამართი საშინაო შეხვედრისთვის თბილისში ემზადება და შესაძლოა, ეს მატჩი ქუთაისში ვერ გამართულიყო.

გუშინ შევიტყვეთ, რომ დიდია ალბათობა იმისა, გუნდებმა მასპინძლობა გაცვალონ და 19 თებერვლის შეხვედრა რუსთავის "ოლიმპის" სტადიონზე გაიმართოს, მეოთხე წრის რუსთავული მატჩი კი - ქუთაისში.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერები

## არსენალს კობახიძის არსენალი აინტერესებს



**სანდრო კობახიძე** კიევის "არსენალში" ვარჯიშობს, მაგრამ ჩაირიცხება თუ არა გუნდში, ჯერაც უცნობია. 23 წლის ქართველს პირველ შეკრებაზე გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში სერბული გუნდის მცველმა ცხვირი დაუზიანა. თუმცა სანდრო მალე მომჯობინდა, უკრაინელ "მეთოფეებთან" ერთად ისრაელში სრული დატვირთვით ვარჯიშობს და მორიგი საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა.

"არსენალმა" კფარ-საბას "ჰაპოელს" 3:0 მოუგო. სანდრო მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა. მთავარმა მწვრთნელმა **იური ბოკალოვმა** კობახიძე მარცხენა ფლანგზე დააყენა და ქართველი აქტიურობითა და მონდომებით გამოირჩეოდა. სწორედ კობახიძის ფლანგურ გარღვევას მოჰყვა მესამე გოლი.

*"კობახიძე სულ უფრო ხშირად ახერხებდა მოწინააღმდეგის გვერდის ავლას. მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე ერთ-ერთი ასეთი ფლანგური "გასეირნების" შემდეგ არჟანოვს ბურთი ფეხზე დაასვა და ანგარიში 3:0 გახდა"* – წერს "არსენალის" ვებგვერდი.

ბოკალოვმა კი განაცხადა, კობახიძე მეორე შეკრებაზე იმიტომ წავიყვანე, რომ კიდევ ერთი შანსი მივცეო. იმედია, სანდრო ამ შანსს გამოიყენებს.

ებრაელებთან საკონტროლო შეხვედრაში "არსენალის" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა წარმოშობით ქართველმა, 22 წლის მეკარე **ვლადისლავ ჩანგელიამ**.

**მერაბ მამულაშვილი**

## შალამბერიძეს ლოძი ჩაეშალა

**კობა შალამბერიძეს** "ოდრას" დატოვების შემდეგ პოლონეთის რანგით მეორე ლიგის ბინადარი "ლოძი" იწვევდა და ტრანსფერს თითქოს წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ 26 წლის ნახევარმცველს პოლონეთის საკონსულომ რატომღაც ვიზა არ მისცა და კობას "ლოძში" გადასვლა, ფაქტობრივად, გამოირიცხა. ჯერ უცნობია, სად გააგრძელებს იგი კარიერას. გამორიცხული არა არის შალამბერიძე რომელიმე ქართულ კლუბს შეუერთდეს.

## ქართული ნახევარდერბი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ნალჩიკის "სპარტაკმა" და ლუგანსკის "ზარიამ" ამხანაგურად ითამაშეს, შეხვედრა 0:0 დასრულდა. **დავით სირაძე** "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში იყო და შესვენებისას შეცვალეს, "ზარიას" ახალწვეულმა **ჯაბა ლიპარტიამ** კი მოედანზე 90 წუთი დაჰყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● რეგიონი

## იმერეთის თასი ტორპედომ მოიგო

იმერეთში დიდთოვლობის გამო ფეხბურთის თამაში, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა და ამის გამო 14 თებერვალს ჩასატარებელი იმერული დერბიც („ზესტაფონი"-„ტორპედო") გადაიდო. თოვლმა იმერეთის რეგიონული ფედერაციის ეგიდით მინი-ფეხბურთში ჩატარებულ „იმერეთის თასსაც" (1996 წელს დაბადებულთა შორის) შეუქმნა პრობლემები. ტურნირზე, რომელიც ქუთაისის სპორტის სასახლეში გაიმართა უამინდობის გამო, რამდენიმე გუნდი ვერ გამოცხადდა. საბოლოოდ, „იმერეთის თასი" 8 გუნდმა გაითამაშა. აქედან 7 ქუთაისის საფეხბურთო სკოლებს წარმოადგენდა, ერთადერთი არაქუთაისური გუნდი კი ბაღდათის „საირმე" იყო. ჯგუფური ეტაპის შემდეგ ჩატარდა ნახევარფინალური შეხვედრები. „ქუთაისმა" თანაქალაქელი „იმედი" 1:0 დაამარცხა, „ტორპედომ" კი „საირმეს" სძლია 6:0. ფინალურ შეხვედრაში „ტორპედომ", რომელსაც გამოცდილი მწვრთნელი **ალეკო კვერნაძე** წვრთნის, „ქუთაისი" 2:0 დაამარცხა და „იმერეთის თასს" დაეუფლა.

მესამე ადგილზე „საირმე" გავიდა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა „ქუთაისის" ფორვარდი **ბაჩანა ქურდაძე,** საუკეთესო მეკარედ — მისი ძმა, ასევე „ქუთაისის" წევრი **ბექა ქურდაძე.** 7 გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ტორპედოელი **საბა კვერნაძე.** ფედერაციის მიერ დაწესებული „სიმპათიის პრიზი" კი ქუთაისის „დინამოს" ფეხბურთელმა **საბა ქვარიანმა** მიიღო.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ქალთა ფეხბურთი

## გოგონები ბაქოში ისპარინგებენ

საქართველოს 17-წლამდელ გოგონათა ნაკრები ბაქოში გაემგზავრა, სადაც დღეს და ზეგ აზერბაიჯანის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებს. **გერონტი ნაჭყებიას** გუნდი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში 18 გოგონაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ფეხბურთიდან არ მიდიან

# წავიდა, ეჰ...
## დავით ჭიჭვეიშვილი ორ დროსა და ორ ცხოვრებას შორის

**დეკემბერში ზუგდიდის "ბაიაში" ვითარება რომ აირია, ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა დავით ჭიჭვეიშვილმა გუნდიც დატოვა და კარიერაც დაასრულა, მაგრამ ფეხბურთიდან არ წასულა – მაშინვე ცხინვალის "სპარტაკის" დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელის ასისტენტად დანიშნეს.**

**ასე დამთავრდა კარიერა მოთამაშისა, რომელსაც ყველა იცნობს როგორც კარგ ფეხბურთელს, წესიერ და გულიან ადამიანს.**

**- შენი რეჟიმის დარღვევა არავის ახსოვს და კიდევ დიდხანს შეგეძლო თამაში.**

- 23 იანვარში 36 წლის გავხდი და უკვე დროც იყო, კარიერა დამესრულებინა. ძალიან მძიმე და უსიამოვნო გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ზუგდიდის "ბაიადან" წამოვედი, არ ვთამაშობდი და ამ ასაკში საჭიროც იყო, მეფიქრა, რა გზას ავირჩევდი. "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი ბადრი კვარაცხელია დამეხმარა, მწვრთნელობა შემომთავაზა და სიამოვნებით დავთანხმდი. ასე დავიწყე ახალი ეტაპი ცხოვრებაში. ყველაფერი სწრაფად მოხდა, სამწვრთნელო ლიცენზიაც მჭირდება და ხანგრძლივი სწავლაც.

**- როგორ აფასებ, რომელი უფრო რთულია, თამაში თუ მწვრთნელობა?**

- საერთოდ, მწვრთნელობაც რთულია და ფეხბურთელობაც, თუ გულით მიუდგები, იოლი არც ერთია. მაგრამ მწვრთნელობა გაცილებით ძნელია, რადგან პასუხისმგებლობა მეტია. სათადარიგოთა სკამიდან ფეხბურთს სხვა კუთხიდან უყურებ. ძალიან რთულია ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობის დამყარება, დიდი დაკვირვებაა საჭირო, ერთი გადაბრუნებული სიტყვით ნიჭიერ ბავშვს გზა რომ არ გაუმრუდო. ყველასთან კარგი ურთიერთობა უნდა გქონდეს, ბიჭებს თავი უნდა შეაყვარო, რათა დაგიჯერონ და რიდიც ჰქონდეთ. მაგრამ დისციპლინაც აუცილებელია. სხვაგვარად გუნდი საჭირო დონეზე ვერ იქნება.

მე იმაში გამიმართლა, რომ ძალიან მეგობრულ გუნდში მოვხვდი, ბადრი კვარაცხელია, გელა ინალიშვილი, რამაზ სვანაძე ყველანაირად მეხმარებიან, ეს რთული ცხოვრებისეული და პროფესიული პერიოდი იოლად რომ გადავლახო. დამწყები მწვრთნელისთვის კი თანადგომა ბევრს ნიშნავს.

**- 36 წლისას თავიდან მოგიწევს პროფესიის დაუფლება, ამ ასაკში კი სწავლა ძნელია, თან მუშაობ, თან წიგნებს საათობით უნდა ჩააკვდე.**

- ამიტაც არის რთული მწვრთნელობა, მაგრამ ძალიან საინტერესო პროფესიაა. სწავლა აუცილებელია და ოქტომბერში სამწვრთნელო კურსები უნდა გავიარო.

**- ფეხბურთი რამდენი წელი ითამაშე?**

- 18 წელი, სულ კი 29, თუ ბავშვობის წლებსაც მივათვლით.... რა დრო გასულა, არადა, თითქოს თამაში გუშინ დავიწყე. 1993 წელს 17 წლისა ვიყავი, ელგუჯა გუგუშვილმა "ზოოვეტში" რომ ამიყვანა. მერე იყო "დინამოს" დუბლები, "ბათუმი", "ლოკომოტივი", "სიონი", "ოლიმპი", "სტანდარდი", "ატირაუ" და კარიერა "ბაიაში" დავასრულე.

**- ყველაზე კარგად რომელი გუნდი გახსენდება??**

- სადაც ვიყავი, ყველგან თამაში მსიამოვნებდა და გუნდელებიც კარგი მყავდა. ამ მხრივ ბედნიერი კაცი ვარ. აი, ახლაც თვალწინ გაირბინა იმ წლებმა და ჯერ კიდევ მიჭირს იმის გააზრება, რომ ეს ყველაფერი უკვე წარსულია, რომ აღარ ვითამაშებ. უკვე ძალიან მომენატრა მოედანზე ფეხბურთელად გასვლა... თამაშს რომ ვუყურებ, ჯერ კიდევ მოედანზე ვარ და არა სათადარიგოთა სკამზე, ვარჯიშიც მენატრება, ახლა მხოლოდ მეგობრებთან თუ ვთამაშობ... მაგრამ რას ვიზამ, ცხოვრება ასეთია და ამას უნდა შევეგუო.

**- ნაკრებში იოჰან ბოსკამპი გიწვევდა. მერე კი დაგივიწყეს.**

- ეროვნულში სამი შეხვედრა რომ ჩავატარე, ამიტაც ბედნიერი ვარ. ბოსკამპი კარგი პიროვნებაც იყო და მშვენიერი მწვრთნელიც, მენდობოდა და სულ მისი მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავი. მთელი ცხოვრება ამ კაცის მადლიერი ვიქნები.

**- როგორც ვიცი, კარის გარდა, ყველა რგოლში გითამაშია.**

- ასეა, პოზიცია სამჯერ შემიცვალეს. 1994 წელს ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს და პირველ შეხვედრაში მოლდოვის ნაკრებთან თავდასხმაში დამაყენეს, "ბათუმში" ნახევარმცველი ვიყავი, მაგრამ დაცვაშიც მათამაშებდნენ, ბოლო წლებში კი - უკანა ხაზში. სხვათა შორის, ელგუჯა გუგუშვილი თავდამსხმელად მაყენებდა "ზოოვეტში", რომელიც რეგიონულ ლიგაში გამოდიოდა და ოცზე მეტი გოლი გავიტანე. ისე, ნახევარდაცვასა და დაცვაში თამაში უფრო მომწონდა.

**- გულშემატკივარმა "ბათუმიდან" გაგიცნო, როდესაც "ეინდჰოვენს" შინ 1:1 ეთამაშეთ და ჰოლანდიელთა ერთ-**



**რთი ლიდერი ეიკელკამპი პირწმინდად ჩაკეტე. ნაკრების ხელმძღვანელებიც შენით ამის შემდეგ არ დაინტერესდნენ?**

- არა, ნაკრებში ბოსკამპმა ოდნავ მოგვიანებით ამიყვანა. "ბათუმი" კი მართლაც სერიოზული გუნდი იყო, რომლის დონე დღევანდელ ჩემპიონატსაც არ აწყენდა. საერთოდ, ამ ქალაქთან ძალიან თბილი მოგონებები მაკავშირებს, სამი წელი ვითამაშე და გარდა იმისა, რომ თასი ავიღეთ, დიდი სამეგობრო შევიძინე. ეს იყო გამორჩეული კლუბი განათლებული ბიჭებით, მეგობრობით, ერთმანეთის გატანით. მთავარი მწვრთნელით, შოთა ჭეიშვილით დაწყებული, სტადიონის დარაჯით დასრულებული, ყველა კარგად მახსენდება. გუნდში ჩარიცხვის დღიდანვე მეგონა, რომ "ბათუმში" დიდი ხანი ვთამაშობდი. ჩემი კარიერა რომ მეტ-ნაკლებად აეწყო, ამ გუნდის და ჭეიშვილის დამსახურებაა, რომელიც მენდო, მიმიწვია და მათამაშა.

**- შენთვის ყველაზე ღირსახსოვარი რომელი შეხვედრაა?**

- 1998 წლის საქართველოს თასის ფინალი "ბათუმი" – "დინამო". ეროვნულ სტადიონზე ვთამაშობდით, დამატებითი დრო მთავრდებოდა, როდესაც დათო მაქაცარიამ საჯარიმოსთან ახლოს მარტო დარჩენილი შემნიშნა და ბურთი კარის "ცხრიანში" ისეთი ძალით გავუშვი, მეკარე ვერ შესწვდა. ამ გოლით თასი მოვიპოვეთ. ამის მერე გამიცნო ხალხმა და მაქაცარია, რომელთანაც დღემდე ვმეგობრობ, მეხუმრება, მინდოდა, ცნობილი გამხდარიყავი და ამიტომ გაგატანინეო.

ევროპის თასების თასზე "ბათუმი"-"ეინდჰოვენის" შეხვედრა რომ ახსენეთ, ისიც კარგი მოგონებაა. მაშინ გუნდში ახალი მისული ვიყავი, მაგარი ბიჭები თამაშობდნენ და ვერც წარმომედგინა, რომ ასეთ სერიოზულ მეტოქესთან მათამაშებდნენ. ჭეიშვილმა ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო, ძირითადშიც დამაყენა და თან საყრდენი ნახევარმცველისთვის უჩვეულო პოზიციაზე — ცენტრალურ მცველად. გასახდელში ამას არავინ ელოდა და ბატონმა შოთამ ჩემი გვარი რომ ამოიკითხა, ავნერვიულდი. "ეინდჰოვენში" ჰოლანდიის ნაკრების ხუთი თუ ექვსი ფეხბურთელი თამაშობდა, მე კი ეიკელკამპის ნეიტრალიზება დამევალა. დაძაბულობა ბიჭებმა მომიხსნეს, თამაშიც საჩვენო წავიდა და მოგებაც შეგვეძლო. სამწუხაროდ, ბათუმში მხოლოდ 1:1-ს დავჯერდით, ჰოლანდიაში კი 0:3 წავაგეთ და გამოვვარდით.

**- განმეორებითი შეხვედრა კურიოზით მახსენდება. პირდაპირი ტელერეპორტაჟი "ევროსპორტზე" იყო და კომენტატორი შენი და დავით უჯმაჯურიძის გვარებს სასაცილოდ გამოთქვამდა - დევიდ ჩიჩიმიჩი და დევიდ უჯიმაჯი.**

- ჰო, ამაზე მეც ვხალისობდი, უცხოელებს ჩემი გვარი ყოველთვის აბნევდათ. მგონი, ნორმალურად არსად გამოუცხადებიათ. მათთვის ძნელადგამოსათქმელი გვარები გვაქვს, მაგრამ რა ვქნათ, ამაზეც ვინერვიულოთ?

**- ფეხბურთიდან წასულს გული რაზე გწყდება?**

- აუხდენელი ოცნება ქართველ ფეხბურთელს ყოველთვის ექნება. თუმცა, რაც იყო, კარგად უფრო მახსენდება, რადგან ფეხბურთმა ბევრი კარგი ადამიანი გამაცნო.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მწვრთნელები

ინტერვიუ თორნიკე მაისურაძესთან

# ოპტიმიზმი ერთსულოვნებით



**პირველი ეტაპის ბოლო ტურამდე ორი-სამი დღე იყო დარჩენილი, რუსთავის „ოლიმპში" მორიგი საკადრო გადაადგილება რომ მოხდა: გუნდის მთავარ მწვრთნელად ბევრისთვის უცნობი სპეციალისტი, 32 წლის თორნიკე მაისურაძე დაინიშნა. „ოლიმპის" არსებობის ისტორიაში ხშირ-ხშირი სამწვრთნელო ცვლილებები, ერთი შეხედვით, არავის უნდა გაჰკვირვებოდა; თუმცა, არც იმას დავმალავთ, რომ ბევრისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა პირველ ეტაპზე (სამთვე-ნახევრის განმავლობაში) „ოლიმპში" განხორციელებული სამი სამწვრთნელო გადაადგილება, ისე როგორც დებიუტანტი მწვრთნელისთვის ასეთი ნდობის გამოცხადება - თორნიკე მაისურაძეს ხომ „ოლიმპში" მისვლამდე ასეთ დონეზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონდა. თუმცა, იმის თქმაც არ შეიძლება, ეს ახალგაზრდა კაცი თავისთვის უცხო საქმეს შეეჭიდაო: ბავშვთა ფეხბურთის ცნობილი მწვრთნელის, ზურაბ მაისურაძის ვაჟი თავის დროზე პერსპექტიულ მოთამაშედაც მიიჩნეოდა, მაგრამ ქრონიკული ტრავმების გამო აქტიური კარიერის ადრეულ ასაკში დასრულება მოუხდა. მოკლედ, მთლად „უცხო სამყარო" არ იყო, მაგრამ იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, სად დაიწყებს დებიუტანტი სპეციალისტი სამწვრთნელო საქმიანობას? იმის გარდა, რომ „ოლიმპი" მოქმედი ჩემპიონია, ამ სეზონშიც ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მოიაზრება და დღესდღეობითაც სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფება. თორნიკე მაისურაძის ხელმძღვანელობით „ოლიმპმა" 4 ოფიციალური და 7 საკონტროლო მატჩი ჩაატარა და არც ერთში დამარცხებულა; ეგ კი არა, „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნიდან ორიოდ კვირაში მაისურაძემ პირველი ტიტულიც მოიპოვა - საქართველოს სუპერთასი!**

**...მოქმედი ჩემპიონის ახალგაზრდა თავკაცს პირველად მაშინ ვესაუბრეთ, მისი ხელმძღვანელობით „ოლიმპს" მხოლოდ ორი ოფიციალური შეხვედრა რომ ჰქონდა ჩატარებული; მაშინვე გვენიშნა დებიუტანტი სპეციალისტის ოპტიმიზმი და მიზანდასახულობა, - ბევრმა, შესაძლოა, საფუძველმოკლებულ (გნებავთ, ზედმეტ) ამბიციადაც რომ შეაფასა. თუმცა, დრო საპირისპიროს ამტკიცებს: „ოლიმპი" სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა და ამ გუნდის ახალგაზრდა თავკაცის აზრით, ტიტულის შენარჩუნებისათვის ყველა წინა პირობაც არსებობს.**

**XXII ჩემპიონატის მწვრთნელებს შორის ყველაზე ახალგაზრდა სპეციალისტს გუშინ შევხვდით: „ოლიმპმა" ვარჯიში დაამთავრა და თორნიკე მაისურაძეც „ლელოს" კითხვებს პასუხობს...**

**- სატურნირო ცხრილს რომ უცქერთ, როგორი განწყობა გაქვთ? ანუ, ლიდერობა გარკვეულ ფსიქოლოგიურ წნეხში ხომ არ გაქცევთ?**

- პირიქით, ერთობ კომფორტულად და, რაც მთავარია, ამაყად ვგრძნობ თავს. თუმცა, ყოველივე ეს კანონზომიერ მოვლენად მიმაჩნია: „ოლიმპში" წესიერი ხალხია შეკრებილი, ტექნიკური პერსონალი, ფეხბურთელები, ყველა ცდილობს თავისი საქმე პირნათლად შეასრულოს. ამას გარდა, ძალიან მახარებს ის, რომ კლუბში ერთსულოვნება იგრძნობა, - ეს კი, საბოლოო წარმატების მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

**- გულახდილად გვითხარით: სულ რაღაც სამიოთხი თვის წინ იფიქრებდით, თქვენი ცხოვრება ასე უცბად თუ შეიცვლებოდა?**

- გეთანხმებით, - ამ დროის განმავლობაში მართლაც ბევრი რამ შეიცვალა. მით უფრო, ვიდრე „ოლიმპში" მოვიდოდი, სხვა საქმიანობით ვიყავი დამოკიდებული; მაგრამ, როცა ასეთი შემოთავაზება მივიღე, მივიჩნიე, რომ თანხმობა უნდა მეთქვა: ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ის საქმეა, ყველაზე კარგად რაც ვიცი და მესმის; ვფიქრობ, ასეთ ნდობას ჯერჯერობით ვამართლებ და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვან.

**- ახალგაზრდა და დებიუტანტი მწვრთნელისგან ზედმეტად ოპტიმისტური განცხადება ხომ არ არის?**

- საერთოდ, ბუნებით ოპტიმისტი ვარ; შესაძლოა, „გარედან" სხვანაირად ჩანდეს, მაგრამ მუდამ იმას ვცდილობ, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი მოვძებნო. თანაც, რატომ არ უნდა მქონდეს ოპტიმისტური განწყობა, როცა ჩემპიონ გუნდში ვმუშაობ, ცხრილში პირველ ადგილზე ვართ და იმედი მაქვს, სეზონს საქართველოს ჩემპიონის რანგში დავასრულებთ.

**- თქვენი თანამდებობ(ებ)ის დაზუსტებაც გვინდა: ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვიეთ, მთავარი მწვრთნელი ხართ, გენერალური დირექტორი თუ მწვრთნელ-სელექციონერი?**

- სამწუხაროდ, უმაღლეს ლიგაში მუშაობისათვის აუცილებელი A ლიცენზია ჯერჯერობით არა მაქვს და ოფიციალურად „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელად არმაზ ჯელაძე ითვლება; თუმცა, თქვენც და, ალბათ, ყველამ იცის, რომ ფაქტობრივად, მე ვხელმძღვანელობ გუნდს.

**- გენერალურ დირექტორობაზე არაფერი გითქვამთ; ევროპაში მსგავსი პრეცედენტი უამრავია, მაგრამ საქართველოში მთავარ მწვრთნელს კლუბის გენერალური დირექტორობაც შეეთავსებინოს, ვერაფრით გაგვიხსენებია.**

- პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ „ოლიმპის" საკლუბო სტრუქტურაში ბევრი რამ შეიცვალა: ახალი ფინანსისტი გვყავს, ახალი - იურისტი, ახალი - პრესატაშე, ჩამოყალიბდა გულშემატკივრებთან ურთიერთობის კომიტეტიც. აი, რაც შეეხება გენერალურ დირექტორობას, ამ შემთხვევაში კლუბის ხელმძღვანელობამ არჩევანი ჩემზე შეაჩერა და, სამწვრთნელო საქმიანობის გარდა, ფაქტობრივად, დანარჩენი ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაც მევალება.

**- არცთუ შორეულ წარსულში კი არა, საერთოდაც „ოლიმპის" ერთ-ერთი „საფირმო" ნიშანი ყოველ ექვს თვეში გუნდის, თითქმის 100 პროცენტით შეცვლა იყო ხოლმე. ამჯერად ასე არ მომხდარა, თუმცა, იმავე თემურ ლონლაძის „ოლიმპიდან" წასვლა, ცოტა არ იყოს, უცნაურად მიგვაჩნია.**

- „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის რანგში „ლელოსთან" პირველ ინტერვიუშიც გითხარით, რომ ზამთრის მოსამზადებელ პერიოდში გუნდში ადრინდელივით 15-16 ფეხბურთელის წასვლა-მოსვლა აღარ იქნებოდა. ასეც მოხდა: პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ სინჯები მოვაწყეთ და ვინც თავი მოგვაწონა, „ოლიმპში" ავიყვანეთ. რა თქმა უნდა, შეგვეძლო უცხოელი ფეხბურთელები მოგვეწვია, მაგრამ კლუბის პრეზიდენტისა და ჩემი აზრიც ამ საკითხთან დაკავშირებით ერთნაირია: გვირჩევნია, ახალგაზრდა, ნიჭიერ ქართველ ფეხბურთელებს გზა გავუხსნათ. აი, თუნდაც მურველაშვილის მაგალითზე გეტყვით: ყველასათვის უცნობ თელაველ ბიჭს, უკვე ისე განვიხილავთ, როგორც ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელს.

**- ლონლაძეზე არაფერი გითქვამთ...**

- პირველ ეტაპზე ლონლაძე ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი იყო; თუმცა, მურველაშვილის დამატებით და იმის გათვალისწინებითაც, რომ ლაშა ჯაფარიძეს სწორედ მარჯვენა მცველად მოვიაზრებ, ლონლაძეს ვუთხარი, რომ მზად უნდა ყოფილიყო იმისათვისაც, მის პოზიციაზე ხანდახან სხვას ეთამაშა. ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია ფეხბურთელის სურვილი, მუდამ ძირითადში თამაშზე რომ ჰქონდეს პრეტენზია; მოკლედ, ურთიერთშეთანხმებით კონტრაქტი გავწყვიტეთ და ახლა მინდა, ლონლაძეს წარმატება ვუსურვო თავის ახალ გუნდში.

**- კონტრაქტები ახსენეთ და ამ მხრივ რა სიახლეა „ოლიმპში"?**

- ყველა ახალწვეულთან გრძელვადიანი კონტრაქტები გავაფორმეთ, ძველი შემადგენლობის ფეხბურთელებთან კი მაისის ბოლოს ხელშეკრულებები გადაიხედება. ყოველ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე არავინ დაგვტოვებს. პირიქით, ახალი სახეების გამოჩენასაც ნუ გამორიცხავთ.

**- სხვათა შორის, დღევანდელ ვარჯიშზე ილია პავლიაშვილიც ვიხილეთ - ეს ახალგაზრდა ფორვარდი, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თურქულ შეკრებაზე არ გყოლიათ.**

- პავლიაშვილი ჩვენთან სინჯებზეა და ხუთიოდ დღეში ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაფერი გაირკვევა.

**- ახალს არავისთვის ვიტყვით: ამ სეზონში ჩემპიონობისათვის „ზესტაფონმა", „დინამომ" და „ოლიმპმა" უნდა იბრძოლონ. როგორ ფიქრობთ, აქვს კი თქვენს გუნდს ის საკმარისი რესურსი, საკმაოდ გაძლიერებულ კონკურენტებს რომ აჯობოთ?**

- არც მე ვიტყვი ახალს - ფეხბურთში... სახელი და გვარი არ არის გადამწყვეტი ფაქტორი; კი, შესაძლოა, ცოტა გაგვიჭირდეს ჩემპიონობის შენარჩუნება, მაგრამ წელსაც აღვნიშნე, რომ იმედიანად ვუცქერ მომავალს. თანაც, ჩემი აზრით, დღევანდელ „ოლიმპში" საკმარისზე მეტი ისეთი ფეხბურთელია, თავიანთ ამპლუებში საქართველოში საუკეთესოებად რომ მიმაჩნია.

**- უკანასკნელ მატჩში ჯაფარიძე მარჯვენა მცველად ვიხილეთ, დობროვოლსკი - მარცხენა მცველად; ამპლუაშეცვლილი ამ ფეხბურთელების გარდა ისიც გვეუცნაურა, პირველ ეტაპზე „ოლიმპის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გიორგი ქავთარაძე ძირითადში რომ არ იყო...**

- ჯაფარიძეზე უკვე მოგახსენეთ: „მემარჯვენეა" და ადრე საპირისპირო ფლანგზე იმიტომ თამაშობდა, „ცაცია" მცველი რომ არ გვყავდა; მიმაჩნია, რომ დობროვოლსკიც კარგად ასრულებს ჩვენს დავალებებს; აი, რაც შეეხება ქავთარაძეს, შეფასებაში გეთანხმებით, თუმცა დღევანდელ „ოლიმპში" არც ერთმა ფეხბურთელმა არ უნდა იგრძნოს თავი შეუცვლელად. სხვათა შორის, ალბათ დამეთანხმებით, რომ სწორედ შეცვლაზე შემოსულმა ქავთარაძემ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი „ვიტ ჯორჯიასთან" გამარჯვებაში.

**- „ოლიმპის" კიდევ ერთ რგოლზე გვინდა გკითხოთ: ფაქტობრივად, ისეთი სიტუაციაა, რომ გუნდს მხოლოდ ერთი კვალიფიციური ფორვარდი ჰყავს ირაკლი მოდებაძის სახით.**

- რატომ? „ოლიმპში" არიან ახალგაზრდა თავდამსხმელები - უგულავა და ბახტაძე, პავლიაშვილსაც ვაკვირდებით; არ დაგავიწყდეთ რევაზ ბარაბაძეც, რომელიც ამჟამად ტრავმირებულია.

**- ბარბარაძე რომ „ოლიმპს" გააძლიერებს, ფაქტია და ამ ჩინებული ფიზიკური მონაცემების მქონე ახალგაზრდა ფორვარდის დაბრუნებას როდის უნდა ველოდოთ?**

- ერთ კვირაში ვარჯიშს დაიწყებს, სავარაუდოდ, მარტის ბოლოს კი, ალბათ, თამაშსაც შეძლებს. არავის დაკნინებას არ ვაპირებ, მაგრამ ბარაბაძის დონის ფორვარდი საქართველოს ჩემპიონატში ბევრი არ უნდა იყოს...

**- უახლოეს ცხრა დღეში „ოლიმპს" სამი ურთულესი მატჩი ელოდება: „ტორპედოსთან", „დინამოსთან", „ზესტაფონთან"...**

- სხვათა შორის, ჩვენ კონკურენტებსაც ანალოგიური გრაფიკი აქვთ, ანუ არც ერთ ფავორიტზე არ ითქმის, რაიმე უპირატესობა ექნებაო. თუმცა, არც იმას დავმალავ, რომ თებერვალში წარმატებული სტარტი ნებისმიერი ფავორიტისათვის სერიოზული სტიმულიც უნდა იყოს და ჰანდიკაპიც.

**- საუბრის დასაწყისში A ლიცენზიის არქონა ახსენეთ, როდის აპირებთ ამ საკითხის მოგვარებას და საერთოდაც, ცოდნის გაღრმავებისთვის დრო თუ გრჩებათ?**

- სამწუხაროდ, ჯერ შეკრებაზე ვიყავით, ახლა ჩემპიონატი დაიწყო და A ლიცენზიის აღება სამომავლოდ უნდა გადავდო. ისე როგორც სხვადასხვა სამწვრთნელო სემინარზე დასწრება, - კლუბის ხელმძღვანელებისგან ამ მხრივ სრული მხარდაჭერა მაქვს. მთავარ მწვრთნელობასთან ერთად გენერალური დირექტორობა რაც შევითავსე, აი, ამის მერე თავისუფალი დრო საერთოდ აღარ მრჩება - სამ დღეში 2-3 საათი თუ „გამოჩნდა", იდეალურ ვარიანტად მივიჩნევ.

**- და ბოლოს, მამათქვენზეც გვინდა გკითხოთ: ზურაბ მაისურაძე თავისი რჩევებით ახალგაზრდა სპეციალისტს არ ეხმარება? თანაც, „ოლიმპის" საშინაო მატჩებზეც თვალი ვერსად მოგვიკრავს...**

- როგორც ყველა მამა უნდა აძლევდეს შვილს რჩევებს, ასეა ჩვენს შემთხვევაშიც; მით უფრო, რომ მამაჩემი საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად მიმაჩნია. ოღონდ, „ოლიმპის" საწვრთნელ პროცესშიც არასდროს ჩარეულა და ჩვენს საშინაო შეხვედრებზეც, ცდილობს, სადღაც, მოფარებულ ადგილას დაჯდეს. თუმცა, ვიცი, რომ მოედანზე მიმდინარე მოვლენებს ჩემზე მეტად განიცდის...

**გია ტუხაშვილი**

გაგრა

## გაბედავა და პატარა ნიგერიელი

### თასის ნახევარფინალისტი თოვლმა ზღვიდან გამოისტუმრა

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება 26 თებერვალს განახლდება და, შესაბამისად, მისი ბინადარი გუნდები მოსამზადებელ პერიოდს აქტიურად განაგრძობენ. თუმცა დასავლეთ საქართველოში უხვად მოსულმა თოვლმა ბევრი მათგანის მზადებაში სერიოზული კორექტივები შეიტანა.

უამინდობისგან დაზარალებულთა შორისაა საქართველოს თასის ნახევარფინალში გასული "გაგრა", რომელსაც ორი შეკრება ჰქონდა დაგეგმილი და სრულად ერთიც ვერ ჩაატარა. **ანატოლი პისკოვეცის** გუნდი ჯერ ურეკში ვარჯიშობდა, მერე დიდთოვლობის გამო ბათუმში გადაინაცვლა, მაგრამ იმავე მიზეზით საწვრთნელი პროცესი იქაც ჩაიშალა და "გაგრა", რომელიც ზღვისპირეთში წესით, 21 თებერვლამდე უნდა დარჩენილიყო, თბილისისკენ ნაადრევად გამობრუნდა. შესაბამისად, ვერ მოხერხდა ურეკულ და ბათუმურ შეკრებებზე დაგეგმილი რამდენიმე საკონტროლო მატჩის გამართვა.

ამჟამად "გაგრა" დედაქალაქში მდებარე სასტუმრო "პრესტიჟშია" დაბინავებული და ტესტმატჩებსაც თბილისში ჩაატარებს. შეხვედრები 17, 19 და 21 თებერვალს გაიმართება. რაკი უმაღლეს ლიგაში სეზონი უკვე განახლდა, "გაგრას" სამივე სპარინგპარტნიორი, სავარაუდოდ, პირველლიგელი იქნება. აქამდე კი "გაგრამ" ბათუმის "დინამოსთან" 0:0 ითამაშა, ხოლო "სამტრედიას" 2:1 მოუგო.

"ლელოს" მკითხველმა უკვე იცის, რომ "გაგრამ" ფოთის "კოლხეთიდან" **დათა სიჭინავა** და **დავით ციცხვაია** დაიმატა, მოგვიანებით კლუბმა ზუგდიდელი **დავით ჯანაშიაც** შეიმატა. გადაწყვეტილი ამბავია გუნდში **გიორგი გაბედავას** დარჩენაც. ნიჭიერ თავდამსხმელს უკრაინულ "ილიჩივეცთან" კონტრაქტი დაუსრულდა და სეზონს მშობლიურ კლუბში ჩაამთავრებს, რამაც, წესით, ჩემპიონატშიც და თასის გათამაშებაშიც "გაგრას" წარმატების შანსები საგრძნობლად უნდა გაზარდოს.

"გაგრას" ნიგერიელ ახალწვეულებზე უკვე ვწერდით, მაგრამ ახლა უფრო კონკრეტულ ინფორმაციას მოგაწვდით. 23 იანვრიდან პისკოვეცის გუნდის შემადგენლობაში ამ ქვეყნის სამი წარმომადგენელი ვარჯიშობდა. ცენტრალური მცველი **ჟაჟა** პისკოვეცმა მალევე დაიწუნა და სამშობლოში გააბრუნა, ორი ნიგერიელი კი ახლაც უკრაინელი სპეციალისტის განკარგულებაშია. 18 წლის თავდამსხმელმა **ჰუსეინ სადიქმა** პისკოვეცსა და მის ასისტენტებს თავი "ბენდელას თასის" გათამაშებაზე მოაწონა, შემდეგ მწვრთნელები მას ურეკულ შეკრებაზე დააკვირდნენ, მაგრამ მის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერაც არ მიუღიათ. სადიქის ბედი რამდენიმე დღეში გაირკვევა.

სამაგიეროდ, გადაწყვეტილია "გაგრაში" **ჯონს ჯერემის** გადასვლა. ისიც ცენტრფორვარდია და, როგორც ხვდებით, თავის თანამემამულეებზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. თუმცა მასთან დაკავშირებით ქართული კლუბი დიდ დაბრკოლებას წააწყდა. საქმე ისაა, რომ ჯერემის 18 წელი სექტემბერში უსრულდება და მანამდე მასთან კონტრაქტის გაფორმება ვერ ხერხდება. ეს პრობლემა არ შეიქმნებოდა, საქართველოს ნიგერიასთან დიპლომატიური ურთიერთობა რომ ჰქონოდა. სანამ 18-ისა არ გახდება, მას "გაგრას" შემადგენლობაში ოფიციალური მატჩების ჩატარების უფლება არ ექნება და მხოლოდ ვარჯიშსა და საკონტროლო შეხვედრებში მონაწილეობას დასჯერდება.

გაგრა დღეისთვის პირველ ლიგაში მეორე ადგილზეა და ერთპიროვნულ ლიდერ მარტვილის "მერანს" სამი ქულით ჩამორჩება. 26 თებერვალს პისკოვეცის გუნდი "ნორჩ დინამოელს" ესტუმრება. "ვიტ ჯორჯიასთან" პირველ სათასო ნახევარფინალურ მატჩს "გაგრა" 19 აპრილს ჩაატარებს, განმეორებითს – 4 მაისს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მილანური მატჩის ინგლისური ექო

# უხეშობა და უზრდელობა სან სიროზე

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩს „მილანსა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურს" შორის ინგლისურ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ინგლისელი ჟურნალისტები იმდენად გამარჯვებას არ ზეიმობენ, რამდენადაც **მატიო ფლამინისა** და **ჯენარო გატუზოს** საქციელით არიან აღშფოთებულნი. ფლამინიმ, რომელიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში „არსენალის" ფეხბურთელი იყო და ამდენად ინგლისური მასმედიისთვის უცხო არ არის, იუხეშა, გატუზო კი მატჩის შემდეგ „სფურზის" მწვრთნელს **ჰარი რედნაპის** ასისტენტ **ჯოი ჯორდანს** სწვდა ყელში. ცნობისათვის: ჯოი ჯორდანი სწორედ ის ყოფილი შოტლანდიელი ფეხბურთელია, რომელმაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე **ალექსანდრე ჩივაძის** ფეხის დაცდენით ისარგებლა და საბჭოთა კავშირის ნაკრების კარში პირველი გოლი შეაგდო. ქართველებისთვის ასე სამახსოვრო ის მატჩი 2:2 დასრულდა - ანგარიში ჩივაძემ თავად გაქვითა, საბჭოელთა მეორე გოლი კი **რამაზ შენგელიამ** შეაგდო.

თუმცა დავბრუნდეთ „სან სიროზე" და გავეცნოთ „დეილი მეილის" მიმომხილველის **მარტინ სემუელის** წერილის ფრაგმენტებს. ამ წერილში სემუელი სწორედ ფლამინისა და გატუზოს საქციელს არჩევს და ბევრ სხვა ინგლისელ ჟურნალისტთან შედარებით კორექტულიც არის. მას არ უწერია ისეთი ფრაზები, როგორიცაა, მაგალითად: „შეხვედრაში, რომელშიც „სფურზმა" მილანელი ცხოველები მოათვინიერა ჯოი ჯორდანს ჯენარო გატუზომ ურქინა".

სემუელი წერს, რომ ამ სეზონში ჰარი რედნაპმა „ტოტენჰემ ჰოთსპურის" კარგი თამაშის წყალობით ბევრი მეგობარი შეიძინა, მაგრამ სამშაბათ საღამოს მატიო ფლამინიმ და ჯენარო გატუზომ ისეთი რამ გააკეთეს, რომ სად-სად და ინგლისში, უკლებლივ ყველა „სფურზის" გულშემატკივარი გახდა.

„სიხარული, რომელიც „სან სიროს" „კურვა ნორდზე" მოკალათებულ ლონდონელ ფანებს პიტერ კრაუჩის დამსახურებულ გოლზე აღმოხდათ, ყველა ნეიტრალურ მაყურებელსაც გაახარებდა, რადგან მათ მანამდე ფლამინის სკანდალური უხეშობა ჰქონდათ ნანახი. უხეშობა, რომლის მაგვარიც ბოლო პერიოდში ძნელი გასახსენებელია და რომელიც ფლამინის შერჩა. ამის შემდეგ კი ჯენარო გატუზო მოიქცა ისე, როგორც ნამდვილად არ ეკადრება იტალიის სავარაუდოდ საუკეთესო გუნდის კაპიტანს. მან „მილანი" შეარცხვინა.

გეხსომებათ, რომ რამდენიმე წლის წინ „ბარსელონას" მიერ „ჩელსის" ჩემპიონთა ლიგაში საკამათო დამარცხების შემდეგ დიდიე დროგბამ ემოცია ვერ მოთოკა, რისთვისაც მას ექვსთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. სულ მცირე ასეთ დასჯას იმსახურებს გატუზოც. სასჯელს იმსახურებს ფლამინიც, რომელიც გატუზოზე უფრო ცუდად მოიქცა.

გატუზომ, რომელიც საპასუხო თამაშში ისედაც ვერ ითამაშებს, რადგან ყვითელი ბარათი მიიღო, მოედნის გარეთ ვერ მოთოკა ნერვები და „ტოტენჰემის" ასისტენტ-მწვრთნელსა და სათადარიგო ფეხბურთელს წაეჩხუბა, ფლამინიმ კი თავი მოედანზე დაკარგა. ჯორდანი იმ ეპიზოდში საკუთარ თავს დაიცავდა, აი, ხორვატ მცველ ვედრან ჩორლუკას კი შანსი არ ჰქონდა. ფლამინიმ მას ორი ფეხი უხეშად, გამეტებით, მწყობრიდან გამოსაყვანად ჩასცხო. ამ ჩარტყმის შემდეგ ჩორლუკამ ველარ ითამაშა, ნატკენზე დადებულ ყინულს ქვევიდან კი სისხლი მოსდიოდა. საბედნიეროდ ხორვატი გადარჩა, მას არც ძვალი გაბზარვია და არც მყესი ან კუნთი გასწყვეტია, თუმცა დაბეჯითებით ყველაფერს სკანირება იტყვის. შესაძლოა ფლამინიმ ამ საქციელით ჩრდილო ლონდონში თავისი ყოფილი გუნდის, „არსენალის" ერთიორი შერეკილი ფანი კი გაახარა, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მისმა თანამემამულე მსაჯმა სტეფან ლენუამ მას მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარა".

სემუელი თავის სტატიაში შეგვახსენებს თუ ვინ არის ფრანგი მსაჯი სტეფან ლენუა. ის, თურმე ის კაცია, რომელმაც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კოტ დ'ივუართან შეხვედრაში მოედნიდან უდანაშაულო **კაკა** გააგდო, ხოლო ბრაზილიელ **ლუიშ ფაბიანოს** იმავე შეხვედრაში გოლის გატანის წინ ხელით თამაშის ნება მისცა. კიდევ, ინგლისელი მიმომხილველი აკრიტიკებს უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** მიერ დამატებულ მსაჯებს. რა საჭიროა ეს ხალხი თუკი ასეთ პრინციპულ საკითხებზე პირში წყალს ჩაიგუბებენ.

მატჩის შემდეგ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით რედნაპმა თქვა: „ბრმისთვისაც ნათელი იყო, რომ მსაჯს წითელი ბარათი უნდა ამოეღო. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, რატომ დატოვა მსაჯმა ფლამინი მოედანზე. უეფა ვალდებულია ეს ეპიზოდი განიხილოს და ასეთი საშიში ქმედების გამო რაიმე იღონოს. ფლამინი მიწიდან საკმაოდ მაღლა, პირდაპირ შეტყუპებული ფეხებით გაფრინდა".

ფლამინი: „თამაში რომ დამთავრდა „ტოტენჰემის" გასახდელში მივედი, ჩორლუკას მდგომარეობა გავიგე და ბოდიში მოვიხადე".


მატიო ფლამინის „გმირობა"

● გამოხმაურება



ლიონ ბესტის გოლი

# ქეროლის შემდეგ

„ნიუკასლმა" **ენდი ქეროლის** გაყიდვის შემდეგ პირველი თამაში მოიგო - როგორც ჩანს, „კაჭკაჭები" საუკეთესო თავდამსხმელის დაკარგვის ფაქტს შეეგუვნენ და გონება მოედნისკენ მიმართეს. ბირმინგემის „სენტ ენდრიუზე" გოლები **პიტერ ლოვენკრანდსმა** და **ლიონ ბესტმა** გაიტანეს. ლოვენკრანდსმა ანგარიში თამაშის დაწყებისთანავე, მე-2 წუთზე გახსნა, ბესტმა კი მეორე ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში გაზარდა ანგარიში.

გამარჯვებულთა მწვრთნელმა **ალან პერდიუმაც** სწორედ იმას გაუსვა ხაზი, რომ ქეროლის გარეშე ცხოვრება და გამარჯვება შესაძლებელი ყოფილა: „ვფიქრობ, დღეს აშკარად გამოჩნდა, რომ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც „ნიუკასლში" დარჩნენ, ქეროლის გარეშეც შეუძლიათ გამარჯვება. განსაკუთრებით სასიამოვნო ის გახლდათ, რომ თავი ორმა თავდამსხმელმა გამოიჩინა. არადა, სწორედ ისინი იყვნენ განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ, მათ მისჩერებოდა უამრავი ეჭვნარევი მზერა. თან, ლოვენკრანდსი ბარძაყნატკენი გავიდა მოედანზე, ბესტი კი ბოლოს შევცვალე, რადგან შეხვედრის განმავლობაში ძალიან ბევრი იმუშავა და გადაიღალა. მაგრამ, ვიმეორებ, ჩემთვის ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ორივემ გაიტანა და თან თამაშიდან - არც ჯარიმა დაურტყამთ და არც პენალტი.

ამ შეხვედრამდე „არსენალთან" და „ბლექბერნთან" ფრეები ვითამაშეთ, ასე რომ, დრო იყო, მოგვეგო. ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, როგორ დავიწყებდით თამაშს. საბედნიეროდ, პირველივე წუთებში მეტოქეზე სწრაფად დავიწყეთ მოქმედება და ამან შედეგი მოგვიტანა. კარგი იყო, რომ სრიალა მინდორზე ბურთიც კარგად გავაგორეთ, ერთმანეთს ზუსტ პასებს ვაწვდიდით".

დამარცხებული მასპინძლის, „ბირმინგემის" მწვრთნელმა **ალექს მაკლიშმა** კი თქვა, რომ მის გუნდზე ბოლო პერიოდის გადატვირთულმა კალენდარმა იმოქმედა ცუდად. გარდა ამისა, მაკლიში შეწუხებული იყო, რომ მისმა ორმა მცველმა, **მარტინ ჟირანეკმა** და **ლაიამ რიჯუელმა** ტრავმები მიიღეს, თუმცა რამდენად სერიოზული, ამას ერთ-ორ დღეში ექიმები ეტყვიან: „ბოლო ერთი თვე ფანტასტიკური გვქონდა. „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერ იუნაიტედთან" 5:0 რომ დავმარცხდით მას მერე ხუთი თამაშიდან ოთხი მოვიგეთ და ერთი ფრედ დავასრულეთ. ამ შეხვედრებში აღმაფრენა გვეტყობოდა, მაგრამ დღეს ცოტა „ჩამქრალები" ვჩანდით. ბევრი რამ იმან განაპირობა, რომ შეხვედრის დაწყებისთანავე გოლი გავუშვით. ვფიქრობ, გადაღლამაც ითამაშა თავისი როლი. ფეხბურთელებისთვის საყვედურის თქმას არ ვაპირებ".

# ინგლისში დაბოვებული კბილები

**რობერტო მანჩინიმ** თავისი ახალი ფორვარდი **ედინ ჯეკო** გააკრიტიკა და მისი პრობლემები „ლივერპულიდან" „ჩელსიში" გადასული ესპანელი თავდამსხმელის, **ფერნანდო ტორესის** პრობლემებს შეადარა - სალონიკიში „მანჩესტერ სიტიმ", ევროლიგის შეხვედრაში, „არისთან" 0:0 ითამაშა, რაც ერთი შეხედვით მისთვის კარგია, რადგან საპასუხო მატჩი შინ ელის და ფავორიტად რჩება, მეორე მხრივ კი გამოამჟღავნა, რომ პერიოდულად ძალიან უკბილოა. გუნდს, რომლის დაკომპლექტებაში ასეულობით მილიონია დახარჯული „არისთან" ასე არ უნდა გასჭირვებოდაო, წერენ მიმომხილველები.

სალონიკის „არისი" საბერძნეთის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა და ასეთ მეტოქესთან პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერი ორ სახიფათო მომენტზე მეტს რომ ვერ შექმნი, აშკარაა რა ფეხბურთიც ითამაშე. თან, ედინ ჯეკო თავდასხმაში მარტო არ იყო, **კარლოს ტევესიც** გვერდით ჰყავდა და **დავიდ სილვაც** უმაგრებდა ზურგს.

ორივე ნახსენები საგოლე მომენტი ბოსნიელს ჰქონდა და მან ორივე ქარს გაატანა - რაც გერმანული „ვოლფსბურგიდან" ინგლისში გადავიდა ჯეკოს მარტო ერთი გოლი აქვს გატანილი და ისიც პირველი ლიგის „ნოთს ქაუნთის" კარში, არადა ისტლენდელებმა მასში 27 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. კიდევ, ბოსნიელმა გაღიზიანებული ქცევის გამო ამ შეხვედრაში ყვითელი ბარათი მიიღო, თამაშის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე კი ის **პაბლო საბალეტამ** შეცვალა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მანჩინის ვარაუდით, ჯეკო და ლივერპულელი ტორესი ერთი და იმავე პრობლემის წინაშე დგანან. იტალიელი მწვრთნელი ფიქრობს, რომ ბოსნიელი „სიტის" სეზონის დასაწყისში რომ შეერთებოდა და მოსამზადებელი პერიოდი მისი ხელმძღვანელობით გაევლო, დღეს სულ სხვა შედეგი ექნებოდა.

„მე მისგან მეტს ველი და ის ვალდებულია, რაც შეიძლება სწრაფად გამოასწოროს თამაში. ყოველ შეხვედრაში კარლოს ტევესი ვერ შეაგდებს, დროა სხვა მოთამაშეებმაც დაიწყონ გოლების გატანა. ჯეკო კარგი ფეხბურთელია, მაგრამ იმავე დღეშია, რა დღეშიცაა გახლავთ ტორესი ჩელსიში". საქმე ის არის, რომ როდესაც გუნდს იანვარში უერთდები ახალ თანაგუნდელებთან შეგუება და მათი სათამაშო სისტემისთვის ალღოს აღება ძნელია".

მანჩინიმ არც **შონ რაიტ-ფილიპსი** დაინდო. მწვრთნელმა ბრძანა, რომ ინგლისელმა გარემარბმა ჯეკოს ფლანგიდან საჭირო მხადაჭერა ვერ გაუწია:

„როდესაც მოედანზე ჯეკოა, ფლანგებიდან გაცილებით ხშირად უნდა ჩავაწოდოთ ხოლმე. შონი დღეს მოედანზე კი იყო, მაგრამ მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ჩემმა ბიჭებმა ერთადერთხელ ჩააწოდეს და ისიც გარეთ ბერიმ მოახერხა. 0:0 კარგი შედეგია, მაგრამ უკეთესიც შეიძლებოდა. შესაძლოა ცოტა რისკთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ მანჩესტერში „არისს" სულ სხვანაირად ვეთამაშებით".

ამ შეხვედრაზე ლაპარაკისას აუცილებლად უნდა ითქვას გულშემატკივრობის შესახებ. ინგლისელი ჟურნალისტების თქმით, „კლეანტის ვეკილიდისის" სახელობის 23-ათასიან სტადიონზე გაცილებით დიდი ღრიანცელი იდგა, ვიდრე გასულ შაბათს „ოლდ ტრეფორდზე" მანჩესტერული დერბის დროს. ზოგმა მიმომხილველმა სიტყვა შიშის მომგვრელიც კი ახსენა. „დეილი მეილი" წერს, რომ თუკი „არისს" ტრადიციულად ასე უჭერენ მხარს, მაშინ გასაგებია 43 წლის განმავლობაში, რატომ არ დამარცხებულა ეს გუნდი ევროშეჯიბრებებზე შინ, 26 შეხვედრაში. „სიტის" მანჩესტერიდან ჩაყოლილი ათასი ქომაგის ხმა საერთოდ არ ისმოდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

● სკანდალი

# ლურჯი ტრეფიკინგი


ჩელსიმ 15 წლის ბავშვი იყიდა?

ჰოლანდიაში „ჩელსის" საქმეს იძიებენ. უფრო სწორად, ჰოლანდიელ სამართალდამცავებს აინტერესებთ გამოიკვლიონ, როგორ მოხვდა იმედისმომცემი ფეხბურთელი, 15 წლის **ნათან აკე** (ალბათ ასე იკითხება სახელი და გვარი Nathan Ake) „ფეიენოორდიდან" ინგლისის ჩემპიონთა რიგებში. აკეში ლონდონელებს 780 ათასი ევრო აქვთ გადახდილი. ტრანსფერში სააგენტო Forza Fides, კერძოდ კი მისი წარმომადგენელი **დან კრამპი** მონაწილეობდა.

სკანდალური ამ ისტორიაში ის გახლავთ, რომ ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციის კანონებით 16 წელზე უმცროსი ფეხბურთელით ვაჭრობა აკრძალულია, კრამპმა კი საშობაოდ ბავშვს ხელი მოჰკიდა და ლონდონში ჩაიყვანა, სადაც გაყიდა კიდეც.

აკე ცენტრალური მცველია, რომელიც 16 წლისა ახლა, პარასკევს ხდება. გამომძიებლებმა მისი „ტვიტერში" დაწერილი შთაბეჭდილებებიც კი ნახეს, სადაც ჭაბუკი ლონდონის სასტუმროთი და „ჩელსიში" პირველი შემოწმებით არის კმაყოფილი.

ინგლისურმა ტაბლოიდმა „სანმა" მოიძია ფოტოები, სადაც ბედნიერი აკე ინგლისის ჩემპიონთა დიდ ვარსკვლავებთან არის გადაღებული და „კობჰემის" საწვრთნელ ბაზას ათვალიერებს.

ამ ამბავმა ყველაზე მეტად ჰოლანდიის ლეიბორისტული პარტიის წევრი, პარლამენტარი **ტიაედ ვეკენი** აღაშფოთა, რომელმაც საკანონმდებლო ორგანოში კოლეგებს საქმე გააცნო და გამოძიება მოითხოვა. „ეს ბავშვებით ვაჭრობა და ძალიან საშიში დანაშაულია" - თქვა მან.

ვეკენს მხარი ქვეყნის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **დენი ჰესპმა** დაუჭირა. „ბარსელონას" ყოფილი მეკარის **რუუდ ჰესპის** ძმამ თქვა: „კანონში მკაფიოდ წერია, რომ 16 წლამდე ბავშვს ვერ მიეკარები, ხსენებულმა აგენტმა კი 15 წლის ბავშვი მიჰყიდა „ჩელსის", ასე რომ, საქმეს გამოძიება სჭირდება".

ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ, რომელიც ახლა განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მოექცა, განაცხადა, რომ თავად გამოიძიებს ყველაფერს, თუმცა ყველაზე ჭკვიანური განცხადება მაინც „ჩელსის" პრესატაშესი გახლდათ:

„ნათან აკესადმი ჩვენი ინტერესის შესახებ „ფეიენოორდი" იმთავითვე ჩავაყენეთ საქმის კურსში და შევუთანხმდით კიდეც, რა პირობებზე ვიყიდით ამ ფეხბურთელს ივნისში".

ნაპოლი

# სკუდეტო? რატომაც არა!

## გუნდი მოძველებული ტაქტიკით



ვალტერ მაძარი

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების მთავარი აღმოჩენა „ნაპოლია", გუნდი, რომელსაც მაქსიმუმ ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა - სამხრეთელები, არც მეტი არც ნაკლები, საჩემპიონო მარათონში ჩაებნენ. ამას თავად ნეაპოლელებიც არ ელოდნენ, მაგრამ მიიღეს გამოწვევა და დღეს გუნდის თითოეულ ფეხბურთელს მიზნად სკუდეტოს მოპოვება აქვს დასახული. მთავარი მწვრთნელი შედარებით მოკრძალებულ კომენტარებს აკეთებს, მაგრამ გამორიცხულია, რომ ჩემპიონობაზე ისიც არ ფიქრობდეს. **ვალტერ მაძარი** უდავოდ წლის სპეციალისტია - საშუალო და საშუალოზე ოდნავ მაღალი კლასის ფეხბურთელებით სკუდეტოსთვის მებრძოლი გუნდი შექმნა, რაზეც თვით **აურელიო დე ლაურენტისი** ვერ იოცნებებდა - საკმაოდ ამბიციური და ოპტიმისტი საფეხბურთო მოღვაწე, „ნაპოლის" პრეზიდენტი.

ვალტერ მაძარი იმ იშვიათ სპეციალისტთა კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც სამი მცველით ათამაშებს გუნდს. 3-5-2 ტაქტიკა თითქოს მოძველებულია და ყველასგან მივიწყებული, მაგრამ სენიორ ვალტერმა მას აქტუალობა დაუბრუნა. იცით ალბათ, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე მანევრირებადი ტაქტიკური მონახაზია - თავდაცვისას ტრანსფორმირდება და 5-3-2 ხდება, შეტევაში კი პირვანდელ სახეს იბრუნებს. სათქმელად ადვილია, მაგრამ შესასრულებლად ძალიან რთული, ამად არის, რომ ბევრმა სპეციალისტმა თქვა ამ სქემაზე უარი და უფრო მარტივი გზა აირჩია. როდესაც მთელი შეხვედრის განმავლობაში სქემა ცვლილებებს განიცდის, გუნდის თამაშში ხარვეზების და შეცდომების ალბათობა ერთი-ორად იზრდება.

თუმცა, თუ მექანიზმი კარგად მუშაობს და ხარვეზი მინიმალურია, ტაქტიკა ძალიან ეფექტურია და ამართლებს. სწორედ ასე ხდება „ნაპოლის" შემთხვევაში, რაც მაძარის დამსახურებაა. სენიორ ვალტერს ერთი საინტერესო თვისებაც აქვს, შეუძლია საშუალო კლასის ფეხბურთელისგან მაქსიმალური სარგებელი მიიღოს და ისე აათამაშოს, შეიძლება თავად მოთამაშესაც გაუკვირდეს. მაგალითად, **კრისტიან მაჯო** ერთ-ერთი საუკეთესო მცველია სერია A-ში, მაგრამ რამდენჯერაც ეროვნული ნაკრების ამუნიცია მოირგო, იმდენჯერ შერცხვა. არადა, როდესაც მთელი სეზონი სტაბილურად მაღალ დონეზე ასპარეზობს ფეხბურთელი და ერთ-ერთი საუკეთესოა თავის ამპლუაში, ბუნებრივია, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელის ყურადღებასაც იქცევს. სწორედ ასე მოხვდა მაჯო „სკუადრა აძურას" ბოლო სამატჩო განაცხადში და გერმანიის წინააღმდეგ თითქმის ერთი ტაიმი დაყო მოედანზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე სუსტი იყო იტალიის ნაკრების შემადგენლობაში და გერმანელ შემტევებთან ძალიან დაიჩაგრა - სისწრაფეშიც და პოზიციურადაც არაერთი შეცდომა დაუშვა. სამაგიეროდ, დაბრუნდა „ნაპოლიში" და „რომასთან" გასვლით პაექრობაში თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. მაჯო თავად ისაუბრებს ამ ყველაფერზე:

*„კარგად ვიცი, რომ გერმანიასთან საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენე და ამას ყველაზე მეტად მე განვიცდი. კარგ ფორმაში ვარ და არ ვიცი, რატომ ვერ გამოვავლინე შესაძლებლობები. ფაქტია, რომ გუნდში გაცილებით უკეთ გამოვიყურები და საიმედოდ ვასპარეზობ. მართალია, „ნაპოლიში" ნახევარმცველი ვარ, მაგრამ დაცვითი ფუნქციების შესრულება ჩემი პირდაპირი მოვალეობაა და მიკვირს, რომ ნაკრებში თამაში არ გამომდის. იმედი მაქვს, მომდევნო შეხვედრაში უკეთ წარმოვჩნდები".*

საკითხავია, მიეცემა კი მაჯოს კიდევ ერთი შანსი ნაკრებში, თუმცა დღევანდელი ჩვენი თემა არა ნაკრები, არამედ „ნაპოლია" - ამიტომ, კიდევ ერთხელ გადავცეთ სიტყვა კრიატიანს, რომელიც სკუდეტოზე ღიად და „ურცხვად" საუბრობს: *„შემთხვევით შეიძლება ოთხი და ხუთი ტურის შემდეგ იყო სატურნირო ცხრილის სათავეში, მაგრამ როდესაც ჩემპიონატის სამი მეოთხედი უკან არის მოტოვებული, ამაზე საუბარიც კი ზედმეტია. ჩვენ წინ მხოლოდ „მილანია" და მიზანი ამ გუნდის გადასწრებაა. მასიმილიანო ალეგრის განკარგულებაში არაერთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნი. მეტსაც გეტყვით, ვფიქრობ, რომ დღესდღეობით, „ნაპოლი" უფრო ძლიერია, ვიდრე „მილანი". შესაბამისად, ერთი სული გვაქვს, როდის დადგება 28 თებერვალი და უმთავრეს კონკურენტს მისსავე მოედანზე დავამარცხებთ. ამის ძალა ნამდვილად შეგვწევს და პირადად მე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი".*

მაძარი ძალიან გულახდილია ჟურნალისტებთან ურთიერთობისას და აღიარებს, რომ ასეთი აღმასვლა თავადაც არ ჰქონდა დაგეგმილი, შესაბამისად, „ნაპოლის" მეორე ადგილი მისთვისაც სიურპრიზია. ერთი ხანობა, სამხრეთელთა თავკაცი თითქოს დაბნეულიც იყო და კომენტარის გაკეთება უჭირდა, თუმცა დროთა განმავლობაში დალაგდა და უკვე იცის, რა უნდა და რისკენ მიისწრაფვის:

*„გუნდის სათავეში მოსვლის დღიდან იმაზე ვზრუნავ, რომ თამაშის ხარისხი გავაუმჯობესო და კომპონენტები დავხვეწო. ყოველთვის უკმაყოფილო ვიყავი ისეთი მოგებული თამაშის შემდეგ, რომელშიც ცუდად ვიასპარეზეთ და პირიქით, მახარებდა კარგი თამაში თუნდაც წაგებულ პაექრობაში. ასეთი მიდგომით მოვედით დღემდე და შედეგიც სახეზეა. ამიტომ, მომავალშიც აღებული კურსით ვაპირებ სვლას და მჯერა, რომ კიდევ უფრო დიდ შედეგებს მივაღწევთ. სკუდეტო? - ტემპის დაგდებას არ ვაპირებთ და გამომდინარე აქედან, რატომაც არა?"*

**ლაშა წიკლაური**

ტრავმა

# აბიატის დიაგნოზი დაუსვეს

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე „ტოტენჰემთან" გამართული პაექრობა „მილანისთვის" ყოველმხრივ ცუდი გამოდგა. ერთი, რომ წააგო გუნდმა და მეორე, ძირითადი მეკარე **კრისტიან აბიატი** დაუშავდა. თუმცა ტრავმა იმაზე მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე პროგნოზებში საუბრობდნენ. იყო ვარაუდი, რომ აბიატის მინიმუმ ერთი თვე მოუწევდა უქმობა, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. აი, რას ამბობს „მილანის" მთავარი ექიმი:

*„კრიატიანი ძალიან უხერხულად შეეჯახა პიტერ კრაუჩს და იყო საშიშროება, რომ მძიმე ტრავმა მიელო. საბედნიეროდ, მეკარეს მხოლოდ კისერი გაუშეშდა, რომლის მკურნალობასაც მაქსიმუმ ერთი კვირა დასჭირდება. შესაძლოა, უკვე ხუთ დღეში სრული დატვირთვით განაახლოს ვარჯიში, მაგრამ უმჯობესია, კიდევ ორი დღით დავასვენოთ და ყოველგვარი გართულებებისგან თავი დავიზღვიოთ".*

მომდევნო უქმეებზე „მილანს" გასვლითი პაექრობა უწევს „კიევოსთან" და ამ თამაშში აბიატის მონაწილეობა გამორიცხულია. ძირითადი კიპერი ლომბარდიულ გრანდს XXVII ტურში, „ნაპოლისთან" პრინციპული პაექრობისთვის დაუბრუნდება.

**ლაშა წიკლაური**



აბიატი საკაცით გაიყვანეს

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კოენტრაუს დარჩენა მინდა

ლისაბონის "ბენფიკას" მარცხენა მცველმა **ფაბიო კოენტრაუმ** ერთ-ერთ პორტუგალიურ გამოცემას განდო, რომ მიუხედავად ევროპული გრანდების მისით დაინტერესებისა, ამჟამინდელი კლუბიდან წასვლის სურვილით მაინცდამაინც არ იწვის და შინ დარჩენა კონტრაქტის ამოწურვამდე, ანუ 2016 წლამდე სურს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელით დაინტერესება ოფიციალურად დაადასტურეს "რეალმა", "იუვენტუსმა", "ლივერპულმა" და "ბაიერნმა".

## ვესტ ბრომვიჩის უცნაური რეკორდი

"ვესტ ბრომვიჩის" სპორტულმა დირექტორმა **დენ ეშუორტმა** განაცხადა, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დროს მისმა კანტორამ თავდამსხმელის ყიდვის ან იჯარით აყვანის სარეკორდო, 29 წინადადებით მიმართა სხვადასხვა კლუბს. "ვესტ ბრომვიჩის" ხელმძღვანელთა შეშფოთება გასაგები იყო, რადგან შემტევებიდან **პიტერ ოდემვინგიეს** გარდა გოლის გატანას პრაქტიკულად ვერავინ ახერხებდა. ეშუორტის თქმით, პირველ რიგში სწორედ ფეხბურთელთა ასეთი სუსტი ფუნქციური მომზადება გახდა **რობერტო დი მატეოს** გუნდიდან გაშვების მიზეზი. საინტერესოა, რომ კლუბმა 29-დან მხოლოდ ერთი, არსენალელი **კარლოს ველას** გადაბირება (იჯარით) მოახერხა. მათ **იონ კარეუს** შეძენაც შეეძლოთ, მაგრამ ნორვეგიელმა "სტოკ სიტი" არჩია. *"იანვრის შემდეგ ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი. ეს ბუნებრივიც არის. ურიცხვი ვარიანტიდან ზოგიერთის გადასაბირებლად ფული არ გვეყო, ორმა ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა, ორმა უარი იმ მოტივით თქვა, რომ სადაც ახლა თამაშობდნენ იმ ქვეყნის დატოვება არ სურდათ. ეს პროცესი საოცრად გაიწელა,"* – განაცხადა ჩინოვნიკმა.

## ჟალე პარკ დე პრენსზე რჩება

"პარი სენ-ჟერმენის" 27 წლის მარჯვენა მცველი **კრისტოფ ჟალე** დათანხმდა კლუბის წინადადებას და უახლოეს დღეებში პარიზელებთან ახალ, სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. მიმდინარე ხელშეკრულება ფეხბურთელს 2013 წლის ივლისში უსრულდება, თუმცა მხარეებმა ვადამდე ისურვეს თანამშრომლობის გაგრძელება. კრისტოფი წელს გუნდის ერთ-ერთი ლიდერია - მან ლიგა 1-ში უკვე 22 მატჩში ითამაშა.

## ლანსი თინეიჯერებს ენდობა

"ლანსმა" დუბლებიდან ძირითად გუნდში დააწინაურა და სამწლიანი პროფესიული კონტრაქტი გაუფორმა 18 წლის საყრდენ ნახევარმცველ **ალექსანდრ კოეფს**. ძირითადი გუნდის სამწვრთნელო შტაბი ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებს. გეტყვით, რომ მას საფრანგეთის ასაკობრივ ნაკრებებში 21 შეხვედრა აქვს ჩატარებული და ასაკის მიუხედავად უკვე 19-წლამდელთა გუნდშიც იწვევენ. ალექსანდრს ჯერჯერობით "ლანსის" პირველ გუნდში არც ერთი შეხვედრა არ ჩაუტარებია.

## მარსელი ელ-არაბის აკვირდება

მარსელის "ოლიმპიკი" ზაფხულზე "კაენისა" და მაროკოს ნაკრების 24 წლის თავდამსხმელის **იუსეფ ელ-არაბის** შეძენას გეგმავს. ზღვისპირელები სწორედ აფრიკელით გეგმავენ ბრაზილიელი **ბრანდაოს** შეცვლას, რომლის წასვლა "ველოდრომიდან" უკვე გადაწყვეტილია. ელ-არაბის "კაენთან" ხელშეკრულება 2013 წლამდე აკავშირებს და საფრანგეთის ჩემპიონებს მისი შეძენა დაახლოებით 5-6 მილიონი ევრო დაუჯდებათ. მიმდინარე სეზონში იუნესმა 22 შეხვედრაში 11 გოლის გატანა მოახერხა.

## ფულჰემი როგორც სუფთა ჰაერი

ისლანდიის ნაკრების თავდამსხმელი **ეიდურ გუდიონსენი** მოხარულია, რომ კარიერის გაგრძელების საშუალება "ფულჰემში" მიეცა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი კონტრაქტით "სტოკ სიტის" ეკუთვნის და ლონდონში იჯარის წესით თამაშობს.

*"სტოკ სიტიში" ძალიან ბევრი პრობლემა მქონდა, რომლის გადალახვას ვერაფრით ვახერხებდი. პრობლემებით დამძიმებულს "ფულჰემმა" როგორც სუფთა ჰაერმა, ისე მომისწრო. მესმის, რომ ლონდონელებთან მუდმივი კონტრაქტი არ მაკავშირებს, მაგრამ ვეცდები მომავალ სეზონშიც აქ დავრჩე. საამისოდ ყველაფერი უნდა ვაჩვენო, რაც შემიძლია, მას მერე ისლა დამრჩება, ზაფხულს დაველოდო. 32 წლის ვარ. ასაკის მიუხედავად მშვენიერ ფორმაში გახლავართ. არც ტრავმები მაწუხებს და თავის გამოჩენის ამბიციაც მაქვს. ვფიქრობ, პრემიერლიგაში სათანადო დონეზე ასპარეზობა ჯერ კიდევ შემიძლია. კლუბში ფანტასტიკური პირობები და მშვენიერი გარემო დამხვდა. საწვრთნელი პროცესით კმაყოფილი ვარ,"* – განუცხადა ფეხბურთელმა "ევროსპორტს".

## ყატარ ჰოლდინგი უარყოფს

საინვესტიციო კომპანია "ყატარ ჰოლდინგის" შესახებ ამ ბოლო დროს უამრავი ჭორი დაირხა. ზოგადად, მას შემდეგ, რაც ფიფამ ყატარს მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება ანდო, ამ ქვეყნის ამოუწურავი ფინანსური რესურსების საფეხბურთო ბიზნესში ჩადების შესახებ ჭორაობა არ წყდება. ერთ-ერთი მათ შორის, ვიზეც ინგლისური პრესა ამ დღეებში ბევრს წერს, "ყატარ ჰოლდინგია". ამბობენ, რომ ისინი მზად არიან თვით "მანჩესტერ იუნაიტედის" საყიდლად დაიწყონ მოლაპარაკება. "ევროსპორტს" თავად დაუკავშირდა ფირმის მავანი წარმომადგენელი, ვინც კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები და აღნიშნა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობას აზრად არ მოსვლა "მანიუს" შეძენა. ამ ადამიანმა საკუთარი ვინაობის დასახელება არ ისურვა.

ინგლისური პრესა არ ცხრება და აცხადებს, რომ მოლაპარაკებები მხოლოდ დროებით შეწყდა, რადგან **გლეიზერებისა** და ყატარელთა წინადადებების შეჯერება ვერ მოხერხდა. ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები.

## ბირმინგემმა შეათანხმა

"ბირმინგემ სიტიმ" რუსეთის ექსჩემპიონ "რუბინთან" უკვე ყველაფერი შეათანხმა და უახლოეს დღეებში იჯარით გადაყვანილი **ობაფემი მარტინსის** ტრანსფერს საბოლოოდ გამოისყიდის, - გვამცნობს "დეილი მეილი". გაზეთი წყაროს არ ასახელებს, მაგრამ იმას კი გადაჭრით ამბობს, რომ ინგლისელებს 27 წლის ნიგერიელის შეძენა 5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ სიხარულით ცას სწვდება, რომ რუსეთის ჩემპიონატს თავი დააღწია.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციფრებით მოყოლილი ამბები

# ფეხბურთთან პირნათელი რონალდო, ფეხბედნიერი რუნი და მარსელო

**მაშ ასე, თქვენ წინაშე კიდევ ერთი ახალი რუბრიკაა - „ციფრებით მოყოლილი ამბები“. დღეს გასული კვირის საფეხბურთო ამბებიდან „ოუ ფენომენოს“ ანუ ლუის ნაზარიო დე ლიმას, იმავე რონალდოს სპორტიდან წასვლას და ნეაპოლელთა რომაულ „ლაშქრობას“ გამოვყოფთ, აგიხსნით, თუ რას მოასწავებს, როცა გოლი უეინ რუნის ან მარსელოს გააქვთ. ამ ყველაფერში კი ფიფა-ს ოფიციალური საიტი დაგვეხმარება.**



აი, რატომ იყო რონალდო ფენომენი

**726** წუთი ვერ გაჰქონდა სტუმრად გოლი „ნიუელს ოლდ ბოიზს“ ოფიციალურ მატჩებში. როსარიოელთა საგოლე „შიმშილობას“ წერტილი მათმა ტანმაღალმა ფორვარდმა **ხუან მანუელ კობელიმ** დაუსვა. წარმოიდგინეთ, გუნდს არგენტინის ჩემპიონატში ხუთი თვის განმავლობაში საგარეო მატჩებში გოლი ვერ გაჰქონდა (!) და ეს კლაუსურას პირველივე ტურში მოახერხა, თუმცა კობელის გოლის მიუხედავად, „ლა ლეპრა“ „ესტუდიანტესთან“ 1:2 დამარცხდა.

**420** ამდენი გოლით ფეხბურთიდან პირნათელი წავიდა ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო. მან ეს საკლუბო თუ სანაკრებო მაისურით 620 ჩატარებულ მატჩში მოახერხა. „ფენომენი“ სამჯერ ფლობდა ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს, ასეთი შედეგი კი მის გარდა მხოლოდ **ზინედინ ზიდანს** ჰქონდა. რონალდომ ბრაზილიის ნაკრებში 62 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ფეხბურთის მეფე **პელეს** ჩამორჩა, რომელმაც 77 გოლი გაიტანა „სელესაოს“ შემადგენლობაში. მსოფლიოს ჩემპიონატებზე რონალდომ 19 თამაშში 15 გოლი გაიტანა და **გერდ მიულერის** რეკორდი უკან ჩამოიტოვა.

**41** **უეინ რუნიმ** „ოლდ ტრეფორდზე“ 41-ე გოლი გაიტანა ამ კვირაში და ყველა შემთხვევაში, როცა ამ სტადიონზე რუნის გოლი გაჰქონდა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ იგებდა - 41-დან 41-ჯერვე! შეგახსენებთ, რომ რუნის 41-ე გოლი, რომელიც მან „სიტის“ კარში გაიტანა, ფანტასტიკური სილამაზისა იყო - მაღალ ნახტომში დარტყმული „მაკრატელა“. უკვე მე-9 მანჩესტერული დერბია, რაც ის გუნდი იგებს, რომელიც მატჩში პირველ გოლს გაიტანს.

**32** %, ზუსტად ამდენს აკონტროლებდა „რეალი“ ბურთს ბარსელონაში „ესპანიოლის“ წინააღმდეგ მატჩში. ეს მაჩვენებელი „სამეფო კლუბის“ ანტირეკორდია ლა ლიგის ბოლო 5 ჩემპიონატში. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ უკვე მე-2 წუთზე „რეალს“ კაპიტანი და გოლკიპერი **იკერ კასილიასი** გაუძევეს. მაგრამ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ფეხბურთში მთავარი ეს არაა - მიუხედავად ბურთის ფლობის საშინელი პროცენტისა, 10 კაცით თამაშისა, „რეალმა“ მნიშვნელოვანი თამაში მაინც მოიგო - 1:0. საპირისპიროდ შეგვიძლია, ამავე ტურში „ბარსელონას“ ბურთის ფლობის გადასარევი პროცენტი (82) მოვიყვანოთ, რომელიც ამ სეზონში მე-2 საუკეთესო შედეგია „ბლაუგრანასთვის“ და... მიუხედავად ამისა, „ბარსამ“ 16-მოგებიანი სერია შეწყვიტა ხიხონში. გოლის ავტორი მარსელოა - ბრაზილიელმა სულ 8 გოლი გაიტანა პრიმერაში და როცა მას გაჰქონდა, „რეალი“ აუცილებლად იგებდა. ეგებ, ამ შემთხვევაშიც „რეალის“ გამარჯვების მიზეზი მარსელოა?

**17** წელიწადი და 5 თვე ვერ უგებდა „ნაპოლი“ „რომას“ იტალიის დედაქალაქში. ეს უსიამოვნო ტრადიცია სერია A-ს ბოლო ტურში დაემხო, როცა „ნაპოლიმ“ **ედინსონ კავანის** დუბლით „ოლიმპიკოზე“ 2:0 მოიგო, 1993 წლის 12 სექტემბრის შემდეგ პირველად. ურუგვაელმა უკვე მე-5 დუბლი მიითვალა ამ სეზონში და გოლების რიცხვი 20-მდე გაზარდა. კავანიმ უკვე გაუსწრო „ნაპოლის“ ისტორიაში **კარეკას** შედეგს ერთ სეზონში გატანილი გოლების რიცხვით და სულ 3 რჩება 1930 წლის რეკორდის დამხობამდე (**ანტონიო ვოიაკი**). კავანის აქვს შესანიშნავი შანსი **დიეგო მარადონას** შემდეგ პირველი ნაპოლელი გახდეს ჩემპიონატის ბომბარდირი, 1987/88 წლების სეზონში ლეგენდარულმა არგენტინელმა ეს სულ 15 გოლით მოახერხა.

ინტერვიუ. ემანუელ ადებაიორი

# ერთხელ მორინიოს რაულის მაისურის შოვნა ვთხოვე

**რაც ემანუელ ადებაიორი** „სამეფო კლუბის“ წევრი გახდა, ერთი თვე გახდა. გუშინ მან „რეალის“ ოფიციალურ საიტს ინტერვიუ მისცა, როცა ტოგოელი „ადიდასის“ სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობდა. ინტერვიუს აფრიკელის მონოლოგის სახით შემოგთავაზებთ.

*„ალბათ არ არსებობს ფეხბურთელი, ვისაც ერთხელ მაინც არ უოცნებია „რეალში“ თამაშზე. მე სულ რამდენიმე თვე მაქვს იმისთვის, რომ განახვოთ, რა შემიძლია. ამიტომ ვცდილობ ეს მცირე დრო ნაყოფიერად გამოვიყენო. ჩემი სურვილია, „რეალთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოვიგო.*

*აქ ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს, ფანტასტიკური კლუბია. ბიჭებმა მაგრძნობინეს, რომ სახლში მოვედი. ამიტომ, ახალ სამყაროს ძალიან მალე ვეგუები. ცოტა ენის ცოდნის პრობლემა მაქვს - კასილიასი და სერხიო რამოსი ინგლისურად მესაუბრებიან, ბენზემასთან კი ფრანგულად ვურთიერთობ. მინდა აღვნიშნო, რომ „რეალში“ ლასანას სახით ძალიან ახლო მეგობარი მყავს.*

*ძალიან მნიშვნელოვანია მწვრთნელის დამოკიდებულება ფეხბურთელისადმი, ის კი მოვიდა და პირველივე დღეს ყველაფერი ამიხსნა, მე უკვე ვიცოდი, რა სურდათ ჩემგან და რისი იმედი აქვთ. ჟოზემ მითხრა, რომ მოედანზე 100%-ით დავიხარჯო და ფეხბურთისგან სიამოვნება მივიღო. საოცარია, მაგრამ ჩემი თამაშის ისეთი დეტალები იცოდა, თავადაც რომ არ დავფიქრებულვარ ამაზე, რამდენიმე კონკრეტული რჩევაც მომცა.*

*არ ვიცი, რამდენი გოლის გატანას მოვასწრებ სეზონის ბოლომდე, მაგრამ თავს დავდებ „რეალის“ წარმატებისთვის. ყველა ჩვენგანის ვალია, კლუბისთვის თავი გაწიროს, ისე, როგორც ეს დი მარიამ „ესპანიოლთან“ მატჩში გააკეთა. ჩვენ მწვრთნელს მხოლოდ ერთი თავსატეხი უნდა დავუტოვოთ - როგორ აარჩიოს ამდენი კარგი ფეხბურთელისგან 11 საუკეთესო.*

*„ლიონამდე“ „ლევანტეა“, მე კი მჩვევია, მხოლოდ მომავალ მატჩზე ფიქრი.*

*ახლაც კი მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ იმ გუნდში ვთამაშობ, სადაც რაულს უთამაშია. ერთხელ „მონაკოში“ თამაშისას, მორინიოს ვთხოვე, რომ ჩემთვის რაულის მაისურა ეშოვა. რაული ამ კლუბის ისტორიაა და ფეხბურთის სიმბოლო. მას თავს როგორ შევადარებ, მაგრამ კი ვისურვებდი, რომ რაულივით წარმატებული ვყოფილიყავი“.*



ადებაიორს ლიგის მოგება დაუსახავს

განსაკუთრებული



მოურინიო შინ ციხე-სიმაგრესავით მაგარია

იშვიათია, ადამიანს ეთქვას, მე განსაკუთრებული ვარო და ეს ფრაზა საზოგადოებას მიეღოს. მიუხედავად იმისა, რომ მასაც დიდი წინააღმდეგობა ხვდება, ძალიან ბევრს აღიზიანებს მისი მანერები, დამოუკიდებელი აზროვნება, მაგრამ, ფაქტია, **ჟოზე მოურინიო** საქმით ამტკიცებს, რომ მისივე მაღალი წარმოდგენა საკუთარ პერსონაზე საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ არის.

ამ უქმეებს „რეალი“ „ლევანტეს“ უმასპინძლებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ და თუ „სამეფო კლუბი“ მოიგებს ან ფრეს ითამაშებს, ეს ჟოზე მოურინიოსთვის ზედიზედ 148-ე წაუგებელი მატჩი იქნება ჩემპიონატების საშინაო მატჩებში. რაც „განსაკუთრებული“ მთავარი მწვრთნელია, მან სულაც ერთი საშინაო მატჩი წააგო - ეს იყო ცხრა წლის წინათ (შაბათს გახდება), მაშინ პორტუგალიის ჩემპიონატში მოუს „პორტუმ“ შინ „ბეირა მართან“ წააგო. მას მერე მოურინიომ ჩემპიონატებში 122 მატჩი მოიგო და 25 ფრედ დაასრულა. არადა, ამ წლების განმავლობაში მან ოთხი ჩემპიონატი გამოიარა: ლიგა საგრეში, პრემიერლიგა, სერია A და ლა ლიგა - ერთმანეთზე უკეთესი.

ევროპის ლიგა, პლეი ოფის I მატჩების წინ


ჯანო ანანიძე

| | |
|---|---|
| არისი-მანჩესტერ სითი | 0:0 |
| რუბინი-ტვენტე | 16:00 |
| მეტალისტი-ლევერკუზ. | 20:00 |
| ანდერლეხტი-აიაქსი | 22:00 |
| ბატე-პსჟ | 22:00 |
| ბენფიკა-შტუტგარტი | 22:00 |
| ბეშიქთაში-დინამო | 22:00 |
| ლეხი-ბრაგა | 22:00 |
| ნაპოლი-ვილიარეალი | 22:00 |
| ბაზელი-სპარტაკი | 00:05 |
| ლილი-პსვ | 00:05 |
| პაოკ-ცსკა | 00:05 |
| რეინჯერსი-სპორტინგი | 00:05 |
| სევილია-პორტუ | 00:05 |
| სპარტა-ლივერპული | 00:05 |
| იანგ ბოიზი-ზენიტი | 00:05 |

## ვილას ბოასი სევილიაში საოცარი რეკორდით მიდის, როგორი წავა იქიდან?

# ველით ჯანოს მორიგ დებიუტს

დღეს ევროპის ლიგის პლეი ოფის პირველი ეტაპის მატჩებია. 16-დან ერთი შეხვედრა უკვე გაიმართა - **ექტორ რაულ კუპერის** ყოფილმა გუნდმა „არისმა“ არაფერი დაუთმო „მანჩესტერ სიტის“ და არც ამჯერად წააგო ევროთასის მატჩი შინაურ არენაზე - 0:0. მიუხედავად ამისა, მანჩესტერელები მერვედფინალში გასვლის ფავორიტებად რჩებიან.

ნებისმიერ ქართველ გულშემატკივარს ამ 15 წყვილიდან „ბაზელი“-“სპარტაკი“ უფრო აინტერესებს - ევროპის ლიგას მხოლოდ ერთი ქართველი შემორჩა, უფრო ზუსტად, **ჯანო ანანიძეს** შვეიცარიაში, წესით, დებიუტი უნდა ჰქონდეს ამ ტურნირში, რადგან „სპარტაკი“ იქ ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ მოხვდა, შვეიცარიაში „სპარტაკი“ ახალი დიზაინის თეთრ-წითელი ფორმებით გამოვა.

შვეიცარიელებთან მატჩისთვის „სპარტაკი“ თურქულ ბელეკში მოემზადა. ვნახოთ, მისცემს თუ არა თამაშის შანსს ახალგაზრდა ქართველს **ვალერი კარპინი**.

„რუბინი“-“ტვენტეს“ მატჩმა ჩვენი ყურადღება იმიტომ მიიპყრო, რომ, შესაძლოა, ის გადაიდოს - რუსეთის დედაქალაქში ისე ყინავს, რომ მასპინძელთა მწვრთნელმა **ყურბან ბერდიევმა** ასეთი ფრაზა თქვა: *„თუკი თამაშის დღეს - 20 გრადუსი იქნება, მაშინ „რუბინი“ თამაშის გადადების მომხრე იქნება“*, თორემ ამ გუნდში **ლაშა სალუქვაძის** წასვლის შემდეგ, ქართველი აღარ დარჩა და მისი გამოსვლა ჩვენ უკვე ნაკლებად გვაინტერესებს.

გადავინაცვლოთ „სანჩეს პისხუანზე“, სადაც ნამდვილი ფეხბურთის ზეიმს ველით (აბა, მინუს 20-გრადუსიან მოსკოვში რას უნდა ველოდოთ) - „სევილია“ პორტუგალიის ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერს და ევროპაში დარჩენილი სამი კლუბიდან ერთ-ერთს, რომელსაც ჯერ არ წაუგია ჩემპიონატში, „პორტუს“ მასპინძლობს. საოცარია, მაგრამ ამ ესპანურ და პორტუგალიურ გუნდებს აქამდე ერთმანეთში არასოდეს უთამაშიათ ოფიციალური მატჩი - დღევანდელი პირველი იქნება. „პორტუ“ გუნდის ახალგაზრდა თავკაც **ანდრე ვილას ბოასს** საამაყო რეკორდით მიჰყავს ანდალუსიაში. პორტუგალიელებს არც შინაურ პირველობაში წაუგიათ და არც ევროპის ლიგაზე. **ჟოზე მოურინიოს** ყოფილი ასისტენტი ძალიან წარმატებულია, მას მერე, რაც ზაფხულში „პორტუ“ ჩაიბარა. არადა ვილას ბოასი 33 წლისაა, წარმოიდგინეთ, ის **რაულის** ტოლია.

ევროპის ლიგის მიმდინარე სეზონის ბომბარდირი პორტუელი **ფალკაო** გახლავთ 7 გოლით. ის ორი გოლით უსწრებს **ტომაშ ნეციდს** (ცსკა), **ჯუზეპე როსის** (ვილიარეალი), **ვილფრედ ბონის** (სპარტა), **არტიომ მილევსკის** (დინამო კ) და **ედინსონ კავანის** (ნაპოლი).

2003 წელს „პორტუმ“ უეფას თასი სწორედ „სანჩეს პისხუანზე“ მოიპოვა, მაშინ ჟოზეს თავკაცობით პორტუგალიელებმა „სელტიკს“ სძლიეს. *„მეტად ემოციური მომენტია, „პორტუ“ სევილიაში დაბრუნდა. ეს ქალაქი ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენი ფანებისთვის. მეტოქეს დიდ პატივს ვცემთ, დიდი გუნდია, მაგრამ არ ვუფრთხით“*, - განაცხადა ვილას ბოასმა.

სხვა დაპირისპირებებიდან გამოვყოფთ საფრანგეთისა და ჰოლანდიის ჩემპიონატების ლიდერთა, „ლილისა“ და პსვ-ს მატჩს. საინტერესო მატჩი გველის პრაღაში, სადაც „სპარტასთან“ სათამაშოდ აწ უკვე უტორესო „ლივერპული“ ჩადის. გლაზგოში „რეინჯერსი“ ლისაბონის „სპორტინგს“ უმასპინძლებს, ლისაბონში კი „ბენფიკა“ - გერმანულ „შტუტგარტს“. და მაინც, ყველაზე კარგ თამაშს ნეაპოლში ველით, სადაც ედინსონ კავანი და კომპანია „ყვითელ წყალქვეშა ნავს“, „ვილიარეალს“ დაუხვდება.

ამბები

## იკერს წითელი დაუტოვეს

ლა ლიგის საშეჯიბრო კომიტეტმა განიხილა „რეალის“ საჩივარი, მაგრამ **იკერ კასილიასს** ძალაში დაუტოვა წითელი ბარათი, რომელიც მან „ესპანიოლთან“ მატჩის 70-ე წამზე მიიღო. სხვათა შორის, ამით კასილიასი „რეალის“ ისტორიაში მატჩში ყველაზე მალე გაძევებული ფეხბურთელი გახდა. საშეჯიბრო კომიტეტმა დაასკვნა, რომ იკერის გაძევების საფუძველი არბიტრს ნამდვილად ჰქონდა. ასე რომ, „ლევანტესთან“ მატჩში „რეალის“ კარში **ანტონიო ადანი** ჩადგება, რომელსაც ლა ლიგაში „სამეფო კლუბის“ მაისურით დებიუტი კასილიასის გაძევების შემდეგ ელირსა.

## ხეტაფემ ვიცე-კაპიტანი დაკარგა

„ხეტაფეს“ შემტევმა ნახევარმცველმა **მანუ დელ მორალმა** მარცხენა ფეხის კუნთი დაიზიანა და ერთი თვე დასვენება მოუწევს. მადრიდელთა ვიცე-კაპიტანმა ტრავმა პარასკევს ტურისწინა ვარჯიშზე მიიღო, რის გამოც მან უკვე გამოტოვა „მალაგასთან“ შეხვედრა. 26 წლის ფეხბურთელი „რასინგთან“, „ერკულესთან“ და „ატლეტიკოსთან“ მატჩებში არ იქნება. სამაგიეროდ, „ლოს ასულონესს“ ტრავმირებული **ხავიერ არისმენდი** დაუბრუნდათ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ნუ დააბამთ გატუზოს!

## რინო ერთადერთია მილანში, ვისაც იტალიური საკლუბო ფეხბურთის ბედი აღელვებს...

**გარეთ ბეილისარყოფნამ „მილანს“ ვერ უშველა. ანაც, შეიძლება, უშველა კიდეც - „ტოტენჰემის“ მარგალიტს რომ ეთამაშა, შეიძლებოდა, ინგლისელებს უფრო მსუყე ანგარიშითაც მოეგოთ. ასეა თუ ისე, ფაქტია: ლონდონელებმა იტალიის ჩემპიონობის მთავარ კანდიდატს აჯობეს და დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს. ცხადია, „უაით ჰართ ლეინზე“ შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ ეს „მილანი“ რაიმე ხეირიანის გამკეთებელს არ ჰგავს. „ტოტენჰემმა“ მეოთხედფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა.**

**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

**მილანი (იტალია) 0:1 ტოტენჰემი (ინგლისი)**

15 თებერვალი. მილანი. სან სირო. 65 000 მაყურებელი

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი (18. ამელია) - აბატე, ნესტა, იეპესი, ანტონინი - გატუზო, ტიაგო სილვა, ფლამინი - ზეედორფი (46. პატო) - რობინიო, იბრაჰიმოვიჩი

**ტოტენჰემი (4-4-1-1):** გომეში - ჩორლუკა (59. ვუდგეიტი), გალასი, დოუსონი, ასუ-ეკოტო - ლენონი, პალასიოსი, სანდრო, პიენარი (77. კრანჩარი) - ვან დერ ვაარტი (62. მოდრიჩი) - კრაუჩი.

**არბიტრი:** სტეფან ლანოა (საფრანგეთი)

### მატჩამდე

„როსონერის“ ახალწვეულებს **მარკ ვან ბომელსა** და **ანტონიო კასანოს** ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება გასაგები მიზეზების გამო არ აქვთ, **ანდრეა პირლო** და **მასიმო ამბროზინი** კი ტრავმირებულები არიან. შესაბამისად, „მილანი“ ნახევარდაცვაში „ტოტენჰემის“ ვერცხლისწყალივით მოძრავი და სწრაფი შუამარბების წინაალმდეგ, **ჯენარო გატუზოსა** და **კლარენს ზეედორფის** იმედად დარჩა. **ტიაგო სილვა** მცველია და საყრდენად თავს ცუდად გრძნობდა, **ფლამინი** კი თავის პოზიციაზე იდგა, მაგრამ ღმერთს არ უქნია და რად გინდა? როგორც ხედავთ, მიუხედავად საკადრო პრობლემებისა, **მასიმილიანო ალეგრის** ტაქტიკური სქემა არ შეუცვლია. ტაქტიკა არც **ჰარი რედნაპმა** შეცვალა. ლონდონელთა სასტარტო შემადგენლობაში იანვარში ნაყიდი **სანდრო** ვიხილეთ, **მოდრიჩი** და **კრანჩარი** კი რედნაპმა სათადარიგოთა სკამზე დატოვა.



ჯენარო გატუზოს მონდომებას საზღვარი არ აქვს: პიტერ კრაუჩი მასზე ნახევარი მეტრით მაღალია

### მატჩი

თამაში ძალიან ზანტად და დუნედ დაიწყო - მე-18 წუთამდე საინტერესო არაფერი მომხდარა - თუ შეიძლება, რომ აბიატის ტრავმასა და იძულებით შეცვლას („როსონერის“ კარში **ამელია** ჩადგა) საინტერესო მოვლენა ვუწოდოთ. მომდევნო დასამახსოვრებელი ეპიზოდი კი უკვე პირველი ტაიმის მიწურულს, კერძოდ, 42-ე წუთზე იყო, როცა **რაფაელ ვან დერ ვაარტის** დარტყმას ამელია გაუმკლავდა.

მეორე ტაიმი მილანელებმა შედარებით აქტიურად დაიწყეს და ჯერ 50-ე, მერე კი 61-ე წუთზე „როსონერის“ ცენტრალურ მცველ **იეპესს** ორჯერ შეეძლო ანგარიშის გახსნა. ორივე მომენტი კუთხურიდან შეიქმნა და „ტოტენჰემის“ მეკარე **გომეშმა** ორივეჯერ ბრწყინვალედ ითამაშა. ამ ორ მომენტს შორის კი ინგლისელებსაც მოუწიათ იძულებითი ცვლილება - ფლამინიმ **ჩორლუკა** დაამტვრია. 76-ე წუთზე **პიენაარი** გატუზოს გასცდა, განრისხებულმა რინომ კი ფოლის დროს აშკარად გადააჭარბა, რის გამოც მიიღო ყვითელი ბარათი, რომლის გამოც ის საპასუხო მატჩში დისკვალიფიცირებული იქნება. შესაძლოა, სწორედ ამიტომ მისცა გატუზომ თავს იმის უფლება, რაც საფინალო სასტვენის შემდეგ აკეთა, თუმცა ამაზე ქვემოთ...

**კრაუჩის** გამარჯვების გოლი: „ტოტენჰემმა“ მე-80 წუთზე **ლენონის** მეშვეობით კონტრშეტევა დაიწყო. ამ უკანასკნელმა 40-მეტრიანი შეუდარებელი დრიბლინგი გვიჩვენა, იეპესი მის შეჩერებას სულ ტყუილად ეცადა, ლენონმა კი დროულად და კარგად გახსნილი კრაუჩი მოძებნა, რომელსაც გოლის გატანა არ გასჭირვებია.

### TOP ფეხბურთელი

აარონ ლენონი (ტოტენჰემი)

„ტოტენჰემის“ მარჯვენა ნახევარმცველმა „მილანის“ მარცხენა მცველ **ლუკა ანტონინის** სიცოცხლე განსაკუთრებით პირველ ტაიმში გაუმწარა - ლენონი თავის ფლანგზე დაფრინავდა და იტალიელთა საჯარიმოში ძალიან სახიფათოდ აწვდიდა. მეორე ტაიმში კი მისგან ბევრი ალარაფერი გვინახავს, მხოლოდ ერთხელ გაინავარდა, მაგრამ ისე, რომ იმ ერთ დრიბლინგს „ტოტენჰემის“ გოლი მოჰყვა

### .FLOP ფეხბურთელი

კლარენს ზეედორფი (მილანი)

რაც უფრო მალე დაივიწყებს ჩემპიონთა ლიგის ოთხგზის გამარჯვებული **კლარენს ზეედორფი** ამ თამაშს, მით უკეთესი მისთვის. ვეტერანი ჰოლანდიელი **პალასიოსმა** კარგად ჩაკეტა, რის გამოც კლარენსმა თავდამსხმელებთან მჭიდრო კონტაქტი ვერაფრით დაამყარა. ამიტომაც იყო, ალეგრიმ ზეედორფი შესვენებაზე რომ შეცვალა.

### მსაჯი

ფრანგი არბიტრი **სტეფან ლანუა** ორთაბრძოლებს ჯეროვნად ვერ აფასებდა. იყო მომენტები, როცა საკმაო უხეშობას არ აფიქსირებდა, ზოგჯერ კი მცირე შეხების დროსაც უსტვენდა. 55-ე წუთზე მას ფლამინი წესით მოედნიდან უნდა გაეძევებინა და ის ფაქტიც, რომ 75-ე წუთზე გატუზომ მხოლოდ ყვითელი ბარათი მიიღო, ლანუას აქტივში ნამდვილად ვერ ჩაეთვლება.

### ანალიზი

მოედანზე მიმდინარე მოვლენებს არა „მილანი“ (როგორც მოსალოდნელი იყო), არამედ „ტოტენჰემი“ აკონტროლებდა. პირველ ათ წუთში რედნაპის შეგირდებმა „მილანის“ საჯარიმოში ცხრაჯერ ჩააწოდეს (ადრესატი ყოველთვის შორეულ ძელთან მდგარი პიტერ კრაუჩი იყო) და მეტოქის ნახევარზე უმეტესად ექვსი კაცით გადადიოდნენ.

„ტოტენჰემის“ მთავარი პლუსი ის გახლდათ, რომ ინგლისელებმა იტალიელებს მოედნის ცენტრი მოუგეს, რაც ზომიერად აგრესიულად განწყობილი პალასიოსისა და ორთაბრძოლებში დაოსტატებული სანდროს დამსახურებაა. მიუხედავად ამისა, ინგლისელებმა ნაღდი საგოლე მომენტები მაინც ვერ შექმნეს - რედნაპის გუნდის ტაქტიკა ამისათვის ზედმეტად ერთფეროვანი იყო (მუდმივი ჩაწოდებები კრაუჩისკენ). „მილანი“ აზრზე მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა, ისიც მეტ-ნაკლებად. „როსონერის“ წინა ხაზიდან მხოლოდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** ფაფხურობდა, საბოლოო ჯამში კი, მილანელებს პირველ ტაიმში „ტოტენჰემის“ კარში არც ერთხელ არ დაურტყამთ.

მეორე ტაიმში ალეგრიმ აჭრილი ზეედორფის ნაცვლად მოედანზე **პატო** შეუშვა, მაგრამ ბრაზილიელმა „მილანის“ თამაშს ბევრი ვერაფერი შემატა. ყოველ შემთხვევაში, „როსონერის“ საგოლე მომენტები თამაშიდან არ შეუქმნია - იეპესს გომეშის კარის დალაშქვრა ორჯერვე სტანდარტული მდგომარეობიდან შეეძლო. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ მეორე ტაიმში „მილანი“ დომინირებდა, მაგრამ „ტოტენჰემის“ კონტრშეტევები გაცილებით ეფექტური იყო, ვიდრე „როსონერის“ უაზრო დომინაცია.

რაც შეეხება ჯენარო გატუზოს: რინო მატჩის მიწურულს გადაირია, თავს ველარ აკონტროლებდა და ვინც გზად შეხვდა, ყველას ეჩხუბა. ეს რა თქმა უნდა, ცუდი საქციელია, მაგრამ მოდი, მედლის მეორე მხარეც დავინახოთ: მოგვეჩვენა, რომ გატუზო გუშინწინ ერთადერთი მილანელი იყო, ვისაც „როსონერის“ და ზოგადად იტალიური საკლუბო ფეხბურთის ბედი აღელვებდა...

# ესპანეთს რაული მონატრებია...

## დიდ კაპიტანს მესტალიაზე სიყვარულიც აუხსნეს და შუა თითიც უჩვენეს

**ვერ გეტყვით, დარწმუნდა თუ არა საფეხბურთო გერმანია იმაში, რომ „შალკე“ გაცილებით უკეთესი გუნდია, ვიდრე ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონიდან ჩანს, რადგან გელზენკირხენულ კლუბს „მესტალიაზე“ ელეგანტურად არ უთამაშია, მაგრამ ფაქტია, რომ ფელიქს მაგათის გუნდის მიერ ნაჩვენებ ფეხბურთს ეფექტური ეთქმის. სტუმრად მიღწეული 1:1 „შალკესთვის“ ძალიან კარგი შედეგია. შესაბამისად, რაული და კომპანია თამამად ოცნებობენ მეოთხედფინალში გასვლაზე.**

**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

**ვალენსია (ესპანეთი) 1:1 შალკე (გერმანია)**

15 თებერვალი. ვალენსია. მესტალია. 42 703 მაყურებელი

**ვალენსია (4-3-3):** გუაიტა - მიგელი, დ. ნავარო, რ. კოშტა, მატიო (78. ალბა) - ბანეგა (68. ვისენტე), თოფალი, ტ. კოსტა - დომინგესი (68. ხოაკინი), სოლდადო, ადურისი.

**შალკე (4-4-2):** ნოიერი - უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი, შმიტცი - ფარფანი (78. დრაქსლერი), კლუგე, მატიპი, ხურადო (83. ედუ) - რაული, ჰუნტელაარი (90. ჰაო).

**არბიტრი:** ალექსეი ნიკოლაევი (რუსეთი)

### მატჩამდე

„ფრაიბურგთან“ მატჩის შემდეგ (1:0) მაგათმა ძირითადი შემადგენლობა მხოლოდ ერთ პოზიციაზე შეცვალა და ისიც იძულებითი ცვლილება გახლდათ: რაკი ახალწვეულ **ანანს** ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება არ აქვს, ფელიქსმა მის ნაცვლად **მატიპი** ათამაშა. აი, „ვალენსიას“ სასტარტო თერთმეტეული კი, „ატლეტიკოსთან“ მოგების შემდეგ ერთბაშად ექვს პოზიციაზე შეიცვალა (შეცვლილი იყო ტაქტიკური სქემაც - რომბისებური 4-4-2): **ხოაკინი** ყველასათვის მოულოდნელად სკამზე დაჯდა, **მატა** კი მატჩს ტრავმის გამო გამოაკლდა.

### მატჩი

შეხვედრის მე-9 წუთზე „შალკეს“ ფანებმა კიდევ ერთხელ შემოირტყეს ხელები თავში და ვინ მოთვლის მერამდენედ დაწყევლეს **კლაას-იან ჰუნტელაარი** და მისი გელზენკირხენში ჩამყვანი მაგათი: ხსენებულ დროს ჰოლანდიელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძალიან არაეფექტური ფორვარდია, როცა კარიდან შვიდ მეტრში მდგარი ბურთს ისე მოექცა, რომ ძალიან ბევრს შეეცოდებოდა კიდეც. მე-17 წუთზე **სოლდადომ** ჰუნტელაარს უჩვენა, თუ როგორ უნდა გოლის გატანა - „შალკეს“ ცენტრალურ მცველებს, **ჰიოვედესსა** და **მეტცელდერს** იოლად დაუძვრა და ანგარიშიც გახსნა. ეს იყო სოლდადოს მე-6 გოლი ჩემპიონთა ლიგის მე-6 მატჩში. გერმანელებს ანგარიშის გათანაბრება 26-ე წუთზე შეეძლოთ, როცა **პეერ კლუგე ჯეფერსონ ფარფანის** ჩაწოდებას გამოეხმაურა, მაგრამ **გუაიტამ** დროულად იფრინა და მომენტი გააუვნებლა. ოთხ წუთში სოლდადოს დუბლის შესრულება მართებდა.

მეორე ტაიმში „ვალენსიამ“ „შალკეს“ კართან მხოლოდ ერთი ხეირიანი მომენტი შექმნა და ამჯერადაც სოლდადოს შეეძლო **მანუელ ნოიერის** დამწუხრება. მერე კი იყო რაულის გოლი - ვეტერანმა ესპანელმა მისთვის დამახასიათებელ სტილში, გოლი ფაქტობრივად არაფრიდან გაიტანა. ეს იყო გონსალეს ბლანკოს 70-ე გოლი ჩემპიონთა ლიგაში, სადაც რაული ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია. მას 91-ე წუთზე მეორე გოლის გატანა და „ვალენსიას“ დამარცხებაც შეეძლო, მაგრამ გუაიტამ არ დაანება.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „შალკეს“ რაულის ერთი ეფექტური მოძრაობა ეყო იმისათვის, რომ „მესტალიაზე“ სასურველი ფრისთვის მიეღწია.

### TOP ფეხბურთელი

ტინო კოსტა (ვალენსია)

„მონპელიდან“ „ვალენსიაში“ გადასვლის შემდეგ მას თავიდან პრობლემები ჰქონდა, ახლა კი სრულფასოვანი ვალენსიელი და „ღამურების“ შეუცვლელი ფიგურაა. „შალკესთან“ მატჩში მან დაამტკიცა, რომ ერთნაირად კარგად შეუძლია როგორც შემტევი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება, ისე მეტოქე გუნდის იერიშების ჩაშლაც. არგენტინელის 40, 50-მეტრიანი უზუსტესი პასები მართლაც გასაოცარია და ამით ის **ხუან სებასტიან ვერონს** გვაგონებს.

### .FLOP ფეხბურთელი

ლუკას შმიტცი (შალკე)

22 წლის **ლუკას შმიტცი** მარცხენა მცველი არ არის და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამ პოზიციაზე კარგად ვერ ითამაშა. ლუკასს „მესტალიაზე“ უბრალოდ არაფერი გამოუვიდა, ის **მიგელსა** და **დომინგესს** მაგრად შემოეჩაგრათ და ბოლოს „გადატვირთული“ შალკელი მოედნიდანაც გააძევეს.

### მსაჯი

რუსმა **ალექსეი ნიკოლაევმა** „ვალენსია“ ბევრჯერ დაჩაგრა, მაგრამ ესპანელებს არაფერი გაუპროტესტებიათ. შმიტცს მეორე ყვითელი ბარათი რომ უჩვენა, წითლის ამოღებას არ აპირებდა და შალკელი მოედნიდან მხოლოდ მას მერე გააძევა, რაც ლაინსმენმა შეახსენა, მაგას ერთი ყვითელი უკვე მიღებული აქვსო. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, ეს რომ ხსომებოდა, შმიტცს მეორე ყვითელს არც აუფრიალებდა...




ესპანელი გულშემატკივრები ტრანსპარანტით, რომელზეც წერია: „გვენატრები, კაპიტანო!“

### ანალიზი

„შალკემ“ თამაში „ვალენსიაზე“ უკეთ დაიწყო, მაგრამ მას მერე, რაც ჰუნტელაარმა ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა, გელზენკირხენელებმა თავდაჯერება დაკარგეს. შეტევების დროს შალკელთაგან ყველაზე კარგად **პეერ კლუგე** გამოიყურებოდა, უკანა ხაზში მაგათის შეგირდები ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდნენ. შმიტცზე უკვე ბევრი ვთქვით და ვერც ჰიოვედესისა და მეტცელდერის შეუთანხმებლობა უძლებს კრიტიკას. ის ფაქტი, რომ მე-60 წუთისთვის „ვალენსია“ მხოლოდ 1:0-ს იგებდა, მხოლოდ და მხოლოდ იმის ბრალია, რომ ესპანელებს მიზანი ჰქონდათ გასასწორებელი.

იმ დროს, როცა „ვალენსიას“ ნახევარდაცვაში მუდმივად ბევრი რამ იცვლებოდა და ტინო კოსტას, **ბანეგასა** და **დომინგესის** ტრიო ძალიან ეფექტურად მოქმედებდა, შალკელთაგან შუა ხაზში მხოლოდ კლუგე იბრძოდა ბოლომდე. მატიპი არ ჩანდა, ფარფანი **მატიომ** გათიშა და იმედები საერთო ჯამში ვერც **ხურადომ** გაამართლა - თუ არ ჩავთლით რაულისთვის მიცემულ საგოლე პასს, რითაც ხურადომ გარკვეულწილად რეაბილიტაცია მოახერხა.

„ლელოს“ გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე აუცილებლად ნახავდით ფოტოს, სადაც სიხარულისგან გადარეულ რაულს „ვალენსიას“ ერთ-ერთი ფანი შუა თითს უჩვენებს. მისდამი ყველა ასე როდი იყო განწყობილი. აი, ფოტო, სადაც რაულს ეუბნებიან, გვენატრები, კაპიტანოო...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ჩემპიონთა ლიგა

# თოფმა ორჯერ გაისროლა

## დიდი ინტრიგა საპასუხო მატჩის წინ

**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

**არსენალი (ინგლისი) 2:1 ბარსელონა (ესპანეთი)**

16 თებერვალი. ლონდონი. ემირეიტსი. 65 000 მაყურებელი

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი – ებუე, კოშელნი, ჯორუ, კლიში – სონგი (69. არშავინი), უილშირი – უოლკოტი (77. ბენდტნერი), ფაბრეგასი, ნასრი – ვან პერსი.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი – დ. ალვეში, პიკე, აბიდალი, მაქსველი – ჩავი, ინიესტა (89. ადრიანო), ბუსკეტსი – პედრო, მესი, ვილია (68. კეიტა).

**გოლები:** 0:1 ვილია (26), 1:1 ვან პერსი (78), 2:1 არშავინი (83).

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: ბარსელონა
პირველი კუთხური: არსენალი
პირველი ჯარიმა: არსენალი
პირველი გაფრთხილება: არსენალი

| | | |
|---|---|---|
| 13 (7) | დარტყმა | 10 (5) |
| 16 | ჯარიმა | 13 |
| 4 | კუთხური | 1 |
| 4 | გაფრთხილება | 2 |
| 40% | ბურთის ფლობა | 60% |

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)



**1/8 ფინალი. პირველი მატჩი**

**რომა (იტალია) 2:3 შახტარი (უკრაინა)**

16 თებერვალი. რომი. სტადიო ოლიმპიკო. 55 000 მაყურებელი

**რომა (4-3-1-2):** დონი – კასეტი, ნ. ბურდისო, მექსე, რიისე (46. კასტელინი) – ტადეი, დე როსი, პეროტა – მენეზი – ტოტი, ვუჩინიჩი (68. ბორიელო).

**შახტარი (4-2-3-1):** პიატოვი – სრნა, ჩიგრინსკი, რაკიცკი, რატი – მხითარიანი, ჰუბშმანი – დ. კოსტა, ჟადსონი (85. ტეიშეირა), ვილიანი – ლუიზ ადრიანო.

**გოლები:** 1:0 პეროტა (28), 1:1 ჟადსონი (29), 1:2 დ. კოსტა (35), 1:3 ლუიზ ადრიანო (42), 2:3 მენეზი (61).

**სტატისტიკა**

მატჩი დაიწყო: რომა
პირველი კუთხური: შახტარი
პირველი ჯარიმა: შახტარი
პირველი გაფრთხილება: შახტარი

| | | |
|---|---|---|
| 21 (4) | დარტყმა | 10 (5) |
| 17 | ჯარიმა | 22 |
| 11 | კუთხური | 5 |
| 3 | გაფრთხილება | 4 |
| 52% | ბურთის ფლობა | 48% |

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკუერენსა (პორტუგალია)



UEFA CHAMPIONS LEAGUE

"რომასა" და "შახტარის" მიმართ ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, გუშინდელი დღის ყველაზე საინტერესო მატჩი უდავოდ ლონდონში გაიმართა, სადაც "არსენალმა" "ბარსელონა" მიიღო. გულშემატკივართა იმედები ბოლომდე გამართლდა, გუნდებმა უმაღლეს ტემპში წარმართეს მთელი შეხვედრა და მთლიანობაში, შესანიშნავი საფეხბურთო საღამო გვაჩუქეს. ქება-თა ქება "არსენალს", რომელიც მოძრაობაში აჰყვა მრისხანე მეტოქეს, და თითქოს ნაგებული თამაში არა თუ ფრედ, სულაც საკუთარი გამარჯვებით დაასრულა. არადა, პირველი ტაიმი კატალონიელთა უპირატესობით წარიმართა და მათდა სასარგებლოდაც დასრულდა. ანგარიში **დავიდ ვილიამ** გახსნა, **რომელიც ლეო მესის** ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ კიპერთან პირისპირ დარჩა და უზუსტესი დარტყმით შეარხია მასპინძელთა კარის ბადე. კატალონიელებმა კიდევ ერთხელ დალაშქრეს მეტოქის კარი, მაგრამ ლაინსმენმა მესიზე თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა.

მეორე ტაიმის პირველი ნახევარი შედარებით მშვიდი გამოდგა – თითქოს დააწყნარა "ბარსამ" თამაში და სასურველი სცენარით წაიყვანა. სწორედ ამ დროს, **პეპ გვარდიოლამ** მისთვის უჩვეულო გადაწყვეტილება მიიღო და თავდამსხმელ დავიდ ვილიას ნაცვლად თამაშში ჩამშლელი **სეიდუ კეიტა** ჩართო. **არსენ ვენგერი** სრულიად სხვაგვარად მოიქცა, **ალექსანდრ სონგი** გაიყვანა მინდვრიდან და **ანდრეი არშავინი** შეუშვა ბრძოლაში. გამოცდილებამ თავისი ქნა, ვენგერმა აჯობა ვიზავის და ამაზე შეხვედრის საბოლოო რეზულტატი მეტყველებს. გამათანაბრებელი გოლი **რობინ ვან პერსის** ანგარიშზეა, რომელმაც **ვიქტორ ვალდესის** შეცდომით ისარგებლა და მახვილი კუთხიდან დალაშქრა კატალონიელთა კარი. გამარჯვების გოლი კი სწორედ არშავინის ანგარიშზეა, რომელმაც მრავალსვლიანი კომბინაცია უზუსტესი დარტყმით დააგვირგვინა. თუ რა ხდებოდა ტრიბუნებზე არშავინის გოლის შემდეგ, სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია – "ემირატ სთედიუმი" ლამის დაინგრა, "არსენალმა" კი საპასუხო მატჩისთვის მინიმალური, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა.

თანამედროვე ფეხბურთში იმდენად გათანაბრებულია ძალთა ბალანსი, რომ "შახტარის" რომში გამარჯვებას დიდ სენსაციად ნამდვილად ვერ მოვნათლავთ. მით უმეტეს, "რომას" არ უდგას კარგი დროება, დონეცკურ კლუბში კი ისეთი ინვესტიციებია ჩადებული, რომ გაკოტრების პირას მყოფ **სენსების** ოჯახს ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეუძლია. ანგარიში **სიმონე პეროტამ** გახსნა, თუმცა უკრაინელებმა მალევე გაათანაბრეს და პირველივე ტაიმში კიდევ ორი გოლი "მიართვეს" იტალიელებს. მეორე ნახევარი რომაელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა, რაც მხოლოდ ერთ გოლს ეყო – **ჟერემი მენეზმა** შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა, 2:3. "შახტარმა" დიდი უპირატესობა მოიპოვა, თუმცა, ისევე როგორც "არსენალი"-"ბარსელონას" წყვილში, ყველაფერი მაინც განმეორებით პაექრობაში გაირკვევა.

**ლაშა ნიკლაური**

ტალანტი

# მორიგი ბრაზილიური ალმასი

## ჩელსი, ინტერი, მილანი: დევები ზაფხულში შეიბმებიან

"ჩელსი" ამ ბოლო დროს სამხრეთამერიკელებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. "არისტოკრატთა" შეფობამ "სან პაულუს" 19 წლის შემტევი ნახევარმცველი **კარლოს ენრიკე კასემირო** ამოიღო თვალში და ზაფხულზე მის გადაბირებას აპირებს. აღნიშნულ ინფორმაციას ბრაზილიური პრესა ავრცელებს. თინეიჯერმა ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში 18 შეხვედრაში 2 გოლის გატანა შეძლო. გარდა კარლოსისა, ლონდონელებს "სანტოსიდან" 18 წლის **ნეიმარის** ყიდვაც სურთ. ამ უკანასკნელზე ლამის ნახევარი ევროპა ნადირობს. ვის ჩაუვარდებიან ხელში ეს სუპერტალანტები, ჯერ კიდევ უცნობია.

თავად კარლოს ენრიკე აცხადებს, რომ მას კარიერის გაგრძელება იტალიაში სურს და არჩევანს ალბათ "მილანზე" გააკეთებს. „კორიერე დელო სპორტმა" ფეხბურთელს მცირე კომენტარი სთხოვა. "ამ ბოლო დროს ლეონარდო ხშირად მირეკავს და თავისთან მეპატიჟება ინტერში. ის უმაღლესი კლასის ფეხბურთელი იყო და შემიძლია ვთქვა, რომ ბრწყინვალე ადამიანია. არც "ინტერს" სჭირს რაიმე ჩემი დასაწუნი, რადგან იქ ფანტასტიკური ფეხბურთელები არიან შეკრებილნი. მათ კლასზე თუნდაც შარშანდელი წარმატებები მეტყველებს. თუმცა "მილანის" ვარიანტი უფრო მხიბლავს, "როსონერი" ხომ უდიდესი კლუბია. ისე ჯერ "სანტოსის" ფეხბურთელი ვარ და ჩემს სავარაუდო ტრანსფერზე ხშირი ლაპარაკით ჩემს გულშემატკივრებს არ მინდა გული ვატკინო".

**ლევან ბიბილაშვილი**

ამბები

## ლილი ჰაზარდს 21 მილიონად აფასებს

როგორც ფრანგული პრესა იუწყება, ლიგა 1-ის ლიდერი "ლილი", მიუხედავად იმისა, რომ მომავალ სეზონში დიდი ალბათობით ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და შემოსავალი ლამის გაუორმაგდება, თავისი ლიდერის, ბელგიელი **ედენ ჰაზარდის** გასხვისებას ზაფხულზე ულაპარაკოდ დათანხმდება, თუკი მსურველი კლუბი მას 21 მილიონ ევროს გადაუხდის. 19 წლის ბელგიელი დიდი ხანია, ევროგრანდების სასურველ ლუკმად ითვლება. მისით დაინტერესებულები არიან "არსენალი", "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ჩელსი". "მეთოფეთა" ინტერესის თაობაზე პირადად **არსენ ვენგერმა** ილაპარაკა, განაცხადა რა, რომ მისი კლუბი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ვუნდერკინდი "ემირეიტსზე" მოხვდეს.

## ზეედორფი რეკორდსმენია

"მილანის" ვეტერანი ნახევარმცველი **კლარენს ზეედორფი** ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში "ტოტენჰემის" წინააღმდეგ ამაზრზენად გამოიყურებოდა და ამას ხაზი ლამის ყველა იტალიურმა გაზეთმა გაუსვა. მხოლოდ რამდენიმე მათგანს გაახსენდა, რომ ჰოლანდიელისთვის აღნიშნული შეხვედრა სარეკორდო, 42 გამოდგა ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფებში. მას ფეხდაფეხ მისდევს **რაული** (41 მატჩი), მესამეზეა "მანჩესტერ იუნაიტედის" ვეტერანი **რაიან გიგზი** (40 შეხვედრა).

## დატოვებენ დე კუიპზე მიაიჩის?

"ფეიენოორდის" იაპონელმა ლეგიონერმა **რიო მიაიჩიმ** "დე კუიპზე" ორადორი მატჩის ჩატარება მოასწრო და უკვე ყველა მიხვდა, რომ საქმე ნამდვილ ტალანტთან აქვს. სწორედ მან უნდა მოახერხოს და წელს ლამის ქვესკნელამდე დაცემული როტერდამული კლუბი ფეხზე წამოაყენოს. ყველა თანხმდება, რომ მის გარშემო შეიძლება ძლიერი, ამბიციური გუნდის შეკრება, მაგრამ... საქმე ის არის, რომ ეს ფეხბურთელი "არსენალის" საკუთრებაა და "ფეიენოორდში" მხოლოდ იმიტომ თამაშობს, რომ იაპონელს დიდ ბრიტანეთის შრომის სამინისტრომ მუშაობის უფლება არ მისცა. 18 წლის ბიჭი სამუშაო ვიზისთვის საკმარის პროცენტებს ეროვნულ გუნდში კიდევ დიდხანს ვერ დააგროვებს და როტერდამელებს სწორედ ამის იმედი აქვთ. მათ ჯერ ფეხბურთელის იჯარით ხანგრძლივად დატოვება და შემდეგ მისი გამოსყიდვა სურთ.

**ლევან ბიბილაშვილი**

**იტალია. სერია A.**

გამოტოვებული მატჩები

**ფიორენტინა–ინტერი 1:2**

**ფიორენტინა (4-3-1-2):** ბორუცი – გამბერინი, პასკუალი, კომოტო, კამპორეზე – ბეჰრამი (86. ბაბაქარი), მონტოლივო, სანტანა (27. ლიაჯიჩი) – დონადელი (73. დაგოსტინო) – ჯილარდინო, მუტუ.

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, კორდობა, რანოკია, ნაგატომო (71. ხარუჯა) – ძანეტი, კამბიასო, სტანკოვიჩი (89. ობი) – სნეიდერი (83. მარიგა) – ეტოო, პაცინი.

**გოლები:** 0:1 კამპორეზე (6-საკ. კარში), 1:1 პასკუალი (32), 1:2 პაცინი (62).

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 11(3)-10(5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 26 000

**სამპდორია–ჯენოა 0:1**

**სამპდორია (4-4-2):** კურჩი – ციგლერი, ძაური, გასტალდელო (46. ვოლტა), ლუკინი – პალომბო, დესენა (78. ძაძა), გუბერტი, პოლი – მაკარონე, მაკედა (59. მანინი).

**ჯენოა (4-4-2):** ედუარდო – რაფინია, კალაძე, დაინელი, კრიშიტო – მესტო, როსი, მილანეტო, კუჩკა – პალასიო (90. კიკო), ფლორო ფლორესი (65. პალოსკი).

**გოლი:** 0:1 რაფინია (55).

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 18-20; **თამაშგარე:** 0-8; **კარში დარტყმა:** 11(7)-7(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 32 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 25 | 15 | 7 | 3 | 44-19 | 52 |
| 2. ნაპოლი | 25 | 15 | 4 | 6 | 40-22 | 49 |
| 3. ინტერი | 25 | 14 | 5 | 6 | 46-29 | 47 |
| 4. ლაციო | 25 | 13 | 6 | 6 | 32-22 | 45 |
| 5. უდინეზე | 25 | 13 | 4 | 8 | 42-30 | 43 |
| 6. იუვენტუსი | 25 | 11 | 8 | 6 | 41-30 | 41 |
| 7. პალერმო | 25 | 12 | 4 | 9 | 44-35 | 40 |
| 8. რომა | 24 | 11 | 6 | 7 | 35-32 | 39 |
| 9. კალიარი | 25 | 10 | 5 | 10 | 32-27 | 35 |
| 10. ფიორენტინა | 25 | 8 | 8 | 9 | 28-28 | 32 |
| 11. ჯენოა | 25 | 8 | 8 | 9 | 20-22 | 32 |
| 12. კიევო | 25 | 7 | 10 | 8 | 27-27 | 31 |
| 13. სამპდორია | 25 | 7 | 9 | 9 | 23-27 | 30 |
| 14. ბოლონია | 24 | 8 | 8 | 8 | 26-33 | 29 |
| 15. პარმა | 25 | 6 | 8 | 11 | 23-34 | 26 |
| 16. კატანია | 25 | 6 | 8 | 11 | 22-33 | 26 |
| 17. ლეჩე | 25 | 6 | 6 | 13 | 26-46 | 24 |
| 18. ბრეშა | 25 | 6 | 4 | 15 | 20-33 | 22 |
| 19. ჩეზენა | 25 | 5 | 6 | 14 | 17-34 | 21 |
| 20. ბარი | 25 | 4 | 6 | 15 | 14-39 | 15 |

**ბომბარდირები:** 20 – კავანი (ნაპოლი); 16 – დი ნატალე (უდინეზე); 15 – ეტოო (ინტერი);



ასამოას გოლი ჰამბურგის კარში

**გერმანია. ბუნდესლიგა.**

გამოტოვებული მატჩი

**ჰამბურგი–ზანკტ პაული 0:1**

**ჰამბურგი (4-2-2-2):** ფ. როსტი - დემელი, ვესტერმანი, მატიისენი, აოგო - იაროლიმი, ზე რობერტო - ბენ-ჰატირა (72. პიტროიპა), იანსენი (46. ელია) - ვან ნისტელროოი (72. გერერო), პეტრიჩი.

**ზანკტ პაული (4-2-3-1):** პლიკე - თორანდტი, სამბრანო, გოუნეში, ფოლცი - ბოლი (89. ბრუნსი), მ. ლემანი - მ. კრუსე, ტაკი (58. ებერსი), ბარტელსი - ასამოა (71. დაუბე).

**გოლი:** 0:1 ასამოა (59)

**გაფრთხილება:** იაროლიმი, ზე რობერტო, ვესტერმანი - სამბრანო, დაუბე

**კუთხური:** 11-5; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 22(6)-5(3); **ბურთის ფლობა:** 66%-34%.

**მაყურებელი:** 57 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 22 | 16 | 4 | 2 | 47-13 | 52 |
| 2. ლევერკუზენი | 22 | 12 | 6 | 4 | 44-30 | 42 |
| 3. ბაიერნი | 22 | 11 | 6 | 5 | 46-26 | 39 |
| 4. ჰანოვერი | 22 | 12 | 2 | 8 | 30-31 | 38 |
| 5. მაინცი | 22 | 12 | 1 | 9 | 34-26 | 37 |
| 6. ფრაიბურგი | 22 | 10 | 4 | 8 | 29-29 | 34 |
| 7. ჰამბურგი | 22 | 10 | 3 | 9 | 30-31 | 33 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 22 | 8 | 8 | 6 | 39-32 | 32 |
| 9. ნიურნბერგი | 22 | 9 | 5 | 8 | 30-31 | 32 |
| 10. შალკე | 22 | 8 | 5 | 9 | 27-26 | 29 |
| 11. ზტ. პაული | 22 | 8 | 4 | 10 | 27-35 | 28 |
| 12. აინტრახტი | 22 | 8 | 3 | 11 | 24-29 | 27 |
| 13. კიოლნი | 22 | 7 | 4 | 11 | 29-41 | 25 |
| 14. ვერდერი | 22 | 6 | 6 | 10 | 28-44 | 24 |
| 15. ვოლფსბურ. | 22 | 5 | 8 | 9 | 26-31 | 23 |
| 16. კაიზერსლ. | 22 | 6 | 5 | 11 | 32-38 | 23 |
| 17. შტუტგარტი | 22 | 5 | 4 | 13 | 38-43 | 19 |
| 18. ბორუსია (მ) | 22 | 4 | 4 | 14 | 32-56 | 16 |

**ბომბარდირები:** 17 – გომესი (ბაიერნი); 15 – სისე (ფრაიბურგი); 14 – გეკასი (აინტრახტი); 11 – ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), ია კონანი (ჰანოვერი), 10 – რაული (შალკე), შიურლე (მაინცი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ახალგაზრდები კასპაროვს დაუპირისპირდნენ

რამდენიმე დღეა, საქართველოში სტუმრად იმყოფება მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი დიდოსტატი **გარი კასპაროვი,** რომელიც კარგა ხანია, აქტიურ ჭადრაკს ჩამოშორდა და მეტწილად პოლიტიკური საქმიანობითაა დაკავებული - რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფლების ოპოზიციონერია. ჭადრაკისთვის ზურგი მაინც არ შეუქცევია: ამერიკის შეერთებულ შტატებში საჭადრაკო სკოლების ქსელს აფართოებს, ერთი ხანობა მსოფლიოს რეიტინგით №1 მოთამაშეს - **მაგნუს კარლსენს** ავარჯიშებდა, გამოსცემს წიგნებს და ზოგჯერ ორთაბრძოლებშიც ებმება. გუშინ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში **გია გიორგაძესთან, ნონა გაფრინდაშვილთან, მაია ჩიბურდანიძესა** და **ზურაბ აზმაიფარაშვილთან** შეხვედრის შემდეგ 11 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსი გამართა. მის წინააღმდეგ ითამაშეს ქეთი წანალაშვილმა, მარიამ დანელიამ, ირაკლი ბერაძემ, გიორგი სიბაშვილმა, ნინო ხომერიკმა, გიორგი ნიკოლაშვილმა, დეა გოგიშვილმა, ნიკა ქუმსიაშვილმა, ლიკა კობეშავიძემ, ალექსანდრე ებრალიძემ და გიგლა ბენიძემ. მსოფლიოს ექსჩემპიონმა ყველა შეხვედრა მოიგო.

- პატარაობისას მეც მითამაშია ცნობილი მოჭადრაკეების წინააღმდეგ და კარგად მესმის, რასაც განიცდიდნენ ჩემი მეტოქეები, - გვითხრა გარი კასპაროვმა. - იყო რამდენიმე პარტია, რომლებმაც ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში უწინდელი საჭადრაკო ტრადიციები შენარჩუნებულია. დარწმუნებული ვარ, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკეებს დღევანდელი ერთდროული სეანსი არასდროს დაავიწყდებათ.

**- თქვენ ქართული საჭადრაკო სკოლის ტრადიციები ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, მის წარმომადგენლებს როგორი შანსი აქვთ ჩინური სკოლის წინააღმდეგ საბრძოლველად? რამდენად შესაძლებელია ამ ეტაპზე 16 წლის ჰოუ იფანის დამარცხება?**

- ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და გამარჯვებაც ყოველთვის შესაძლებელია, თუ სათანადოდ მოემზადები. რაც შეეხება ჰოუ იფანის ასაკს, ნამდვილად ვერ გეტყვით, მსოფლიოს ჩემპიონი რამდენი წლისაა, რადგან ჩინური და ინდური დაბადების მოწმობები, ფაქტობრივად, საიდუმლოებითაა მოცული. ხომ გახსოვთ ოლიმპიადაზე ჩინელი ტანმოვარჯიშეების ასაკთან დაკავშირებული სკანდალი...

ფაქტია, რომ ჰოუ იფანი თინეიჯერია, შესაძლოა, ცოტა უფროსი, ვიდრე ამბობენ, მაგრამ მთავარია, თურქეთში მან სხვებზე უკეთ ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ჩინეთში კარგა ხანია, საჭადრაკო სკოლის ტრადიციები ჩამოყალიბდა, მომზადების მდგრადი სისტემაც შეიქმნა. ქალებში 1991 წლიდან უკვე ოთხი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავთ - სიე ჟუნი, სიუ იუჰუა, ჰოუ იფანი და ჟუ ჩენი, რომელიც ამჟამად ყატარში ცხოვრობს. ქვეყანაშიც დიდი კონკურენციაა ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე ისინი არც ისე მძაფრ წინააღმდეგობას ხვდებიან. ამიტომაც ითამაშა თურქეთის ფინალში ორმა ჩინელმა. ამ თვალსაზრისით, ვაჟებში უკეთაა საქმე, სადაც ჩინელები მაინცდამაინც ვერ ბრწყინავენ. მართალია, მსოფლიოს რეიტინგის ათეულში ჰყავთ მოჭადრაკეები, თუნდაც ვან ჰაუ, ვან იუ, მაგრამ საჩემპიონო მასალად ისინი არ გამოდგებიან. აქ ინდოელ ვიშვანათან ანანდს სხვა ქვეყნების წარმომადგენლები უწევენ წინააღმდეგობას.

**- მსოფლიოს ჩემპიონატების გამართვის სისტემაზე რას იტყვით?**

- ტრადიციული სისტემის მომხრე ვარ. ჭადრაკის პოპულარიზაციისთვის აუცილებელია, რას აჩვენებ გულშემატკივარს. ქომაგებს ბოტვინიკ-ტალის, პეტროსიან-სპასკის, კორჩნოი-კარპოვის, კასპაროვ-კარპოვის ორთაბრძოლები იზიდავდა. ეს საინტერესო პაექრობები მოკლე ტურნირებით შეიცვალა, რაც ჭადრაკის სარეკლამო პოტენციალის ლიკვიდაციას ნიშნავს. მიმაჩნია, რომ ტიტულის მოსაპოვებლად მატჩები შესანარჩუნებელია. ჩემპიონის წოდება უნიკალურია და არ უნდა გავაუფასუროთ.

**- პრეტენდენტთა ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვა თქვენმა ყოფილა შეგირდმა მაგნუს კარლსენმა. რა მიზეზით?**

- ვერ გეტყვით. კარგა ხანია, მასთან არ ვმუშაობ. გუმანით ვხვდები, რომ ინტერესი დაკარგა ან ზედმეტად გარისკვა არ სურს. ერთ-ერთ მიზეზად ის მიმაჩნია, რომ ფიდე უწინდებურად უძლურია, მოჭადრაკეს სრული კონტრაქტი შესთავაზოს. ახლა პრეტენდენტთა მატჩი ყაზანში გაიმართება, ფინალური შეხვედრის ჩატარების ადგილი კი უცნობია, რადგან ლონდონთან მოლაპარაკება ჩაიშალა. თუნდაც ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რამდენად უსუსურია ფიდეს მენეჯმენტის პროფესიონალიზმი. ყოველივე ზემოაღნიშნული ჭადრაკის განვითარებაში დამატებით პრობლემებს ქმნის.

**- ყაზანის პრეტენდენტთა ტურნირში ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

- გამოკვეთილი კანდიდატი არ ჩანს. შედეგებითა და პოტენციური შესაძლებლობებით თუ ვიმსჯელებთ, უკეთესი შანსი ლევონ არონიანს აქვს. მართალია, ვლადიმირ კრამნიკი უფრო გამოცდილია, მაგრამ გრძელ დისტანციებზე ენერგია არ ჰყოფნის. ნახევარფინალში, ალბათ, ისინი შეხვდებიან ერთმანეთს. შესაძლოა, ფინალში ვესელინ ტოპალოვიც გავიდეს.

**- იქნებ, ხანტი-მანსიისკის ბატალიებიც გავიხსენოთ...**

- ეს გრძელი ისტორიაა. დღეს ცივი გონებით რომ ვაანალიზებ ყველაფერს, ვხედავ, რომ შეცდომები დავუშვით. მაინც მიმაჩნია, რომ ექვს თვეში წარმატების მიღწევა წარმოუდგენელი იყო. მსოფლიოს საჭადრაკო ფედერაციები მალე დარწმუნდებიან, რომ შეცდნენ არჩევანში, რადგან ფიდეში ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება. ილუმჟინოვმა ოფიციალური პოზიცია დაკარგა. ვიმეორებ, ხანტი-მანსიისკში კონგრესის ჩატარებამ, ჩვენი ბრძოლა უიმედო გახადა, ეს ძალიან ცუდია, რადგან საჭადრაკო სამყარომ კიდევ ერთხელ გაუშვა შანსი ხელიდან ფიდეს მენეჯმენტის შესაცვლელად. აი, პირველი შედეგიც - მსოფლიოს ჩემპიონატი ჩიხში ექცევა. კარპოვის შემთხვევაში სხვა სიტუაცია იქნებოდა: ყაზანის ტურნირისა და ლონდონის ფინალური მატჩის ყველა ნიუანსი დროულად გაირკვეოდა, კარლსენიც კონტრაქტს მიიღებდა და მეოთხედფინალში თამაშს არ იუარებდა, სპონსორებთან მოლაპარაკებაც წარმატებით დამთავრდებოდა. კარპოვის პროგრამა ჭადრაკის გასავითარებლად წელიწადში მილიონ დოლარს ითვალისწინებდა. დღევანდელ ფიდეში ასეთ თანხას ვერ ვხედავ.

**- სამაგიეროდ, ილუმჟინოვი და კარპოვი ჩანან ერთურთს ჩახუტებულნი...**

- ილუმჟინოვთან ახლოს თუ დგახარ, ძნელია, ჩახუტებას გადაურჩე, ამიტომ მისგან შორს უნდა დაიჭირო თავი. ჩემი და კარპოვის კავშირი დროებითი იყო, საერთო საქმისთვის შექმნილი. ახლა თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ის აკეთოს, რაც სურს. ჩემთვის, მაგალითად, ფიდეს დღევანდელ ხელმძღვანელობასთან რაიმე საქმიანი ურთიერთობა წარმოუდგენელია. არა მგონია, კარპოვსაც სერიოზული დამოკიდებულება ჰქონდეს ილუმჟინოვთან, მხოლოდ ეპიზოდურ ღონისძიებებში თუ მიიღებს მონაწილეობას.

**- ფიდეს პრეზიდენტობაზე თუ გიფიქრიათ?**

- ისეთ ეპოქში ვცხოვრობთ, რომ სამი წლით ადრე რამეს გაფიქრებაც კი საშიშია. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ დღესავით ნათელია – საჭადრაკო სამყარო სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს. ამ ბრძოლის გზაზეც წინა რიგებში ვიქნები.

**ვაჟა დანელია**

სპორტი და ხელოვნება

# უშრეტი ენერგიით გაჯერებული



გიორგი შხვაცაბაია სახელოსნოში

მსგავსი დაფასება, შეიძლება ითქვას, არც ერთ ქართველ მოქანდაკეს არ რგებია. მისი ნამუშევარი, "თანამედროვე ნიკე სამოთარკიელად" აღიარებული "მშვიდობის ჩირაღდანი", ღმერთების საუფლოში, საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიაში დგას, სადაც ოდესღაც აღმართული იყო მსოფლიოს ერთ-ერთი საოცრება - ფიდიასის მიერ შესრულებული ზევსის ქანდაკება.

"მშვიდობის ჩირაღდანი" საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიაში დაიდგა 1992 წლის 5 ივლისს, ბარსელონას ოლიმპიადის გახსნამდე, ჰერას ტაძარში ოლიმპიური ცეცხლის დანთების დღეს. ავტორი გულისტკივილით იხსენებს, რომ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას მის ცხოვრებაში თან ახლდა დიდი ტრაგედია – ომი სამშობლოში. მშვიდობას მოწყურებული ხელოვანისათვის ეს ერთგვარი ხმამაღალი პროტესტი იყო ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ. ნიშანდობლივია, რომ საკუთარი კულტურითა და ცივილიზაციით გაამაყებული ბერძნები უცხო ქვეყნის ხელოვანთ ხშირად როდი ანებივრებენ მსგავსი კულტურული "გარღვევებით", მით უმეტეს, მათთვის ასეთ წმიდათაწმიდა ადგილას, პრაქსიტელის "ჰერმესის" და ზევსის ტაძრის ნაშთების მახლობლად (2000 წლის განმავლობაში ამ მიწაზე არ დადგმულა არც ერთი სხვა ქანდაკება).

თავმდაბალია და ამ წარმატებას უფრო გარე ფაქტორებს მიაწერს, ვიდრე საკუთარ ტალანტს. თუმცა, მის თავმდაბლობას გააჩნია ერთი უარყოფითი მხარეც – პიარის არქონის გამო, მშობლიური ქალაქისათვის განკუთვნილი მისი რამდენიმე პროექტი, ჯერ კიდევ განუხორციელებელი რჩება. **გიორგი შხვაცაბაია** იმ ხელოვანთა რიცხვს განეკუთვნება, ვინც მუდამ აქტიურ შემოქმედებით ფორმაშია და საკუთარ თავს არასოდეს აძლევს მოდუნების უფლებას.

სპორტს მის ცხოვრებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მამა, **გიორგი შხვაცაბაია,** საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო მძლეოსნობაში და თავისი დროის ერთ-ერთი გამორჩეული ათლეტის სახელიც ჰქონდა.

ნიშანდობლივია, რომ მისი ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი – "ლელო" – სწორედ სპორტის თემაზე შექმნილი სკულპტურული ჯგუფია, რომლის დადგმაც სპორტის სასახლის წინ იგეგმებოდა, მაგრამ საბჭოთა ბიუროკრატიზმის "წყალობით" პროექტი ჩაიშალა. ქართული ლელობურთის მოტივებზე დინამიკურად გაცოცხლებული ნამუშევარი დღეს მოქანდაკის სახელოსნოში ინახება, სპორტის სასახლეს კი დღეს მისი კიდევ ერთი გამორჩეული ქმნილება, ლეგენდარული **გივი კარტოზიას** ბიუსტი ამშვენებს.

1981 წელს თბილისის "დინამოს" დიდმა გამარჯვებამ გიორგი შხვაცაბაიას ინსპირაცია მისცა, შეექმნა მატჩის მთავარი გმირის – **ვიტალი დარასელიას** რელიეფური პორტრეტი ბერძნული მონეტის სტილში. თავად ავტორის თქმით, ეს იდეა მას დარასელიას ბერძნულმა პროფილმა შთააგონა. წლეულს 30 წელი სრულდება დიუსელდორფის მოვლენიდან და უპრიანი იქნებოდა, ნამუშევარს დარასელიას გამოსახულებით თბილისის რომელიმე სპორტული დაწესებულება დაემშვენებინა.

გიორგი შხვაცაბაიას განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართული ფეხბურთისადმი გამოვლინდა მის ერთ-ერთ გამორჩეულ ნამუშევარშიც – **მიხეილ მესხის** სკულპტურაში. ცეცხლოვან დინამიკაში გახვეული ლეგენდარული ფეხბურთელის ფიგურა გადამდები, უშრეტი ენერგიითაა გაჯერებული. ანტიკური ფორმების მოტრფიალე მოქანდაკე ჩვეულ ტრადიციას არც ახლა ღალატობს და ქართველი ფეხბურთელი ბერძნულ მითოსის ტიტანად წარმოგვიდგენს. ტიტანი, რომელიც ადამიანური ბუნებითა და ზეადამიანური ძალით გამოირჩევა – აი, ასეთია შხვაცაბაიასეული მიხეილ მესხი.

ფეხბურთელის ხასიათის გასაოცარი სიზუსტით გადმოცემა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქანდაკების ავტორი პირადად იცნობდა მესხს. უკვე მერამდენე წელია, რაც სკულპტურა დღის სინათლეს ამაოდ ელის. მისი დადგმა იგეგმებოდა ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ გეგმა გეგმად დარჩა და ქართული საზოგადოებრიობა დღემდე ამაოდ ელის თავისი საყვარელი გმირის გამოჩენას. ყველაზე სამწუხარო დაბრკოლება ისევ და ისევ უსახსრობაა. ნუთუ, ამ ქანდაკებასაც არ უწერია ღირსეული ადგილის დამკვიდრება სპორტის თემატიკაზე შექმნილ ქართულ სკულპტურათა შორის?



ვიტალი დარასელია

ბუნებრივია, ქანდაკების შექმნა არცთუ მცირე ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ გვინდა გვჯეროდეს, რომ "ლელოში" გამოქვეყნებული ეს წერილი მცირე ბიძგს მაინც მისცემს ამ უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელებას. თაბაშირში შესრულებული ქანდაკების ფოტოს აქვე წარმოგიდგენთ, მისი ბრინჯაოში გადატანა დაწყებულია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი შხვაცაბაია.
ლელო. 1963 წელი.

ჩოგბურთი

# ანა წყვილთა ელიტას გაეჯიბრება

**ანა ტატიშვილი** (128) მემფისში 220-ათასიან „სამხრეთის თასზე" ასპარეზობს, ოღონდ, ახლა მხოლოდ წყვილთა ბადეში. მიდლენდში 100-ათასიანი ტურნირის მოგებისას ჩვენებურის პარტნიორი **ჯეიმი ჰემპტონი** (133) იყო, მაგრამ მემფისში ანას უკრაინელი **ოლგა სავჩუკი** (147) შეუწყვილდა. ქართულ-უკრაინულმა დუეტმა წარმატებით გადალახა პირველი რაუნდი, მათ ბრიტანელი **სარა ბორველი** (82 წყვილებში) და კანადელი **მარი-ივ პელეტიე** (94 წყვილებში) დაამარცხეს - 6:2, 6:4. მეოთხედფინალში ანას და ოლგას მე-3 ნომრად განთესილი წყვილი ელის, რომლის შემადგენლობაშიც ჰოლანდიელი **მიხაელა კრაიჩეკი** (151) და ამერიკელი **ვანია კინგი** (86) შედიან. ვანია კინგი მსოფლიოს მე-5 ჩოგანია წყვილთა რეიტინგში, მიხაელა კრაიჩეკი კი არცთუ დიდი ხნის წინათ მსოფლიოს 30-ე ჩოგანი იყო.

მალიორკას საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადიდან ერთი ქართველიც ვერ გავიდა - ყველას ისევ **სოფიო ქვაცაბაიამ** აჯობა, რომელიც ფინალურ წრეში ჩეხ **ივეტა გერლოვასთან** (535) დამარცხდა - 4:6, 4:6. ძირითად ბადეში ორი ქართველიდან ერთი, **სოფიო შაფათავა** (281) პირველივე წრეში „უაილდ ქარდით" მიწვეულ უკრაინელ **სოფია კოვალეცთან** (618) დამარცხდა - 6:0, 0:6, 3:6. **მაკა ჩახნაშვილის** პირველი მეტოქე მარია **ჟოაო კოელერია** (311). ტურნირის წყვილთა ბადეში ჩახნაშვილისა და ქვაცაბაიას დუეტი პირველ ნომრად არის განთესილი და ბრძოლაში მეოთხედფინალიდან ჩაერთვება. მალიორკაში კიდევ ერთი ქართული დუეტია: შაფათავა და **ეკა გორგოძე** (563).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვლადიმერ ბოისასთან

# რევანშის წყურვილით

**ვლადიმერ ბოისასა** და **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიას" დღეს, 17 თებერვალს ევროლიგაზე გადამწყვეტი მატჩი ელის. სლოვენიელები თელ-ავივის „მაქაბის" უმასპინძლებენ და წაგების შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე გასვლის პრაქტიკულ შანსს დაკარგავენ. ოლიმპიელებმა „მაქაბისთან" პირველ მატჩში 37 ქულის სხვაობით (67:104) წააგეს და, ცხადია, დღეს ასეთი სხვაობის აღმოფხვრა და ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლა გაუჭირდებათ, თუმცა „მაქაბის" ძლევის შემთხვევაში ყველაფერს მომდევნო ორი ტური გაარკვევს. სადღეისოდ ჯგუფის ლიდერი „ბარსელონაა" (3 მოგება), მეორეა „მაქაბი" (2 მოგება), მესამე - „ოლიმპია" (1 მოგება), მეოთხე - „რომა" (3 წაგება). ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი.

თელ-ავიველებთან მატჩის წინ მწვრთნელმა, **იურე ჟდოვჩმა** პრესკონფერენციაზე ვლადიმერ ბოისა იახლა. სლოვენიელმა ჟურნალისტებმა შემთხვევით ისარგებლეს და ვოვას ინტერვიუ ჩამოართვეს.

**- რას ელით „მაქაბისთან" მატჩისგან?**

- ისრაელში ძალიან ცუდად ვითამაშეთ. იმ დღეს „მაქაბიმ" სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჩაატარა. ჩემი აზრით, „ბარსელონა" უკეთესი გუნდია და ლიუბლიანაში მისი ძლევა შეგვეძლო, მინიმალური სხვაობით დავმარცხდით. აქედან გამომდინარე, „მაქაბისთან" მოგებაც რეალურია. ოღონდ უნდა ვითამაშოთ გუნდურად და აგრესიულად, მეტოქეს თავიდანვე არ უნდა მივცეთ თამაშის დალაგების უფლება. პირველ მატჩში წაგება მწარედ გვახსენდება და რევანშის წყურვილით ვართ შეპყრობილნი. ამიტომ, თითოეული ოლიმპიელი მაქსიმუმს გაიღებს, რათა გულშემატკივარს დაანახვოს, რომ ძლიერ გუნდს ქომაგობს.

**- ტრავმის შემდეგ სათამაშო დრო ნელ-ნელა გემატება. „მაქაბისთან", ალბათ, საკმარისად ითამაშებ...**

- არ ვიცი. ეს მწვრთნელზეა დამოკიდებული. მზად ვარ. თუ შანსი მომეცემა, ვეცდები იგი კარგად გამოვიყენო და გუნდს „მაქაბის" ძლევაში დავეხმარო.

**- თელ-ავივში ჩავარდნის მიზეზი რა იყო?**

- კონკრეტული მიზეზის დასახელება ძნელია. ნელა ვთამაშობდით, „მაქაბი" თითქოს დაფრინავდა. მეტოქე ძალიან აგრესიულად თამაშობდა, არაერთი ბურთი ჩაგვიჭრა და სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდა. პირველი ტაიმის შემდეგ თამაშის გამოსწორება ველარ მოვახერხეთ. დარწმუნებული ვარ, ლიუბლიანაში იგივე არ განმეორდება. წარმოუდგენელია, ორჯერ ასე ცუდად თამაში.

**- მოედანს დიდი ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდი. მუხლის ტრავმა უკვე ისტორიაა?**

- მუხლი აღარ მაწუხებს. გასულ უქმეებზე სამი მატჩი ჩავატარე და მიხარია, რომ ფეხის ტკივილს არ შევუწუხებივარ. ფიზიკური მდგომარეობითაც კმაყოფილი გახლავართ.

**- შეტევაში საკუთარ თამაშზე რას იტყვი?**

- ბევრს ვშრომობ, რათა, რაც შეიძლება მალე შევიდე სათანადო ფორმაში და შეტევაშიც ყველაფერი მოწესრიგდეს.




ნარსული და დღევანდელობა. ინტერვიუ გივი ბიჭიაშვილთან

# ნაკრებს ჯიგრით თამაში შეუძლია...

## ...ოღონდ ენერგია 40 წუთს უნდა ეყოს



ერთი ტანმაღალი პიროვნება ბოლო სამი წელია საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს არ აცდენს. შეხვედრებს ძირითადად მეორე იარუსიდან ადევნებს თვალს. ხან მარტო ზის, ხან ვეტერანი კალათბურთელები უმშვენებენ გვერდს. თავადაც ვეტერანია, ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობი **გივი ბიჭიაშვილი...**

პირველივე წინადადებაში „სამი წელი" ვახსენეთ. აქვე განვმარტავთ: ბატონი გივი ამერიკაში ცხოვრობდა და სამშობლოში სამი წლის წინათ დაბრუნდა.

მასთან ინტერვიუს ჩასაწერად უკეთეს ფონს ნამდვილად ვერ ვინატრებდით: შაბათს, სტუ-"ენერჯის" მატჩის მსვლელობისას გივი ბიჭიაშვილმა სუპერლიგაზეც გამოთქვა მოსაზრება, საქართველოს ნაკრებზეც და საკუთარი კარიერაც გაიხსენა.

■ ■ ■

სუპერლიგით დავიწყოთ.

- შარშანდელ და შარშანწინდელთან შედარებით საქართველოს ჩემპიონატის დონემ მოიმატა. ეს გარკვეულწილად ლეგიონერთა მატებამ განაპირობა, თუმცა სასურველია, უფრო ეფექტური ლეგიონერები გვყავდეს, მაგრამ დასაწყისისთვის ესეც კარგია. ფეხბურთელებიც ხშირად მსჯელობენ ლეგიონერთა საკითხზე და იმეორებენ - ისეთი უცხოელი უნდა ჩამოვიყვანოთ, რომელიც ადგილობრივებზე ერთი თავით მაღლა იდგება. ეს გუნდისთვისაც სასარგებლოა, ჩემპიონატისთვისაც და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძლიერი ლეგიონერების გვერდით ქართველი ახალგაზრდებიც დიდ გამოცდილებას შეიძენენ.

**- გუნდების მოძლიერებას გულშემატკივართა მატება უნდა მოჰყვეს...**

- „არმიასა" და შსს-ს მატჩებზე სპორტის სასახლე პირამდე ივსება, თუმცა ეს იშვიათად ხდება. ქომაგის რაოდენობაც შედეგზეა დამოკიდებული. თუ რომელიმე ქართული გუნდი გაისად ევროპისკენ გაიხედავს და შედეგიანადაც ითამაშებს, გულშემატკივარიც მეტად მოუბრუნდება კალათბურთს. აქვე ვიტყვი, ვერის ბაღის დარბაზიდან სპორტის სასახლეში კალათბურთის გადმოტანამ საკალათბურთო ამინდი გააუმჯობესა. სასიამოვნოა ისიც, რომ სუპერლიგა კარგი ორგანიზებულია.

**- ჩვენს ჩემპიონატში თუ ხედავთ ისეთ კალათბურთელს, რომლის გარჯაც თქვენს თამაშს გაგონებთ?**

- გამოკვეთილი მსროლელი სუპერლიგაში არ ჩანს. ნაკრებშიც ერთი მსროლელია - მანუჩარ მარკოიშვილი, რომელსაც შეუძლია აიწიოს და შედეგიანად სტყორცნოს. ვიქტორ სანიკიძესაც შეუძლია შორიდან სროლა, მაგრამ იგი სხვა ამპლუის კალათბურთელია. ზოგადად კი, საქართველოს ჩემპიონატში ბექა წივწივაძე მომწონს, ლამაზ, რბილ კალათბურთს თამაშობს, კარგი დამცველიცაა, ჭკუაც აქვს და მოედნის ხედვაც. წივწივაძეს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ტრიბუნებიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხასიათის კალათბურთელია. თუ ამას მიხედა, ბევრს მიაღწევს.

■ ■ ■

მივადექით ეროვნულ გუნდს.

**- მარკოიშვილი და სანიკიძე ახსენეთ. ზოგადად საქართველოს ნაკრებზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- მშვენიერი გუნდია. იქნებ, წლეულს ნიკა ცქიტიშვილმა მეტი ითამაშოს და უფრო ეფექტური გუნდი გვეყოლება. ზაზა ფაჩულია 2010 წელს ერთი-ორად უკეთესად თამაშობდა, ვიდრე 2009-ში. წინა წელთან შედარებით ნერვიულობაც ნაკლებად ეტყობოდა. საერთოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ NBA-ს კალათბურთელს ევროპაში სათამაშოდ განწყობა სჭირდება, რაც არცთუ იოლია. რატომღაც, დარწმუნებული ვარ, რომ ზაზა ლიტვაში უფრო კარგად ითამაშებს.

**- ფიქრობთ, რომ საქართველოს ნაკრებს ევრობასკეტზე წარმატებით გამოსვლა შეუძლია?**

- ეს უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ, ნაკრებს აქამდე ყოველთვის ჰქონდა ტრავმირებულების პრობლემა, ხან სანიკიძე გვაკლდა, ხან მარკოიშვილი, შარშან ვლადიმერ ბოისა ვერ დაგვეხმარა. იმედი დავიტოვოთ, რომ სასექტემბროდ ყველა მწყობრში იქნება. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი - მომზადება. ვფიქრობ, მწვრთნელი, იგორ კოკოშკოვი გუნდს ისე მოამზადებს, რომ კალათბურთელები ფორმის პიკს 31 აგვისტოსთვის მიაღწევენ.

**- ამ დღეს, ევროპის ჩემპიონატზე ბელგიას ვეთამაშებით. ეს შეხვედრა ბევრს გადაწყვეტს.**

- შარშან ბელგიაში მოგების შანსი იყო, თუმცა თბილისში „კოხტად" დაგვშალეს და გაიმარჯვეს კიდეც. ეს ჩავარდნა იყო, რაც მომავალში არ უნდა განმეორდეს. საქართველოს ნაკრებს შეუძლია მომდევნო ეტაპზე გასვლა და ასევე შესაძლებელია სამეულში ვერ მოვხვდეთ. ეს ყველაფერი სტაბილურობაზე იქნება დამოკიდებული.

**- ფავორიტებთან, რუსეთთან და სლოვენიასთან მატჩებზე რას ფიქრობთ?**

- სლოვენიას ჩვენთან მოგებისთვის 70-პროცენტიან შანსს მივცემდი. ბალკანელებს ძლიერი ნაკრები ჰყავთ. მეც არაერთხელ მითამაშია ლიუბლიანაში ადგილობრივი გუნდის წინააღმდეგ, მაგრამ 80-იანი წლების შემდეგ სლოვენიელებმა დიდი პროგრესი განიცადეს. რაც შეეხება რუსეთს, მისი ძლევა შეიძლება. ასევე თავისუფლად შეიძლება წაგება. ყველაფერი დამოკიდებული იქნება კონკრეტულ მატჩში ამა თუ იმ გუნდის მზადყოფნასა და ფსიქოლოგიურ განწყობაზე. საქართველოს ნაკრებს გულიანად თამაში უყვარს, მაგრამ ჯიგარი 40 წუთს ვერ მოქმედებს, ემოცია არ ყოფნის.

■ ■ ■

მომავლიდან წარსულში გადავინაცვლოთ და გავიხსენოთ რამდენიმე ეპიზოდი გივი ბიჭიაშვილის კარიერიდან.

- პატარაობაში ცურვა და ფეხბურთი მომწონდა, მაგრამ სიმაღლემ თავისი გაიტანა - მწვრთნელებმა გივი ღლონტმა და სერგო აკოფოვმა კალათბურთში ჩამრთეს. გამოვდიოდით სკოლების პირველობებზე. სწორედ ამ შეჯიბრებისას დაინტერესდა ჩემით ძია მიშა (მიხეილ კეკელიძე), რომელიც გუნდ „ტონოს" ხელმძღვანელობდა. მან გუნდში დამიბარა და საინტერესო გარემოცვაში მოვხვდი: „ტონოში" ჩემს გვერდით თამაშობდნენ ლევან ჩხიკვაძე, სერგო კოვალენკო, გუჯა მაისურაძე. მათთან შემდეგ „ბურევესტნიკში" ვითამაშე, მანამდე კი თანატოლთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გავხდით.

**- თბილისის „დინამოშიც" ადრეულ ასაკში მოხვდით.**

- „დინამოში" თამაში ყველა ქართველი კალათბურთელის ოცნება იყო. მე-10 კლასში ვიყავი, მწვრთნელმა ოთარ ქორქიამ რომ ამიყვანა. ძალიან გახარებული გახლდით, თუმცა იქ დიდხანს არ დავრჩენილვარ (1966-67 წლებში ვითამაშე), 1967-68 წლების სეზონი „ბურევესტნიკში" დავიწყე. ძლიერი გუნდი გვყავდა: კოვალენკო, პულავსკი, გურჯიძე, ძიძიგური, ჯულელი. ძალიან გვეხმარებოდნენ გამოცდილები მანაგაძე და ლეჟავა.

**- საბჭოთა კავშირის ჩემპიონატშიც არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი მოიგეთ...**

- „დინამოსაც" ვძლიეთ და ცსკა-საც. ეს ის შემთხვევები იყო, როცა სახელები ბევრს არაფერს წყვეტს, ჰა ბურთი, ჰა მოედანი და რაც შეგიძლია, დაამტკიცე. მახსენდება „ბურევესტნიკში" ჩატარებული ერთ-ერთი პირველი მატჩი: ლენინგრადში „სპარტაკთან" მწვრთნელმა მოედანზე ბოლო წუთზე შემიყვანა. ანგარიში თანაბარი იყო. ბოლო იერიშის უფლება ჩვენ დაგვრჩა, ბურთი მეტოქის ნახევარზე გადავიტანეთ და მე შემრჩა. სხვებთან შედარებით თავისუფალი ვიყავი, ავიწიე, ვესროლე და ორი ქულის სხვაობით მოვიგეთ. მაშინ, გუნდში ახალბედა ვიყავი და ლენინგრადული მატჩი მკაფიოდ მახსოვს. მომდევნო შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დავიწყე, თუმცა იმდენად კარგად ველარ ვითამაშე.

**- რამდენიმე წლის შემდეგ ისევ „დინამოში" დაბრუნდით.**

- კოვალენკო კიევში გადავიდა და „ბურევესტნიკიც" დაიშალა. პულავსკი, ძიძიგური, ჩხიკვაძე და მე „დინამოში" აღმოვჩნდით, სადაც საკანდელიძე, ქორქია, ჩიხლაძე, ბოლქვაძე და სხვა მაღალი კლასის კალათბურთელები დაგვხვდნენ. „დინამოში" პირველი წელი ულიმლამოდ ჩავატარე, შემდეგ კი რეგულარულად ვთამაშობდი ხუთეულში. „დინამოში" 1984 წლამდე ვიყავი, შემდეგ კარიერაც დავასრულე.

**- პარტნიორებიდან ყველაზე უკეთ ვის უგებდით?**

- ლევან ჩხიკვაძეს, რომელთანაც პატარაობიდან ვთამაშობდი. შეტევას რომ ვიწყებდით, იგი ერთი მოძრაობით ხვდებოდა, სად გავიდოდი და გადაცემას არ აგვიანებდა. ძალიან ბევრს ნიშნავს კარგი გამთამაშებელი. ჩემი აზრით, „ბარსელონაში" მესი არგენტინის ნაკრებთან შედარებით უკეთ იმიტომაც ჩანს, რომ გუნდში ჩავი და ინიესტა ჰყავს.

**- სხვა თანაგუნდელებზეც გკითხავთ...**

- „დინამოში" პირველ წელს დამხვდნენ მინაშვილი, უგრეხელიძე, ლეჟავა, ალთაბაევი, კაზანჯიანი... ასეთ შემადგენლობაში თამაში იშვიათად მიწევდა, მაგრამ ვარჯიშიც ძალიან სასარგებლო იყო. გურამ მინაშვილი ცეცხლოვანი კალათბურთელი იყო, შეცდომის დაშვება არ უყვარდა და არც უშვებდა. იგი შესანიშნავი ორგანიზატორი გახლდათ. ზურაბ საკანდელიძეს ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა. ულამაზესი კალათბურთელი იყო ვლადიმერ უგრეხელიძე, ასევე ლამაზ კალათბურთს თამაშობდა ლევან მოსეშვილი. მიხეილ ქორქიას ქურგზე არაერთმა მატჩმა გადაიარა. ასევე, ძალიან სასარგებლო იყო პულავსკი.

**- გაიხსენეთ „ბურევესტნიკში" ჩატარებული ყველაზე დასამახსოვრებელი მატჩი. ასეთი შეხვედრები „დინამოშიც" იყო...**

- ცსკა-სთან თბილისში მოგვიგია, მოსკოვში - არა. ლენინგრადის „სპარტაკთან" სტუმრად გამარჯვებებიც მახსოვს. საოცარი თამაში გამოვიდა „დინამო"-"ჟალგირისის" დაპირისპირება: იყო მომენტი 25 ქულის სხვაობით ვაგებდით, მაგრამ იმდენი მოვახერხეთ, რომ ანგარიში გავათანაბრეთ და მატჩი დამატებით დროში გადავიდა. ოვერტაიმში 1 თუ 2 ქულის სხვაობით ვიმარჯვეთ. ასევე დასამახსოვრებელი მომენტი იყო კიევში გამართული სპარტაკიადა. უკრაინის ნაკრებს პირველ ტაიმში 15 ქულით ჩამოვრჩით, შესვენებაზე 11-ქულიანი ჩამორჩენით გავედით. უკრაინელები ფავორიტები იყვნენ. მათ რიგებში თამაშობდნენ ტკაჩენკო, ბელოსტენი, სალნიკოვი... მეორე ტაიმში საქმეში ქართული ჯიგარი ჩაერთო, აქედან მიშა ქორქიამ, იქიდან ნიკოლოზ დერიუგინმა მოსვენება არ მისცეს მასპინძლებს და გავიმარჯვეთ. ნახევარფინალში ლენინგრადის ძლიერ ნაკრებთან წავაგეთ და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავედით. ჩემპიონი ცსკა გახდა.

**- ბოლოს თქვენს ტყორცნაზე გკითხავთ.**

- დიდი შრომა ჩავდე. პატარაობიდან მქონდა სროლის გრძნობა, ყოველთვის მინდოდა რაც შეიძლება ზუსტად მესროლა. ამ კომპონენტზე ბევრს ვმუშაობდი. დღეში 100 რეალიზებული სროლა ჩემთვის არაფერი იყო, გაცილებით მეტს ვაგდებდი. ვტყორცნიდი სხვადასხვა პოზიციებიდან, მოძრაობაში, სტატიკური მდგომარეობიდან...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ლელო წარმოგიდგენთ

# ქართული სპორტის ქრონიკები

## თავფურცელი



მაშინ ალბათ ფოტოგრაფმა თქვა: „მიიღეთ სერიოზული სახე! ეს სურათი ისტორიას დარჩება“. მათაც სულ ერთი წუთით, „დაკვეთით“ მიიღეს სერიოზული გამომეტყველება და გორგოლაჭებზე შემდგარნი ყვანჭით ხელში ობიექტივის წინ ასე ჩამწკრივდნენ: მარცხნიდან-ნოდარ დონაძე, რაჟდენ კორძაია, თემურ გიგინეიშვილი, ომარ ბერიშვილი და ზაურ ცინაძე. ფოტო „ლელოს“ არქივიდან

# ჩვენ და ყინულის ჰოკეი

ახლა ზამთარია - სპორტის ზამთრის სახეობების მოყვარულებისთვის შესაფერისი დრო.

საქართველოში არავის უკვირს სამთოთხილამურობაში, ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, ციგაობაში, ფიგურულ ციგურაობაში ჩვენი სპორტსმენების მიერ მოპოვებული წარმატებები სხვადასხვა დროს, მაგრამ ყინულის ჰოკეი?

დიახ, იყო პერიოდი ზამთრის სპორტის ამ სახეობასთან გაშინაურებისათვისაც სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. ისტორიის თავფურცელი კი ნახევარი საუკუნის წინათ დაიწერა და ვინ იცის, იქნებ არც განახლების დროა შორს.

1962 წელს სსრ კავშირის ზამთრის სპარტაკიადა ჩატარდა, რომელზედაც ყველა რესპუბლიკა საგანგებოდ მიიწვიეს. საქართველოში ორი წლით ადრე შეუდგნენ გუნდის მომზადებას. მოსკოვიდან ჩამოიყვანეს მწვრთნელი **ვალენტინ ზახაროვი,** 1961 წლის იანვარში კი ბაკურიანში რესპუბლიკის პირველი ჩემპიონატიც გაიმართა. შეჯიბრებაში თბილისის, ბათუმის, ახალქალაქის, ქუთაისის, ადიგენისა და დუშეთის 7 გუნდი მონაწილეობდა. გუნდებში ძირითადად საქართველოში დისლოცირებული სსრკ შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები შედიოდნენ, თუმცა მათთან ერთად ახალი თამაშის დაჭაშნიკება ქართველმა ენთუზიასტებმაც სცადეს. რესპუბლიკის პირველი ჩემპიონის სახელი მოიპოვა ახალქალაქის გუნდმა, რომელმაც ფინალში ბათუმის გუნდს 9:4 მოუგო. ამ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია თბილისის პირველ გუნდს, რომელიც იმ დროს მოკავშირე რესპუბლიკების ჩემპიონატში თამაშობდა საქართველოს სახელით. გუნდმა ორჯერ წააგო ესტონეთთან (0:25 და 0:12), მერე კი ბელორუსიისა და უკრაინის ნაკრებებთან დამარცხდა. გათამაშების მეორე ეტაპზე, რომელიც ბაკურიანში გაიმართა, საქართველოს ნაკრებმა კვლავ ყველა მატჩი წააგო, თუმცა უკვე შედარებით საპატიო ანგარიშით (უკრაინასთან-2:5 და 0:7, ბელორუსიასთან-1:4). საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: **კორძაია** (მეკარე), **ლეჟავა, სააკაძე, მამალაძე, სტაროსელცევი, სოკოლოვი** და ზახაროვი (მოთამაშე-მწვრთნელი).

1962 წლის თებერვალში ჩატარდა საქართველოს II ჩემპიონატი. ამჯერად შეჯიბრებაში თბილისის, ბორჯომის, მესტიის, ახალციხის, ახალქალაქის, ქუთაისისა და ბათუმის 8 გუნდი ჩაება. ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის პირველმა გუნდმა, რომელმაც ფინალში წინა პირველობაში გამარჯვებული ახალქალაქის ჰოკეისტები 4:2 დაამარცხა. ჩემპიონატის შემდეგ შეიქმნა საქართველოს ნაკრები, რომელმაც 1962 წლის მარტში სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადაში ითამაშა. გუნდმა ორი მატჩის მოგება შეძლო (ყირგიზეთთან-1:0, სომხეთთან-11:2) და 12 მონაწილეს შორის X ადგილზე გავიდა.

საქართველოში ყინულის ჰოკეის მიმართ ინტერესი კვლავ გაჩნდა 70-იან წლებში, სსრკ-კანადის სუპერსერიების შემდეგ. 60-იანი წლების ნაკრების წევრმა **ნოდარ დონაძემ** ჩამოაყალიბა მოზარდთა გუნდი „პირველი მერცხალი“, რომელმაც მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრება „ოქროს შაიბაშიც“ ითამაშა. ამ გუნდის მეკარემ **კოტე ბახუტაშვილმა** 1988 წელს სსრკ იუნიორთა ნაკრების რიგებში ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 1988-89 წლებში იგი მოსკოვის ცსკა-ს წევრი იყო, შემდეგ კი ყაზანის „იტილში“ გამოდიოდა.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი,** ვინც სსრ კავშირის დაშლამდე დამოუკიდებლად იასპარეზა საერთაშორისო ტურნირში იყო ქუთაისის ბალახის ჰოკეის გუნდი. ასპარეზობა გაიმართა პოლონეთის ქალაქ პოზნანში 1989 წელს.

**პირველმა** საქართველოში რაგბიში ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხი დღის წესრიგში დააყენა **დავით კილასონიამ** და მისმა მხარდამჭერმა ჯგუფმა.

**პირველად** კინორეჟისორმა **ალექსანდრე ჟღენტმა** დასვა საკითხი ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან გამოყოფის შესახებ. ამის თაობაზე წერილი მან გამოაქვეყნა „ლელოში“ 1989 წელს.

## შეკითხვა ლელოს

**გამიგია, რომ პირველი ოლიმპიელი საქართველოდან იყო ცხენოსანი. ვინ იყო იგი და რომელ თამაშებში გამოდიოდა?**

**მამუკა გიორგაძე**
ჰოლანდიიდან

**პასუხი:** დოკუმენტურად დასტურდება, რომ 1908 წელს რუსეთის იმპერიის ოლიმპიურ გუნდში ირიცხებოდა თავადი **ჭავჭავაძე.** თუმცა ჯერ კიდევ არაა მიკვლეული ცხენოსნობის რომელ პროგრამაში ასპარეზობდა იგი. ეს ფაქტი სარწმუნოდ დაადგინა **გიორგი მაისურაძემ** და საქართველოს ცენტრალური არქივის თანამშრომელმა **ბონდო ჩიკვაიძემ** (იხ. „ლელო“, 1989 წ. 18.X და 12.XII).

დავძენთ, რომ მეფის რუსეთი ოლიმპიურ თამაშებში სწორედ 1908 წლიდან ჩაერთო და 1912 წელსაც მონაწილეობდა. შემდეგ კი მემკვიდრე სსრ კავშირი გახდა 1952 წლიდან.

## ვინ რა თქვა

„სპორტი სპარტანულ შრომას, თავდადებას მოითხოვს და მრჩევლად ვერავის გამოადგები. მე მხოლოდ ის შემიძლია გირჩიოთ, რომ ყოველდღიურ ფიზკულტურას და სპორტს მისდიოთ... დიდი სპორტი კი ძლიერთა, თავდადებულთა, ერთგულთა ხვედრია“.

■ ■ ■

„სპორტში სულის მოთქმას, დასვენებას და დაიმედებას არავინ გაპატიებს, თვით სპორტი არ გაპატიებს. დიდი სპორტი ხომ უფრო და უფრო მკაცრი და მომთხოვნი ხდება“.

**ვიქტორ სანეევი**
სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამხტომში

## თარიღი 17-23 თებერვალი

**17.1994 წ.** ლილეჰამერში ზამთრის XVII ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობის მე-6 დღე. საქართველოდან მონაწილეობდა 5 სპორტსმენი.
**18.1981 წ.** დაიბადა **გიორგი ლუდუშაური**-ფეხბურთი.
**19.1928 წ.** სანქტ-მორიცში (შვეიცარია) დასრულდა ზამთრის II ოლიმპიური თამაშები.
**20.1899 წ.** დაიბადა **ალექსანდრე ჯაფარიძე**-ალპინიზმი. დაიღუპა 1945 წელს.
**21.1978 წ.** დაიბადა **ლექსო მოდებაძე**-თავისუფალი ჭიდაობა.
**22.1973 წ.** დაიბადნენ **შოთა** და **არჩილ არველაძეები**-ფეხბურთი.
**23.1935 წ.** დაიბადა **როსტომ აბაშიძე**-ბ/რ ჭიდაობა.
**23.1936 წ.** დაიბადა **თენგიზ მელაშვილი.** დაბადებიდან 75 წელი.

## თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

**1. დაასახელეთ ცნობილი ხელოვანი, რომელიც რაგბის თამაშობდა:**
ა – გიორგი შხვაცაბაია
ბ – გიორგი გულაძე
გ – გია ჯაფარიძე

**2. რომელ წელს და რიცხვში ჩატარდა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი?**
ა – 1989 წლის 28 თებერვალს
ბ – 1990 წლის 30 მარტს
გ – 1991 წლის 3 აპრილს

**3. მონაწილეობდა თუ არა ქართველი ფეხბურთელი მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატში?**
ა – მონაწილეობდა
ბ – იყო ნაკრებში, მაგრამ არ უთამაშია
გ – საქართველო აღარ შედიოდა სსრ კავშირის შემადგენლობაში

**4. საქართველოდან ერთადერთი მოფარიკავე გამოდიოდა 1958-1968 წლებში გამართულ მსოფლიოს ყველა ჩემპიონატში და ორ ოლიმპიურ თამაშებში. ვინ იყო იგი?**
ა – გურამ კოსტავა
ბ – რევაზ ცირეკიძე
გ – წუგზარ ასათიანი

**5. დაასახელეთ საქართველოს ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ძიუდოისტი.**
ა – დავით ხახალეიშვილი
ბ – ნესტორ ხერგიანი
გ – ირაკლი ცირეკიძე

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-გ

# კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი ბატუტზე ხტომაში, ანა...; 6. თბილისის "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, მცველი; 8. ქართველი მოჭადრაკე ქალი, დიდოსტატი; 9. ჩოგბურთის მოედანი; 10. საფეხბურთო კლუბ "კარლსრუეს" ქართველი კაპიტანი; 11. თბილისის "დინამოს" პირველი თაობის ფეხბურთელი; 12. ჩინური ტანვარჯიში; 13. ერთ-ერთი მუქარა ჭადრაკში; 14. საქართველოს მორაგბეთა შვიდკაცა ნაკრების მთავარი მწვრთნელი; 18. ქართველი ფეხბურთელი, რომელიც 1970-იან წლებში უკრაინაში თამაშობდა; 19. წარსულში საქართველოში ალპინიზმისა და თხილამურობის ერთ-ერთი მოამაგე; 20. ერთ-ერთი ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც პელეს წინააღმდეგ ითამაშა; 22. ალექსანდრე მეტრეველის მეწყვილე; 24. თანაქალაქელი გუნდების მატჩი; 26. ჰოკეის მატჩის ნაწილი; 27. ჩოგბურთელი ... მესხი; 28. თერჯოლის საფეხბურთო გუნდი.

**შვეულად:** 1. ოთხწლიანი პერიოდი ოლიმპიურ თამაშებს შორის.; 2. შუამარბი ფეხბურთში; 3. ქართველი მორაგბე; 4. "ერგოტელისის" ქართველი მცველი; 5. თბილისის "დინამოს" მწვრთნელი 1950-53 წლებში; 6. თბილისის დინამოელი ვეტერანი ფეხბურთელი; 7. ლიმასოლში საქართველო-სომხეთის ამხანაგურ მატჩში ქართველთა მეორე გოლის გამტანი; 15. სფფ-ის ექსპრეზიდენტი; 16. ვეტერანი ფალავანი, როსტომ...; 17. ისარი და...; 19. წარსულში გამოჩენილი ქართველი მძლეოსანი ქალი; 21. მორბენლებით განთქმული კონტინენტი; 23. გურიელი...; 25. რაგბის საერთაშორისო საბჭო; 26. სიტყვა, რომელსაც ბრიჯის მოთამაშე წარმოთქვამს ვაჭრობის დროს.

**შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ**

**პასუხები მომდევნო ნომერში**

## ფოტო ლელოს არქივიდან

ამ ფოტოზე, რომელიც „ლელოს“ 25 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა, აღბეჭდილია ქართულ ჭიდაობაში გუნდურ შეჯიბრებაში საქართველოს 1950 წლის ჩემპიონი საგარეჯოს ნაკრები გუნდი. მაშინ მოჭიდავეთა ვინაობა არ ვიცოდით. დადგენაში თვით საგარეჯოელები დაგვეხმარნენ.

**მარცხნიდან:** ამირან არჩვაძე, ოთარ შაქარაშვილი, თენგიზ ელერდაშვილი, გუგული ერბოწაშვილი, ნიკო მუჩიაური, არსენ ჯინჭარაძე, იოსებ ქაიხოსროშვილი, ამირან დილმელაშვილი, ვალიკო მამუკაშვილი და მწვრთნელი შალვა გზირიშვილი.



**გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლევან მაისაშვილთან


ლელო-ყოჩები. 2010 წელი

# ჩემპიონის ტიტულის მაძიებელთა ჯგუფი გაიზარდა

თბილისის განათლების სამმართველოს კომპლექსური სკოლის რაგბის განყოფილებას წლების განმავლობაში არაერთი ნიჭიერი მორაგბე აღუზრდია. აქ ისწავლეს რაგბის ანბანი ყოფილი საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონებმა და პრიზიორებმა. მიღწეული წარმატებებიდან გამომდინარე, 1980 წელს, კომპლექსური სკოლიდან დამოუკიდებლად დაარსდა რაგბის სპორტული სკოლა.

1985 წელს კი **ბათუ კევლიშვილის** ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა რაგბის სპეციალიზებული სკოლის მშენებლობას, რომელიც 1989 წელს დასრულდა. ამავე პერიოდში, სკოლის ბაზაზე შეიქმნა რაგბის კლუბი „ლელო".

კლუბის ოქროს ხანა 2002 წლიდან დაიწყო და მთლიანადაა დაკავშირებული გუნდის მთავრი მწვრთნელის **ლევან მაისაშვილის** სახელთან. იმ წელიწადს „ლელომ" პირველ ლიგაში პირველი ადგილი დაიკავა და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა. პარადოქსია, მაგრამ 2002 წლის საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ „ლელოს" ცხრა ნომერი, პირველლიგელი და ამჟამად საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერ **მერაბ კვირიკაშვილი** დაასახელეს.

საქართველოს ჩემპიონის პირველი ტიტული გუნდმა 2004 წელს მოიპოვა. ქვეყნის უპირველესის სახელი „ლელომ" ხუთი წლის შემდეგ ისევ მოიხვეჭა. 2008-10 წლებში კი ზედიზედ სამჯერ დაეუფლა საქართველოს თასს.

დღესდღეობით საქართველოს ეროვნულ ნაკრების ღირსებას „ლელოს" არაერთი აღზრდილი იცავს. გუნდი ბოლო წლებია მუდმივად მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძვის და, სავარაუდოდ, წლეულსაც ლიდერთა შორის იქნება. თუმცა რა გეგმები აქვს „ლელოს" და როგორ ემზადება მომავალი საჩემპიონატო ბატალიებისთვის, თავად ლევან მაისაშვილი გვიამბობს.

- გუნდი დეკემბრის მეორე ნახევარში შევკრიბე და ახალი წლის დადგომამდე მსუბუქად ვავარჯიშებდი. იანვრის მეორე დეკადიდან კი უკვე მწყობრი მზადების პროგრამით გათვალისწინებული წვრთნები დავიწყეთ. კვირაში სამ დღეს ფიზიკურ მომზადებას ვუთმობთ, დავრბივართ, დიდ დროს ძალოსნობის დარბაზში ვატარებთ. დანარჩენ დღეებში ბურთით ვვარჯიშობთ, ახალი კომბინაციების დახვეწაზე ვმუშაობთ.

**- როგორც წესი, ამ დროს საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, თქვენი კლუბის წარმომადგენლები კი იქ მუდმივად მრავლად არიან...**

- დიახ, ასეა. ასაკობრივ ნაკრებებთან ერთად, ლელოელებს საქართველოს A ნაკრებშიც უხვად ნახავთ. წლეულს განსაკუთრებულ რეჟიმში ვარჯიშობს ოცწლამდელთა ნაკრები, რომელსაც „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე" აქვს სათამაშო. ჩვენი მორაგბეები კლუბთან ერთად რომ ვერ ვარჯიშობენ, ცხადია, პრობლემას ქმნის, მაგრამ ვცდილობთ ამით თავჩენილი ხარვეზები მინიმუმამდე შევამციროთ.

**- რა ცვლილებებია გუნდის შემადგენლობაში?**

- „ლელოდან" მხოლოდ ერთი მოთამაშე წავიდა. ვიქტორ კოლელიშვილი ფრანგულ „კლერმონში" გადაბარგდა და ამ სახელოვანი კლუბის ესპუართა გუნდში თამაშობს. რაც შეეხება კიდევ ერთ მესამეხაზელ ილია მაისურაძეს, რომელიც საქართველოს ნაკრების მწვრთნელის რიჩი დიქსონის ასისტენტია, როგორც კი დროს გამონახავს, აუცილებლად დაგვეხმარება.

საკმაოდ სერიოზული მატება გვაქვს ჭაბუკთა A ლიგის გუნდიდან. გოდერძი ჭინჭარაული, სანდრო ქოიავა, ბექა სურგულაძე, ბაჩო კოლელიშვილი, ბექა ხიპაშვილი, გიორგი ჭყოიძე და უჩა მჭედლიშვილი პერსპექტიული, იმედის მომცემი ახალგაზრდა მორაგბეები არიან და მათი ძალიან დიდი იმედი გვაქვს.

ამასთან, გუნდში გვყავს სრულიად ახალბედები, იმედა გორგოძე და გურამ კაკოიშვილი, რომელიც აქამდე ძიუდოთი იყვნენ გატაცებული.

**- შარშან ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა „ლელოს" მგეზავს და უდავო ლიდერს ლაშა ხმალაძეს. ამჟამად როგორია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

- ლაშა ახლა ინგლისშია და ერთ-ერთი კოლეჯის გუნდში ექიმების მეთვალყურეობით ვარჯიშობს. თებერვლის ბოლოს თბილისში დაბრუნდება და, სავარაუდოდ, „ლელოს" შემადგენლობაში პირველივე წრეში ითამაშებს. ფორმაში შედის ასევე გარემარბი ალექსანდრე თოდუაც, რომელიც ხმალაძესთან ერთად ჩვენი გუნდისთვის ძალიან დიდი ძალაა. შარშანდელ ჩემპიონატში ეს მოთამაშეები რომ არ დაგვეკარგა, ჩემპიონის ტიტულს არ დავთმობდით.

**- ცხადია, „ლელო" წლეულს ისევ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. რომელი გუნდები მიგაჩნიათ ძირითად კონკურენტებად?**

- საკმაოდ საინტერესო ჩემპიონატი უნდა გამოვიდეს. ყველა გუნდი ინტენსიურად ემზადება. ვფიქრობ, ჩემპიონობისთვის ისევ „ლოკომოტივი", „აია" და „ყოჩები" იბრძოლებენ. ძალიან კარგი გუნდი უნდა იყოს რუსთავის „ხარები", რომელსაც სერიოზული ძალა დაემატა - პალიკო ჯიმშელაძე.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გუნდს სავარჯიშო პირობები ნორმალური აქვს. გეგმაში კი სათამაშო მოედნის მშენებლობაცაა...**

- ვარჯიშებს დიდი დიღომში, „ვისოლის" სპორტულ კომპლექსში ხელოვნურსაფრიან მოედანზე ვატარებთ. ვარკეთილის ბაზაზე წვრთნა ჯერ შეუძლებელია, რადგან მოედანზე მიწა შეგვაქვს. იქ ვარჯიშის ჩატარება, ალბათ, აპრილამდე არ მოხერხდება.

რაც შეეხება სათამაშო მოედანს. მისი მშენებლობა დიდ დიღომში მალე დაიწყება. სტადიონი 2 ათასამდე ქომაგს დაიტევს. ერთ ბალახისსაფრიან სტანდარტულ მოედანთან ერთად, ერთიც არასტანდარტული, ხელოვნურსაფრიანი გვექნება.

**- მინდა ჩვენ ეროვნულ ნაკრებზეც გკითხოთ. რგორც საქართველოს A ნაკრების მწვრთნელი, თქვენ „ბორჯღალოსანთა" თითქმის ყველა ვარჯიშს ესწრებით. რა შეგიძლიათ თქვათ ჩვენი გუნდის მწვრთნელებზე?**

- ნაკრების მთავარ მწვრთნელს, რიჩი დიქსონს ძალიან კარგი ორგანიზატორული თვისებები აღმოაჩნდა. ის დიდი ხანია, ჩვენთან მუშაობს და მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდება სანაკრებო და, საერთოდ, განვითარების პროგრამები. მას საკმაოდ საინტერესო ხედვა აქვს.

საშუალება მქონდა ნოემბრის ტესტებზეც ნაკრებთან ერთად ვყოფილიყავი. დავრწმუნდი, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბი მართლაც უმაღლესი დონის სპეციალისტებითაა დაკომპლექტებული. აბსოლუტურად ყველაფერი წინასწარ აქვთ დაგეგმილი. დასახულს ჯერ თეორიულად განიხილავენ, მერე ვარჯიშზე პრაქტიკულად ახორციელებენ. ვარჯიშის შემდეგ ისევ კრებენ გუნდს და განიხილავენ, რისი გაკეთება მოხერხდა და რისი არა. ერთი სიტყვით, ვისი მუშაობაც მინახავს, მათგან ყველაზე საინტერესო სპეციალისტები არიან.

მთავარი ისაა, რომ რასაც მწვრთნელები ითხოვენ გუნდმა თამაშში სწორედ მისი რეალიზება დაიწყო. ვნახოთ, გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან როგორ გამოუვათ. თუმცა, ნაკრების მწვრთნელები რასაც უკვე აკეთებენ, დასაფასებელია.

ამბები

## გიტო ტულონში სამ წელიწადს ითამაშებს

ავსტრალიის ნაკრებისა და ბრისბენის „ბრამბიზის" შუამარბი **მეთ გიტო,** ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ ფრანგულ „ტულონში" გადაბარგდება და იქ სამ სეზონს გაატარებს.

გიტოს ავსტრალიის რაგბის კავშირთან კონტრაქტი წლეულს 31 დეკემბერს უმთავრდება, თუმცა მას ნება დართეს, „ტულონს" მსოფლიო თასის დამთავრებისთანავე შეუერთდეს.

ალსანიშნავია, რომ გიტოს „ტულონში" დიდი კონკურენცია ელოდება. მგეზავად აქ ინგლისის ნაკრებისა და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე **ჯონი ვილკინსონი** თამაშობს. ამიტომ მას, ისევე როგორც ავსტრალიის ნაკრებში, შუამარბად თამაში მოუწევს. თუმცა ამ პოზიციის დასაკავებლადაც სერიოზული ბრძოლა დასჭირდება. „ტულონში" უკვე თამაშობს არგენტინელი **ფელიპე კონტეპომი,** ხოლო უელსელ **გევინ ჰენსონს** კონტრაქტი ახლახან გაუფორმეს.

„ტულონის" მულტიმილიონერ პრეზიდენტ **მურად ბურჯელალას** ავსტრალიის ნაკრების სხვა მოთამაშეების გადაბირებაც ენადა, მაგრამ **სტივენ მურმა, ბერიკ ბარნსმა, დრიუ მიტჩელმა** და **ადამ ეშლი-კუპერმა** გადაწყვიტეს კონტრაქტი ავსტრალიის რაგბის კავშირთან 2013 წლის ბოლომდე გაეფორმებინათ, რადგან „ბრიტანელ ლომებთან" დაპირისპირება სურთ, რაც ნებისმიერი სამხრეთნახევარსფეროელი მორაგბის ოცნებაა.

## მიკი რურკი ფილმისთვის მზადებას იწყებს

ჰოლივუდის პოპულარულმა მსახიობმა **მიკი რურკმა** რაგბიზე, უფრო ზუსტად კი უელსის ნაკრებისა და „ბრიტანელი ლომების" ყოფილ ლიდერ **გერეთ ტომასზე** ბიოგრაფიული ფილმის გადაღება ჯერ კიდევ შარშან გადაწყვიტა. მსახიობი ამ მორაგბის გამბედაობამ ალაფრთოვანა, რომელმაც აღიარა, რომ გეია.

რურკი გასულ უქმეებზე კარდიფში ჩავიდა, სადაც „კრუსეიდერზსა" და „კარდიფს" შორის რაგბი ლიგის შეხვედრას დაესწრო. ტომასი 2010 წლიდან რაგბი ლიგაში გადაბარგდა და მიკიც იძულებულია, რაგბის ესნაირსახეობა შეისწავლოს.

*„ნელ-ნელა ვსწავლობ თამაშის ნიუანსებს. არ მინდა ეს როლი ისე განვასახიერო, რომ რაგბის შესახებ არაფერი ვიცოდე. ასე არც გამომივა. ცხადია, ფორსირებას არ ვაპირებ. მინდა საფუძვლიანად გავერკვე ყველაფერში. ხშირად უნდა ვეკონტაქტო გერეთს, რომ ბოლომდე ჩავწვდე მის ბუნებას.*

*ყოფილი მოკრივე ვარ და თუ მოვინდომებ, აუცილებლად შევძლებ სათანადო ფორმაში შევიდე, ისეთში მორაგბეს რომ შეშვენის"* - თქვა 58 წლის მიკი რურკმა.


მიკი რურკი და გერეთ ტომასი

## დათუნაშვილი ორიაკში დაბრუნდა

საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი **ლევან დათუნაშვილი,** რომელიც ამჟამად საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ფიჟაკში" თამაშობს, მომავალი სეზონიდან ისევ „ორიაკის" კვართს მოირგებს.

„ორიაკი" საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის გუნდია, სადაც დათუნაშვილი შარშან ირიცხებოდა. „ორიაკის" თავკაცებმა ის „ფიჟაკში" განათხოვრების წესით გაუშვეს და ახლა ისევ უკან იბრუნებენ.

ალსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი მოთხოვნაა კიდევ ერთ ფიჟაკელ ქართველზე, საქართევლოს ნაკრების ახალგაზრდა ფულბეკზე **ბექა ურჯუკაშვილზე.** ასე რომ, გამორიცხული არ არის, მომავალ სეზონში ის ელიტური, მეორე დივიზიონის რომელიმე გუნდში ვიხილოთ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**


ბურთით ბექა ურჯუკაშვილი, მარჯვნივ ლევან დათუნაშვილი (N: 5)

msy.gov.ge

კალათბურთი

# ოლ სტარი ამარეს გარეშე?

„ნიუ იორკ ნიქსის" ლიდერმა **ამარე სტაუდმაიერმა**, შესაძლოა, მონაწილეობა ვერ მიიღოს „ყველა ვარსკვლავის მატჩში". რეგულარულის ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში მძიმე ფორვარდმა მარჯვენა ფეხის ცერა თითზე ტრავმა მიიღო.

*„ტკივილს ჯერ ისევ ვგრძნობ, - ამბობს სტაუდმაიერი. - მაგრამ ეს ხელს არ მიშლის ვარჯიშში".*

შეგახსენებთ, რომ ამ დაზიანების გამო ამარემ გამოტოვა შეხვედრა „ნიუ ჯერსი ნეტსთან" და სამდღიანი პაუზის შემდეგ მხოლოდ გუშინ შეძლო გუნდთან ერთად ვარჯიში.

კითხვაზე, შეძლებს თუ არა „ყველა ვარსკვლავის მატჩში" მონაწილეობის მიღებას, სტაუდმაიერმა შემდეგი უპასუხა: *„თამაში რომც ვერ მოვახერხო, ლოს ანჯელესში აუცილებლად ჩავალ. ყველაფერი ჩემს ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. თუ ტკივილი გამივლის, მოედანზე გავალ და ვითამაშებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგულარული ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩების წინ რისკზე წასვლა არ იქნება მიზანშეწონილი. ისე კი ტკივილის მიუხედავადაც შესაძლებელია თამაში, ოღონდ რამდენიმე წუთი".*

ამბები

## ბოსტონს უესტი დაუბრუნდა

„ბოსტონ სელტიქსის" რიგებში ბრუნდება ფორვარდი **დელონტე უესტი**, რომელსაც 24 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დოკ რივერსმა** დაადასტურა, რომ უესტი შეყვანილია უახლოეს მატჩებში „სელტიქსის" განაცხადში.

დელონტემ ნოემბერში „ნიუ ჯერსისთან" მატჩში მოიტეხა მაჯა და მხოლოდ გასულ კვირას განაახლა გუნდთან ერთად ვარჯიშები.

## ჰორნაჩეკი იუტას მწვრთნელია

„იუტას" ცნობილი სნაიპერი **ჯეფ ჰორნაჩეკი** სეზონის ბოლომდე „ჯაზის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტად იმუშავებს. 2007 წელს ყოფილი მცველი კლუბში ტყორცნის ტექნიკაზე იყო პასუხისმგებელი, ახლა კი მთლიანად ჩაებმება საწვრთნელ პროცესში. შეგახსენებთ, რომ „იუტას" საწვრთნელ შტაბში გადაადგილებები აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის **ჯერი სლოუნის** გადადგომით არის გამოწვეული.

ჰორნაჩეკმა „ჯაზში" შვიდი სეზონი გაატარა. სულ კარიერაში თამაშიდან ტყორცნების 49.6 პროცენტი გამოიყენა, 40.3 პროცენტის სიზუსტით ისროდა სამქულიანებს და ჯარიმების 87.7 პროცენტს იყენებდა, რაც ლიგის ისტორიაში მერვე შედეგია.

## როის ორი წელი დარჩა?

არასახარბიელო პროგნოზი გააკეთეს ექიმებმა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ერთ-ერთი ლიდერის **ბრენდონ როის** ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მათი ვარაუდით, მცველი კიდევ ერთი-ორი წელი შეძლებს თამაშს.

ექიმების აზრით, კლუბმა მაქსიმალურად უნდა შეამციროს მოთამაშის სავარჯიშო დრო, სათადარიგოთა სკამიდან შეუშვას მოედანზე და სეზონში 65-70 მატჩში გამოიყენოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებს „ბლეიზერსის" ლიდერი კარიერის გაგრძელებას.

როი, რომელმაც ორივე მუხლზე ოპერაცია გადაიტანა, 16 თებერვალს დაბრუნდება მოედანზე.

## ნეშით მგლები დაინტერესდნენ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდებს შორის „ფინიქსის" ვეტერან გამთამაშებელ **სტივ ნეშზე** დიდი მოთხოვნაა. მომავალ სეზონში კანადელს კონტრაქტი უმთავრდება და კლუბები აქედანვე იჭერენ თადარიგს ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველის გადასაბირებლად.

ამ ფრონტზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოთამაშეა „მინესოტა", რომელმაც უკვე დაიწყო მოლაპარაკებები „ფინიქსის" ხელმძღვანელობასთან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მგლები" არ აპირებენ მომავალ ტრეიდში ესპანელი **რიკი რუბიოს** ჩართვას, რადგან ხელმძღვანელობის აზრით, სწორედ ნეში უნდა დაეხმაროს ახალგაზრდა ესპანელს ახალ პირობებთან აკლიმატიზაციაში.

## შარლოტი ახალ მწვრთნელს ენდობა

როგორც Yahoo! Sports-თვის გახდა ცნობილი, „შარლოტ ბობკეტსის" ხელმძღვანელობამ ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი მთავარ მწვრთნელ **პოლ საილასთან**, რომელმაც სეზონის მსვლელობისას დაიკავა განთავისუფლებული **ლარი ბრაუნის** ადგილი.

საილასის ხელმძღვანელობით „შარლოტმა" 28-დან 15 შეხვედრა მოიგო და პლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის. ადრე ეს მწვრთნელი „კლიპერსში", „ნიუ ორლეანსა" და „კლივლენდში" მუშაობდა.

## ობამამ რასელი დააჯილდოვა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** ქვეყნის უმაღლესი ჯილდო - საპრეზიდენტო „თავისუფლების მედალი" მიანიჭა NBA-ის 11-გზის ჩემპიონს **ბილ რასელს**.

*„ბილ რასელი არის ადამიანი, რომელიც სიცოცხლეში გახდა ლეგენდა, - განაცხადა ობამამ. - ის ყოველთვის იცავდა ადამიანთა უფლებებს. როცა რესტორნები უარს ამბობდნენ „ბოსტონის" აფროამერიკელი მოთამაშეების მომსახურებაზე, ის პროტესტის ნიშნად მოედანზე არ გადიოდა. იმედია, ბოსტონის ქუჩებში ბავშვები იხილავენ არა მხოლოდ რასელი-კალათბურთელის, არამედ როგორც რასელი-პიროვნების ქანდაკებას".*

## ლიგა შეიძლება შემცირდეს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი **დევიდ სტერნი** ლიგის შემცირების საფრთხეს გამოეხმაურა. *„კლუბების ზოგიერთი მფლობელი უარს არ იტყოდა „ნიუ ორლეანის" ხარჯზე ლიგის შემცირებაზე. მაგრამ ეს ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტია. ამ მომენტისთვის ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ გუნდმა ნიუ ორლეანში გააგრძელოს არსებობა"*, - განაცხადა ESPN-თან ინტერვიუში სტერნმა.

მისი თქმით, სიეტლი, ლას ვეგასი, ანაჰაიმი და ვანკუვერი არიან დაინტერესებული NBA-ის კლუბის შეძენით. ასევე საკალათბურთო გუნდი შეიძლება გამოჩნდეს პიტსბურგში, კანზას-სიტიში, სენტ ლუისსა და ტამპაში.

## ტაურაზის დისკვალიფიკაცია მოუხსნეს

თურქეთის კალათბურთის ფედერაციამ დროებითი დისკვალიფიკაცია მოუხსნა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კალათბურთელს, ამერიკელ **დაიანა ტაურაზიმ**. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ლაბორატორიამ უკან გამოითხოვა დასკვნა „ფენერბაჰჩეს" ყოფილი მოთამაშის დადებითი დოპინგტესტის შესახებ.

ასე რომ, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს შეუძლია თურქულ ლიგაში კარიერის გაგრძელება. შეგახსენებთ, რომ ტაურაზის ბოლო კლუბმა - „ფენერბაჰჩემ" დადებითი დოპინგსინჯის შესახებ ინფორმაციის შემდეგ კალათბურთელთან კონტრაქტი გაწყვიტა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კაპიტან კანადას რეკორდები

„მაიამი ჰიტი" კვლავინდებურად აგრძელებს არასტაბილურ თამაშს - შთამბეჭდავი მოგებათა სერიის შემდეგ ფლორიდულმა კლუბმა ისევ დაამუხრუჭა და გუშინ კინაღამ დათმო შეხვედრა „ინდიანა პეისერსთან". „დიდ ტრიოს" პრობლემები არ ჰქონია - **ჯეიმსმა, უეიდმა** და **ბოშმა** ერთად 90 ქულა დააგროვეს, მაგრამ სათადარიგო მოთამაშეებმა (**ერიკ დამპიეს** გამოკლებით) ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს და მათ მოედანზე ყოფნას არანაირი აზრი არ ჰქონდა.

ბრწყინვალე დებიუტი გამოუვიდა დუეინ უეიდს. სტარტზე მან პირველი რვა ტყორცნა ასპროცენტიანი სიზუსტით გამოიყენა და სათადარიგოთა სკამზე გაუშვა თავისი მეურვე **მაიკ დანლივი**. პირველ მეოთხედში დუენმა 22 ქულა დააგროვა და ფაქტობრივად მარტომ მოიგო დროის ეს მონაკვეთი. საწყის 12 წუთში „მაიამის" უდიდესი უპირატესობა ჰქონდა და ჯამში 41 (!) ქულა მიითვალა. მაგრამ „ინდიანა" არ დანებდა და მეტოქეს გამოეკიდა. მასპინძლების პასუხი იმდენად სწრაფი და წარმატებული აღმოჩნდა, რომ დიდი შესვენებისთვის ფლორიდელთა 24-ქულიანი უპირატესობა 4 ქულამდე დავიდა - 58:54.

მესამე მეოთხედის დასაწყისში კი „პეისერსმა" წინ გასვლაც მოახერხა - ეს **ჯოშ მაკრობერტსის** ტყორცნის შემდეგ მოხდა, ცოტა ხანში კი მასპინძელთა უპირატესობა 5 ქულამდე გაიზარდა.

მხოლოდ ბოლო მეოთხედში მოვიდნენ გონს ფავორიტები. „მაიამიმ" ამუშავა თავისი საფირმო დაცვა და მეტოქეს უკანასკნელ 12 წუთში 23-დან მხოლოდ 6 ტყორცნა ჩააგდებინა, ჯეიმსისა და ბოშის 19 ქულის წყალობით კი შვიდქულიანი უპირატესობა მოიპოვა და ის საფინალო სირენამდე შეინარჩუნა.

■ ■ ■

„იუტა ჯაზმა" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ჯერი სლოუნის** წასვლის შემდეგ მეორე მატჩი ჩაატარა და ზედიზედ მეორედ წააგო, თანაც ისევ „ფინიქსთან". სასტარტო მეოთხედი **ჩენინგ ფრაის** ბენეფისად იქცა. ცენტრმა თამაშიდან შვიდივე ტყორცნა (მათ შორის - 5 სამქულიანი) ჩააგდო და 19 ქულა დააგროვა. მაგრამ, ისევე როგორც „ინდიანასა" და „მაიამის" შემთხვევაში, აქაც ჩამორჩენილმა გუნდმა მოახერხა მატჩისთვის ინტრიგის შენარჩუნება - 53:50.

საფინალო სირენამდე 7 წუთითა და 12 წამით ადრე 16:5 გაქცევის წყალობით „ჯაზმენებმა" მატჩში მაქსიმალურ უპირატესობას (8 ქულა) მიაღწიეს. მაგრამ შემდეგ „ფინიქსმა" ზედიზედ 11 ქულა დააგროვა და თამაში დაძაბული ფინალით დასრულდა. ბოლო წუთზე **დერონ უილიამსმა** მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა. იქვე ფრაიმ ორიდან ერთი სამქულიანი ჩააგდო და 31 ქულით შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა. ამის შემდეგ **მილსეპმა** დაკარგა ბურთი, ხოლო ნეშმა ორი ზუსტი საჯარიმოთი წერტილი დაუსვა შეხვედრას.

„მემფისი" აგრძელებს წარმატებულ ბრძოლას პლეი ოფის საგზურისთვის. დასავლეთი კონფერენციის მეცხრე გუნდი საკუთარ მოედანზე მასპინძლობდა აღმოსავლეთის მერვეადგილოსან „ფილადელფიას" და 102:91 გაიმარჯვა. „გრიზლისმა" პირველი მეოთხედი 26:10 მოიგო, მეორეში კი მისი უპირატესობა 18 ქულამდე გაიზარდა. მასპინძლებს არც დიდი შესვენების შემდეგ ჰქონიათ პრობლემები. მატჩის მეორე ნახევარში გაიბრწყინა გამთამაშებელმა **მაიკ კონლიმ**, რომელმაც პირველ ტაიმში ვერც ერთი ბურთი ვერ ჩააგდო. მესამე და მეოთხე მეოთხედებში 14-დან 9 ტყორცნა მოათავსა კალათში, მათ შორის - ხუთიდან ოთხი სამქულიანი და 22 ქულა მიითვალა. მისმა ბრწყინვალე კალათბურთმა „დათვებს" ზედიზედ მეოთხედ და ბოლო 16 მატჩში მეცამეტედ მოაგებინა.

„საკრამენტოს" დისკვალიფიკაციამოხდილი **დემარკუს კაზინსი** დაუბრუნდა, მაგრამ მისი ორმაგი დუბლის მიუხედავად, მაინც წააგო „ოკლაჰომასთან", რომელმაც იმ დღეს ფანტასტიკური კალათბურთი აჩვენა. „თანდერმა" მიმდინარე სეზონის ორი საკლუბო რეკორდი დაამყარა - პირველ ტაიმში 68 ქულა დააგროვა, მთლიანად მატჩში - 126. არადა, „ოკლაჰომას" ლიდერ **კევინ დურანტს** იმ საღამოს ტყორცნა არ წაუვიდა - თამაშიდან 18-ჯერ ისროლა და მხოლოდ ხუთჯერ იყო ზუსტი. სამაგიეროდ, სხვა კალათბურთელებმა გამოიჩინეს თავი - მასპინძელთა შვიდმა მოთამაშემ შეძლო მინიმუმ ათი ქულის დაგროვება.




■ ■ ■

გუშინდელ სათამაშო დღეს ორი კალათბურთელისთვის იყო გამორჩეული. გარდა იმისა, რომ „ფინიქსის" გამთამაშებელმა სტივ ნეშმა „იუტას" წინააღმდეგ 20 ქულა და 14 მოხსნა დააგროვა, მან NBA-ის ყველა დროის საუკეთესო ასისტენტთა სიაში **გერი პეიტონი** ჩამოიტოვა უკან. ახლა კანადელი ამ სიაში მეშვიდე ადგილზე იმყოფება - მას 8972 შედეგიანი პასი აქვს, პეიტონს - 8966. გარდა ამისა, ნეშმა სამი სამქულიანი ჩააგდო და ყველა დროის სნაიპერთა დავაში მეათე ადგილზე მყოფ **ედი ჯონსს** გაუთანაბრდა - ორივეს 1546 სამქულიანი აქვთ ჩაგდებული. მეცხრე ადგილზე მყოფ **გლენ რაისამდე** „კაპიტან კანადას" სულ რაღაც 13 სამქულიანი დარჩა.

„ჩიკაგომ" შინ ლეგენდარული **მაიკლ ჯორდანისა** და **სკოტი პიპენის** თანდასწრებით მოუგო „შარლოტს" - 106:94. **ლუოლ დენგი** 24 ქულით ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო, „ხარების" ვეტერანმა **კურტ ტომასმა** კი კარიერაში მე-1000 მატჩი ჩაატარა. 38 წლის ფორვარდი 9-ე კალათბურთელია ისტორიაში, ვინც ამ ზღვარს მიაღწია.

**ინდიანა-მაიამი 103:110**

19:41, 35:17, 29:24, 20:28

**ი:** ჰიბერტი (18+7 მოხსნა), ჰენსბრო (16+5 მოხსნა), გრეინჯერი (14+9 მოხსნა), ჯორჯი (14+5 მოხსნა).

**მ:** უეიდი (41+12 მოხსნა), ჯეიმსი (27+6 მოხსნა+5 პასი), ბოში (22+8 მოხსნა).

**ჩიკაგო-შარლოტი 106:94**

29:23, 23:22, 26:28, 28:21

**ჩ:** დენგი (24), როუზი (18+13 პასი), ბუზერი (16+9 მოხსნა), კორვერი (15), გიბსონი (11).

**შ:** ჰენდერსონი (22+5 მოხსნა), ჯექსონი (20+6 პასი), დიაო (18), ლივინგსტონი (13).

**ოკლაჰომა-საკრამენტო 126:96**

37:24, 31:26, 32:25, 26:21

**ო:** კუკი (20+5 მოხსნა), დურანტი (17+7 მოხსნა), კრსტიჩი (16), გრინი (16), იბაკა (15+9 მოხსნა), ჰარდენი (12), უესტბრუკი (10+11 პასი).

**ს:** კაზინსი (21+13 მოხსნა), კასპი (14), ჯეტერი (13+7 პასი), გრინი (10+7 მოხსნა), ტომპსონი (10+6 მოხსნა).

**მემფისი-ფილადელფია 102:91**

26:10, 29:34, 22:31, 25:16

**მ:** კონლი (22+5 ჩაჭრა), რენდოლფი (21+10 მოხსნა+7 პასი), იანგი (12+5 მოხსნა), გეი (11), ალენი (10).

**ფ:** იანგი (23+5 მოხსნა), უილიამსი (18+5 მოხსნა), ბრენდი (13+8 მოხსნა), ჰოლიდეი (10+5 პასი).

**ფინიქსი-იუტა 102:101**

29:27, 21:26, 26:20, 26:28

**ფ:** ფრაი (31+11 მოხსნა), ნეში (20+14 პასი), გორტატი (11+7 მოხსნა), პიეტრუსი (11), კარტერი (10), ჰილი (10).

**ი:** ჯეფერსონი (32+10 მოხსნა), მაილზი (19), მილსეპი (13+5 მოხსნა), უილიამსი (11+11 პასი+6 მოხსნა), უოტსონი (11).

**გ. სტეიტი-ნიუ ორლეანი 102:89**

22:32, 36:21, 25:18, 19:18

**გ-ს:** ელისი (21), რაიტი (16+5 მოხსნა+5 პასი), ლი (16), კარი (14+8 პასი), რადმანოვიჩი (13).

**ნ-ო:** უესტი (15+7 მოხსნა), ბელინელი (15), გრინი (12), პოლი (11+10 პასი), არიზა (11+6 მოხსნა).

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტორონტო 3:4**

1:1, 1:1, 1:2

**გოლები:** 1:0 პეი-2 (მ. სტიუარტი-4, გ. კემპბელი-12), 1:1 კესელი-20 (ფანოფი-12, ლუპული-9), 1:2 გრაბოვსკი-23 (კომისარეკი-9, გუნარსონი-6), 2:2 გ. კემპბელი-8 (მარჩანდი-15, რაიდერი-18), 3:2 პ. ბერჟერონი-20 (მაკუეიდი-15, რეკი-29), 3:3 კესელი-21 (ლუპული-10, ტ. კაბერლე-34), 3:4 გრაბოვსკი-24 (მაკარტური-28, ფანოფი-13).

**ნეშვილი-სან ხოსე 1:2 (ო)**

1:0, 0:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ფრენსონი-8 (სალივანი-12, ლეგვანდი-13), 1:1 სეტოგუჩი-12 (ჰასკინსი-7, მარლო-21), 1:2 მარლო-22 (ჰასკინსი-8, ჯ. ტორნტონი-33).

**მინესოტა-ვანკუვერი 1:4**

1:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 მალორტა-7 (სალო-2), 1:1 კლატერბეკი-18 (ბროძიაკი-13, სპარჯონი-4), 1:2 ჰანსენი-8 (მალორტა-14), 1:3 სამუელსონი-16 (კესლერი-23, რეიმონდი-21), 1:4 კესლერი-33 (ერჰოფი-25).

**მონრეალი-ბაფალო 2:3**

1:0, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 პასიორეტი-10 (პლეკანეცი-27, ჰამრლიკი-21), 2:0 პუიო-13 (დეშარნე-7, ვიშნიევსკი-32), 2:1 სტეფორდი-24 (ვანეკი-27, ტიმ კონოლი-17), 2:2 პომინვილი-13 (ჰეხტი-14, გერბე-10).

**ბულიტები გაიტანეს:** დეშარნე (მონრეალი), პლეკანეცი (მონრეალი), ვანეკი (ბაფალო), ენისი (ბაფალო), პასიორეტი (მონრეალი), გერბე (ბაფალო), ჰეხტი (ბაფალო).

**ოტავა-აილენდერსი 3:4 (ბ)**

1:1, 1:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ბატლერი-2 (სპეცა-15, მ. მიხალეკი-10), 1:1 კომო-15 (უიშერტი-3, იოენსუ-2), 2:1 შენონი-5 (ბატლერი-2, მ. მიხალეკი-11), 2:2 გრაბნერი-25, 2:3 ბეილი-7 (გრაბნერი-10, ოკსოპო-7), 3:3 ე. კარლსონი-9 (კონდრა-1, ზ. სმიტი-2).

**ბულიტები გაიტანეს:** კოვალიოვი (ოტავა), შრემპი (აილენდერსი), ნილსენი (აილენდერსი).

**ტამპა ბეი-ფილადელფია 3:4 (ბ)**

0:1, 3:2, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ვან რიმსდიკი-13 (ჟირუ-33, ჯ. კარტერი-24), 1:1 მური-10 (ა. ჰოლი-6), 1:2 ჰარტნელი-18 (ვან რიმსდიკი-13, მეზაროში-16), 1:3 პოუ-5 (ბულიტი), 2:3 ლეკავალიე-13 (მ-ა. ბერჟერონი-3, სენტ ლუისი-47), 3:3 პურსელი-12 (კუბინა-17, ვერნესი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** მური (ტამპა ბეი), მ. რიჩარდსი (ფილადელფია), ტიმონენი (ფილადელფია).

**ედმონტონი-დალასი 4:1**

1:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ებერლე-12 (სემ განიე-22, ვანდერმეერი-8), 2:0 ჩორნი-1 (ჰორკოფი-12, გილბერტი-11), 2:1 ლ. ერიქსონი-19 (ჯეისონ უილიამსი-1, ლეჰტონენი-5), 3:1 ჰორკოფი-8 (ჰემსკი-25, ჩორნი-3), 4:1 ჰემსკი-10 (ჰორკოფი-13, გილბერტი-12).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# ლონდონი-2012 კარდიფში დაიწყება

ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ბილეთების პირველი პარტიის რეალიზაციამდე ერთი თვით ადრე მომავალი ზაფხულის თამაშების კალენდარი გამოაქვეყნეს. გაისად ოლიმპიადა 27 ივლისს დაიწყება და 12 აგვისტომდე გაგრძელდება. სულ გათამაშდება მედლების 302 კომპლექტი.

პროგრამაში ძირითადი ცვლილებებიდან ალსანიშნავია ის, რომ ცურვის ფინალები საღამოს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ ამერიკული ტელევიზიების ინტერესებიდან გამომდინარე პეკინში მედლები დილით თამაშდებოდა. ლონდონში იქნება ახალი დისციპლინები - პროგრამას ემატება ქალთა კრივი და ჩოგბურთში შერეულ წყვილთა თანრიგი.

ყველაზე იაფი ბილეთი 20 ფუნტი ეღირება, იმ დროს, როცა მამაკაცებს შორის 100 მეტრი გარბენის ფინალში საუკეთესო ადგილზე ბილეთის ფასი 725 ფუნტი იქნება. ამავდროულად, უფასო იქნება იმ სტარტებზე დასწრება, რომლებიც ქალაქის ქუჩებში გაიმართება (საგზაო ველორბოლა, ტრიატლონი, მარათონი).

მძლეოსნობაში ტურნირი 3-12 აგვისტოს გაიმართება, 100 მეტრზე ქალებისა და მამაკაცების ფინალი შესაბამისად 4 და 5 აგვისტოს არის დანიშნული. ამავე დღეებში ჩატარდება გადამწყვეტი მატჩები ჩოგბურთის ერთეულთა თანრიგში.

ოლიმპიადაზე პირველი სპორტული შეჯიბრება კარდიფში გაიმართება - გახსნის ცერემონიამდე ორი დღით ადრე ლონდონიდან 240 კილომეტრის მოშორებით ქალთა საფეხბურთო ტურნირი აიღებს სტარტს. საფეხბურთო მატჩებს აგრეთვე ქოვენტრი და გლაზგო უმასპინძლებენ. გახსნის ცერემონიამდე ფეხბურთის გარდა გაიმართება წინასწარი შეჯიბრებები მშვილდოსნობაში.

ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე დატვირთული დღე 4 აგვისტო იქნება.

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ფრანგებს საუკეთესო გუნდი ჰყავთ

საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი ოქრო მოიპოვა - გუშინ გარმიშ-პარტენკირხენში გუნდური პირველობა გაიმართა.

ამ დისციპლინას ბევრი სპორტსმენი და სპეციალისტი სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ ამის მიუხედავად, გუნდური სტარტი ძალიან საინტერესოა და გულშემატკივრებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მიმდინარე ჩემპიონატზე გამართული შეჯიბრებებიდან გუშინდელი, ალბათ, ყველაზე სანახაობრივი იყო.

სათხილამურო სპორტის ფედერაციამ უამრავ ექსპერიმენტს მიმართა, სანამ დღევანდელ ფორმატამდე მივიდოდა. ე. წ. Team Event პირველად 2005 წელს ბორმიოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიხილეთ და ის სტარტი დღევანდელს საერთოდ არ ჰგავდა. ახლა ფორმატი შემდეგნაირია: პარალელური გიგანტური სლალომი, ოთხი დაშვება - ქალი ქალის წინააღმდეგ, მამაკაცი მამაკაცის წინააღმდეგ. ყველაფერი ლოგიკური და საინტერესოა.


ასეთია გუნდური შეჯიბრება

გასაგებია, რომ გუშინ ყველა გუნდმა ვერ შეძლო უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანა. მაგალითად, მასპინძელ გერმანიას დააკლდა ვარსკვლავური სამეული: **მარია რიში, ვიქტორია რებენსბურგი** და **კატრინ ჰიოლცლი**. ისინი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შემდეგ აღდგენით კურსს გადიან.

ტურნირში სულ 16 გუნდი მონაწილეობს. გერმანიამ მერვედფინალში უპრობლემოდ დაამარცხა სლოვაკეთის ნაკრები, მაგრამ მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ საფრანგეთთან წააგო.

მთავარ ფავორიტად ყველა ავსტრიის ნაკრებს მიიჩნევდა, მაგრამ ეს ვარსკვლავური გუნდი კინაღამ მეოთხედფინალიდან გამოეთიშა ტურნირს - ავსტრია **რომედ ბაუმანმა** გადაარჩინა. ნახევარფინალში ავსტრიელთა სამწვრთნელო შტაბმა წარუმატებლად მოასპარეზე **ბენიამინ რაიხი** და **მარლის შილდი** დაასვენა და ამ სვლამ გაამართლა - ფავორიტმა ნახევარფინალში 4:0 გაანადგურა იტალია. ფინალში ავსტრიას საფრანგეთი ელოდა, რომელიც ძალიან ძლიერად გამოიყურებოდა.

საინტერესოა, რომ ფინალში არ იმუშავა ფრანგების მთავარმა ფსონმა - **ტესა ვორლიმ**, ვინც წააგო თავისი დაშვება. მეორე ქულა საფრანგეთს **სიპრიენ რიშარმა** მოუტანა (**ფილიპ შერგჰოფერი** დაამარცხა). მეოთხე დაშვებისას **რომებ ბაუმანმა** ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ფინალი ფრედ - 2:2 დასრულებულიყო, მაგრამ საფრანგეთი მაინც ჩემპიონად გამოცხადდა, რადგან ამ გუნდის ოთხეულის საერთო დრო ხუთი მეასედი წამით უკეთესი იყო ავსტრიელებისაზე. ასე დაამარცხა **სიპრიენ რიშარმა, ტესა ვორლიმ** და კომპანიამ გუნდური სტარტის მთავარი ფავორიტი.

მესამე ადგილისთვის შეხვედრაში ბრძოლა არ შედგა. შვედეთმა **ანია პერსონის** მეთაურობს 4:0 გაანადგურა იტალია.

დღეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალებს შორის გიგანტური სლალომი გაიმართება, ხვალ იმავე დისციპლინაში კაცები შეეჯიბრებიან ერთმანეთს, ხოლო პლანეტის პირველობას ქალებსა და მამაკაცებს შორის სპეციალური სლალომი დაასრულებს.

ველოსპორტი

# საბოლოოდ წავიდა


ლენს არმსტრონგი

ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** საბოლოოდ გადაწყვიტა კარიერის დასრულება. ადრე ვარაუდობდნენ, რომ ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი 2011 წლის განმავლობაში ამერიკის ტერიტორიაზე გამართულ რამდენიმე რბოლაში მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ 39 წლის სპორტსმენმა განაცხადა, რომ მტკიცედ გადაწყვიტა პროფესიული სპორტიდან წასვლა.

ასე რომ, უკანასკნელი რბოლა, რომელშიც ამერიკელი მონაწილეობდა, იანვრის Tour Down Under იყო ავსტრალიის ტერიტორიაზე, სადაც ლენსმა მოკრძალებული 65-ე ადგილი დაიკავა.

პირველად არმსტრონგმა კარიერის დასრულების შესახებ 2005 წელს, ტურ დე ფრანსის მეშვიდედ მოგების შემდეგ გამოაცხადა. სამი წლის შემდეგ მან დიდ სპორტში დაბრუნებისა და ფრანგული ველომარათონის კიდევ ერთხელ მოგების სურვილი გამოთქვა. გარდა ამისა, სპორტსმენს სურდა დაემტკიცებინა, რომ კარიერის განმავლობაში არასოდეს მიუმართავს აკრძალული პრეპარატებისთვის.

ლენსმა ვერც ერთ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია. 2009 წელს ტურზე მესამე ადგილი დაიკავა, 2010 წელს კი 23-ე პოზიციაზე აღმოჩნდა. გარდა ამისა, ბოლო სამ წელიწადში პრესაში არაერთი პუბლიკაცია გაჩნდა იმის შესახებ, რომ არმსტრონგი სისტემატურად იყენებდა დოპინგს.

არმსტრონგმა აღნიშნა, რომ მას მართლაც შეეძლო „ტურ დე ფრანსის" მერვედ მოგება, მაგრამ ავარიები და ველოსიპედის გაუმართაობა უშლიდა ხელს.

ამერიკელმა პირველად ტურ დე ფრანსი 1999 წელს მოიგო და ტიტული ექვსჯერ შეინარჩუნა. მისი მთავარი გამარჯვებები გუნდ US Postal-ის რიგებში გამოსვლას უკავშირდება. დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ არმსტრონგი „ასტანასა" და RadioShack-ის ღირსებას იცავდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| არსენალი-ბარსელონა | 2:1 |
| რომა-შახტარი | 2:3 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ჟილინა-პეტრჟალკა | 3:1 |
| ვიდეოტონი-უიპეშტი | 2:1 |
| კადისი-ლეგია | 2:1 |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| უიგანი-ბოლტონი | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| სკანთორპი-ნოტინგემი | 1:0 |
| **იტალია** | |
| ფიორენტინა-ინტერი | 1:2 |
| სამპდორია-ჯენოა | 0:1 |
| **გერმანია** | |
| ჰამბურგი-სტ. პაული | 0:1 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ერფურტი-შტუტგარტი A | 1:2 |
| რეგენსბურგი-ვერდერი A | 0:2 |
| აალენი-ჰანზა | 1:1 |
| **ბელგია** | |
| ბეერსხოტი-გენტი | 2:2 |
| ვესტერლო-ლოკერენი | 1:2 |
| **შოტლანდია** | |
| დანდი იუნ-ჰემილტონი | გადაიდო |
| **III დივიზიონი** | |
| ისტ სტირლინგი-ქუინზ პარკი | 0:1 |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| იუვიასკიულა-კუოპიო | 4:4 |
| ვაასა-როვანიემი | 3:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩი** | |
| ალკი-ენოსისი | 4:3 (1:0) |
| **უნგრეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. I მატჩი** | |
| კაპოშვარი-პაკსი | 1:0 |
| **მოლდოვა** | |
| კოსტულენი-ზიმბრუ | 0:2 |
| დაჩა-ვიიტორული | 0:0 |
| აკადემიკა-სფინტული | 2:0 |
| ოლიმპია-ტირასპოლი | 0:4 |
| ნისტრუ-ისკრა | 0:1 |
| შერიფი-ცსკა | 4:0 |
| **ეკვადორი** | |
| ესპოლი-ლდუ დე ლოხა | 1:2 |
| **პარაგვაი** | |
| ენერალი-ინდეპენდიენტე | 1:2 |

## კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ჟალგირისი-ფენერბაჰჩე | 85:84 (ო) |
| მონტეპასკი-პარტიზანი | 77:74 |
| **ევროთასი** | |
| გოტინგენი-არისი | 74:55 |
| **გერმანია** | |
| ბრუნშვაიგი-ჯაიანტსი | 66:51 |

## ჰოკეი

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| დინამო (მ)-მეტალურგი (ნ) | 8:1 |
| ვიტიაზი-ამური | 3:4 |
| ლოკომოტივი-იუგრა | 8:4 |
| სევერსტალი-აკ ბარსი | 2:1 |
| სკა-ავტომობილისტი | 3:2 |
| ტორპედო-ბარისი | 3:5 |
| სპარტაკი-ნეფტეხიმიკი | 1:5 |
| ცსკა-მეტალურგი (მ) | 3:4 (ბ) |
| ატლანტი-ავანგარდი | 1:2 |
| დინამო (მნ)-ტრაქტორი | 4:2 |
| დინამო (რ)-ს. იულიაევი | 2:3 (ო) |
| **ბელარუსი** | |
| სოკილი-ნემანი | 2:3 (ბ) |
| ბრესტი-ვიტებსკი | 3:4 (ო) |
| გომელი-მეტალურგი | 2:6 |
| ლიეპაიასი-იუნოსტი | 3:2 |
| ხიმიკი-ხიმვოლოკნო | 5:3 |
| შახტარი-შინიკი | 7:1 |
| **გერმანია** | |
| აუგსბურგი-ვოლფსბურგი | 2:4 |
| ჰანოვერი-ინგოლშტადტი | 1:2 |
| დიუსელდორფი-აისბარენი | 1:0 |
| იზერლონი-ჰამბურგი | 4:5 (ო) |
| კიოლნი-მიუნხენი | 2:5 |
| ნიურნბერგი-მანჰაიმი | 1:2 |
| **დანია** | |
| ჰერნინგი-ოდენსე | 5:2 |
| ესბერგი-ოლბორგი | 1:4 |
| ფრედრიკშავნი-სონდერიისკი | 1:2 (ო) |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ბოლესლავი | 3:1 |
| ბუდეიოვიცე-ლიტვინოვი | 5:2 |
| პლზენი-ბრნო | 4:1 |
| კარლოვი ვარი-ზლინი | 2:3 (ბ) |
| პარდუბიცე-კლადნო | 7:3 |
| სპარტა-ლიბერეცი | 3:2 (ბ) |

## ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. ბუენოს აირესი** | |
| მონტანიესი-ფონინი | 6:2, 4:6, 6:4 |
| ჩელა-სებალიოსი | 7:5, 6:2 |
| **ATP. მემფისი** | |
| ჰიუიტი-ლუ | 6:4, 7:6 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| იოჰანსონი-მოისბურგერი | 6:4, 6:0 |
| სუარეს ნავარო-მეირი | 1:6, 6:4, 6:2 |
| კასტანიო-ფიშმანი | 5:7, 6:3, 4:6 |
| **WTA. დუბაი** | |
| ზვონარევა-ვინჩი | 6:3, 6:1 |
| პეერი-დულგერუ | 6:4, 6:2 |
| ა. რადვანსკა-სევასტოვა | 7:6, 6:4 |
| სვიაკონე-ჟანგი | 6:3, 6:1 |
| აზარენკა-პენგი | 4:6, 6:2, 7:6 |
| ბარტოლი-ბაშჩინსკი | 3:6, 6:4, 6:1 |
| კუზნეცოვა-პირონკოვა | 5:7, 6:2, 6:4 |
| კლეიბანოვა-გროტი | 6:4, 6:3 |
| მირზა-მორიტა | 4:6, 2:6 |
| სტოსური-ერანი | 6:0, 6:1 |
| შნიდერი-ჟენგი | 1:6, 6:0, 6:2 |
| იანკოვიჩი-სხეპერსი | 6:2, 6:3 |
| პენეტა-ზაკოპალოვა | 5:7, 6:1, 6:2 |
| კანეპი-პეტკოვიჩი | 6:3, 3:6, 6:3 |
| ვოზნიაცკი-ჩაკვეტაძე | 6:1, 7:5 |
| ნა ლი-ვიკმაიერი | 7:6, 6:7, 2:6 |
| **WTA. მემფისი** | |
| ვანდევეგე-სტივენსონი | 6:2, 6:2 |
| უოტსონი-ფორეცი | 6:2, 5:7, 6:4 |
| მარინო-კირსტეა | 6:2, 4:6, 6:3 |
| ჰრადეცკა-ს. ზახვალოვა | 6:4, 6:3 |

TV პროგრამა

## 17 თებერვალი. სამშაბათი

### HTB-პლუსი (ფეხბურთი)

21:45 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ნაპოლი-ვილიარეალი (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. პაოკ-ცსკა (LIVE).

### HTB-პლუსი (სპორტი)

19:55 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი (LIVE).
21:45 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბეშიქთაში-დინამო (კ) (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. იანგ ბოიზი-ზენიტი (LIVE).
05:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-ვანკუვერი (LIVE).

### HTB-პლუსი (ონლაინი)

19:45 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. მეტალისტი-ლევერკუზენი (LIVE).
21:55 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბენფიკა-შტუტგარტი (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბაზელი-სპარტაკი (LIVE).

### HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

21:45 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ბატე-პსჟ (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. სპარტა-ლივერპული (LIVE).

### HTB-პლუსი (კლასიკა)

21:45 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. ანდერლეხტი-აიაქსი (LIVE).
23:55 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. სევილია-პორტუ (LIVE).

### HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

16:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მარსელი. საფრანგეთი (LIVE).
18:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. დუბაი. საემიროები (LIVE).

### HTB-პლუსი (კალათბურთი)

21:55 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. IV ტური. პანათინაიკოსი-კახა ლაბორალი (LIVE).
23:45 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ოლიმპია-მაკაბი (LIVE).

### SPORT+

18:45 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. I მატჩი. რუბინი-ტვენტე (LIVE).

### EUROSPORT

12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
16:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).
17:30 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. IV დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
22:55 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. IV დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).

### EUROSPORT-2

12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. დუბაი. საემიროები (LIVE).
18:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. IV დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
23:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. IV დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).

ფორმულა 1

# ექლსტოუნი შეშფოთებულია

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ყურადღებით აკვირდება ბაჰრეინში პოლიტიკურ კრიზისს, თუმცა FIA-ის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ოპოზიციის ბოლოდროინდელი გამოსვლები ხელს არ შეუშლის ფორმულა 1-ს ახალ სეზონში პირველი გრან-პრის ჩატარებას.

*„რა თქმა უნდა, თვალს ვადევნებთ მოვლენებს და არის ფაქტები, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ. ნებისმიერი მსხვილი სპორტული მოვლენა შეიძლება დაკავშირებული იყოს საპროტესტო აქციებთან, მაგრამ ვიზიარებთ ბაჰრეინის ფედერაციის პოზიციას, რომ სიტუაცია აუცილებლად დარეგულირდება“*, - ამბობს ფედერაციის პრესმდივანი **ნორმან ჰაუელი**.

ბაჰრეინის გრან-პრის ხელმძღვანელობა თავის თავზე იღებს პილოტების, ჟურნალისტებისა და მაყურებლის უსაფრთხოებას. ამასთან დაკავშირებით ავტოდრომის ხელმძღვანელობამ ოფიციალური განცხადება გააკეთა: *„მომავალი რბოლის დროს უსაფრთხოება მთლიანად სამეფოსა და ჩვენი ავტოდრომის მთავარი პრიორიტეტია. ახლა მთავარი ამოცანა - ბაჰრეინის გრან-პრის ნორმალურად ჩატარებაა. ვაკონტროლებთ სიტუაციას მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობით“.*

შექმნილ სიტუაციას გამოეხმაურა ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი**, რომელიც ფრთხილ პროგნოზს აკეთებს და ახალი სეზონის სტარტის წინ გართულებებს არ გამორიცხავს: *„ცხადია, რომ საფრთხე არსებობს. თუ ოპოზიცია მოისურვებს არეულობების მოწყობასა და ამ გზით მთელი სამყაროს ყურადღების მიპყრობას, ბაჰრეინის გრან-პრიზე უკეთეს მომენტს ვერ იპოვის“.*

# ფეტელმა ისევ ფერარი მოისურვა

## ფერნანდო ალონსო 2011 წლის ფავორიტებს ახასიათებს


სებასტიან ფეტელი

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ფერნანდო ალონსომ** მოკლედ დაახასიათა 2011 წლის ჩემპიონატის მთავარი პრეტენდენტები.

*„ძალიან სწრაფი და გაწონასწორებული. როცა რბოლას ლიდერობს, მისი დაწევა ძალიან რთულია“*, - განაცხადა ალონსომ **სებასტიან ფეტელზე**.

*„გამოცდილი, მშვიდი და ძალიან თანმიმდევრული. მისი მხრიდან იშვიათად ვხედავთ შეცდომებს“*, - ამბობს „ფერარის“ პილოტი **მარკ უებერზე**.

*„ჯენსონ ბატონი ძალიან კარგად წარმართავს რბოლას ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში. ეს უნიკალური ნიჭია“.*

*„ნამდვილი ჩემპიონია და ყველანი პატივს ვცემთ მას. მიხაელს ყოველთვის შეუძლია ტრასაზე ხალხის გაკვირვება“*, - აზრი **მიხაელ შუმახერის** შესახებ.

*„ფელიპე მასა ძალიან სწრაფი მრბოლელია, კარგად მუშაობს გუნდში და გამარჯვების დიდი სურვილი აქვს“*, - ასე ახასიათებს ალონსო ბრაზილიელ თანაგუნდელს.

*„ლუის ჰემილტონი - დიადი სპორტსმენია. შესაძლოა, დღეისთვის ყველაზე სწრაფი ფორმულა 1-ში“.*

■ ■ ■

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მომავალში ძალიან უნდა „ფერარის“ რიგებში გადასვლა. მაგრამ ამასთან, გერმანელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დღეისთვის „რედ ბულში“ ყველაფერი აწყობს და იქ კომფორტულად გრძნობს თავს.

*„ბრწყინვალედ ვიცნობ ფორმულა 1-ის ისტორიას, სადაც „ფერარი“ აღიარებული ლეგენდაა, - ამბობს მსოფლიოს ჩემპიონი. - განსაკუთრებული გრძნობაა, როცა საკუთარ გვარს გამარჯვებულებს შორის ხედავ, მაგრამ „ფერარიში“ გამოსვლა ნებისმიერი პილოტის კარიერაში უდიადესი მოვლენაა. დიახ, მინდა „სკუდერიაში“ გამოსვლა, თუმცა ეს მომავლის საკითხია. ახლა „რედ ბულში“ ყველაფერი მაწყობს. ეს გუნდი რომ არა, სამეფო რბოლებში ვერასოდეს მოვხვდებოდი“.*

ჩოგბურთი

# გულწასული ჩაკვეტაძე


ანა ჩაკვეტაძე კორტზე დაეცა

დუბაიში მიმდინარე პრემიერკატეგორიის ტურნირზე ცუდი ამბავი შეემთხვა ქართული წარმოშობის რუს ჩოგბურთელ **ანა ჩაკვეტაძეს**. დანიელ **კაროლინ ვოზნიაცკისთან** მეორე წრის მატჩში ანამ პირველი სეტი 1:6 წააგო, მეორეში კი 5:3-ს იგებდა. სწორედ ამ დროს, საკუთარი გეიმის წაგების შემდეგ ჩაკვეტაძემ გონება დაკარგა და კორტზე დაეცა.

ხუთი წუთის განმავლობაში ექიმები და სპორტსმენის მწვრთნელი ანას პირველად დახმარებას უწევდნენ. გონსმოსულმა ჩაკვეტაძემ წესებით გათვალისწინებული სამედიცინო ტაიმ-აუტი აიღო. 15 წუთის შემდეგ რუსი კორტზე დაბრუნდა, მაგრამ მორიგი გეიმის წაგების შემდეგ მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას ველარ შეძლებდა და თამაში შეწყვიტა. მესამე წრეში ვოზნიაცკი გავიდა.

■ ■ ■

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) და ქალთა საჩოგბურთო ასოციაციამ (WTA) მოილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე ქალი ჩოგბურთელების მიერ მოპოვებული ქულები WTA-ის რეიტინგში იქნება გათვალისწინებული.

2012 წლის ზაფხულის თამაშები რიგით მესამე იქნება, რომლის დროსაც ჩოგბურთელებს სარეიტინგო ქულები დაერიცხებათ. ადრე ეს წესი ათენისა და პეკინის თამაშებზე მოქმედებდა.

*„ამ მნიშვნელოვან შეთანხმებაზე ხელის მოწერა იმას ნიშნავს, რომ ოლიმპიურ ტურნირზე მსოფლიო დონის ყველა ჩოგბურთელი მოინდომებს გამოსვლას,* - ამბობს ფედერაციის პრეზიდენტი **ფრანჩესკო რიჩი-ბიტი**. - *მადლობა WTA-ს თანადგომისთვის. ჩვენ წინ კიდევ ერთი საინტერესო საჩოგბურთო ტურნირი გველოდება“.*

ეს შეთანხმება იქითკენ არის მიმართული, რომ ოლიმპიადის საჩოგბურთო ტურნირი მაქსიმალურად წარმომადგენლობითი იყოს. წესების თანახმად, ერთეულთა თანრიგში ერთ ქვეყანას ოთხი ჩოგბურთელის გამოყვანა შეუძლია, წყვილებში - ორი დუეტის.

ოლიმპიადის მონაწილეთა შემადგენლობა WTA-ის რეიტინგის მიხედვით იქნება შერჩეული: კლასიფიკაციის პირველი 56 წევრი პირდაპირ მოხვდება ძირითად ბადეში, სადაც სულ 64 სპორტსმენი ითამაშებს. კიდევ ექვს მონაწილეს ITF-ის ოლიმპიური კომიტეტი შეარჩევს, რომელიც სპორტული და გეოგრაფიული პრინციპით იხელმძღვანელებს. დარჩენილი ორი საგზურის ბედს სპეციალური კომისია გადაწყვეტს - ის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებითა და ITF-ის წარმომადგენლებით იქნება დაკომპლექტებული.

კრივი


დევიდ ჰეი

# ჰეიმ რუსი აირჩია

სუპერმძიმე წონით კატეგორიაში WBA-ის ჩემპიონმა **დევიდ ჰეიმ** მორიგი ბრძოლა დაგეგმა. ბრიტანელი 2011 წლის 21 მაისს, ლონდონის „O2-არენაზე“ რუს **ალექსანდრ პოვეტკინს** შეხვდება. თუმცა ამ ბრძოლასთან დაკავშირებით ოფიციალური კონტრაქტი ჯერ გაფორმებული არ არის.

WBA-ის ვერსიით ტიტულის აუცილებელი პრეტენდენტი უზბეკი **რუსლან ჩაგაევია**, მაგრამ ჯერ კიდევ 2009 წელს ბრიტანეთის კრივის საკონტროლო საბჭომ პრეტენდენტს აუკრძალა ამ ქვეყანაში ჩხუბი, რადგან ჩაგაევი ჰეპატიტით არის დაავადებული.

ამიტომაც ჩაგაევთან ბრძოლის სავარაუდო ჩაშლის გამო, 30 წლის ჰეი 31 წლის პოვეტკინს დაუკავშირდა, რომელიც WBA-ის რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს.

პოვეტკინს კარიერის მანძილზე 21 ბრძოლა აქვს გამართული და ერთხელ დამარცხდა. ჰეი დაუმარცხებელია - 26-დან 26 მოგება.

■ ■ ■

გუშინ ამერიკის სენატის წარმომადგენელმა **ჰარი რიდმა** დაადასტურა ინფორმაცია დამწყები პოლიტიკოსისა და მოკრივის **მენი პაკიაოსა** და აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** შორის მოსალოდნელი შეხვედრის შესახებ.

რიდის თქმით, პრეზიდენტი და მისი მეუღლე **მიშელი** პირადად შეხვდებიან მენი პაკიაოსა და მისი მენეჯერის - **ბობ არუმის** ოჯახებს.

*„დარწმუნებული ვარ, მოკრივეები ადრეც სტუმრობდნენ თეთრ სახლს, მაგრამ არ მახსოვს ბოლოს ეს როდის მოხდა“*, - აღნიშნა არუმმა.

*„ეს ჩემთვის დიდი პატივია“*, - მოკლედ განაცხადა პაკიაომ.

ვარაუდობენ, რომ შეხვედრის დროს მხარეები სპორტის პრობლემებზე გაამახვილებენ ყურადღებას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ამბები

ჰოკეი

## ატლანტამ მცველი გაიფორმა

„ატლანტა ტრეშერზმა“ ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა თავის წამყვან მცველ **დასტინ ბიფულინს**. გარიგების საერთო თანხა 26 მილიონ დოლარს შეადგენს.

ზაფხულში მცველი თავისუფალი აგენტი გახდებოდა, ამიტომაც „ატლანტას“ მენეჯმენტმა დროულად დაიჭირა თადარიგი და სეზონის ბოლომდე მოაგვარა სატრანსფერო საკითხები.

შეგახსენებთ, რომ ბიფულინი „ატლანტაში“ „ჩიკაგოდან“ გადავიდა, სადაც სტენლის თასი მოიგო. ამ სეზონში 25 წლის ჰოკეისტმა 58 მატჩში 43 ქულა (17+26) დააგროვა.

ჩოგბურთი

## ცვლილება კალენდარში

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის კალენდარში ერთი ცვლილება მოხდა. მონპელიეს ტურნირი, რომელიც 2011 წლის 24-30 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, რამდენიმე თვით წინ გადაიწია - 2012 წელს 30 იანვარს აიღებს სტარტს და 5 თებერვალს დასრულდება.

ასე რომ, 2011 წლის ოქტომბრის ბოლო კვირას მხოლოდ ორი ტურნირი გაიმართება - სანკტ პეტერბურგსა და ვენაში. 2012 წლის კალენდარში მონპელიეს ტურნირს იოჰანესბურგი შეცვლის.

## ნადალი დევისის თასზეა გამოძახებული

დევისის თასზე ესპანეთის ნაკრების კაპიტანი **ალბერტ კოსტა** დღეს გამოაცხადებს თავისი გუნდის ოფიციალურ შემადგენლობას ბელგიასთან მერვედფინალური მატჩისთვის. ეს შეხვედრა 4-6 მარტს შარლერუაში გაიმართება.

თუმცა ესპანური პრესისთვის უკვე ცნობილია იმ ჩოგბურთელთა ვინაობა, რომლებიც ამ მატჩში მიიღებენ მონაწილეობას. გუნდში ვხედავთ მსოფლიოს პირველ ჩოგან **რაფაელ ნადალს**. მის გარდა ესპანელთა რიგებში **დავიდ ფერერს**, **ფერნანდო ვერდასკოსა** და **ფელისიანო ლოპესს** ვიხილავთ.

სამთო-სათხილამურო სპორტი

## იანკა გულზე იმკურნალებს

მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი **კარლო იანკა** უახლოეს პერიოდში გულის ოპერაციას გაიკეთებს. 24 წლის შვეიცარიელს დიდი ხანია არითმია აწუხებს და როგორც იქნა, ქირურგიულ ჩარევას დათანხმდა.

იანკამ გარმიშში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე დეკემბერში გადატანილი ინფექციის გამო სწრაფდაშვება და სუპერკომბინაცია გამოტოვა, მაგრამ ხვალ მას გიგანტური სლალომის სტარტზე ვიხილავთ.

ფორმულა 1

## უილიამსი დიდების დარბაზშია

ბრიტანული საჯინიბო „უილიამსის“ პრესსამსახურმა მოკლე პრესრელიზი გაავრცელა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ გუნდის მფლობელი, ლეგენდარული **ფრენკ უილიამსი** ბრიტანულ ჟურნალ Motor Sport Magazine-ის დიდების დარბაზში მოხვდა. მასთან ერთად ასეთი პატივი დაიმსახურეს ლეგენარულმა პილოტებმა - **ჯეკ ბრებემმა**, **ჯოდი შექტერმა** და **დარიო ფრანკიტიმ**. ოფიციალური ცერემონია ლონდონში გუშინ გაიმართა.